1134
2001 +

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

№13 (176) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 26 ივლისი

ფასი 80 თეთრი

#13
2001



# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - მიხეილ ჩიტაძე
*კომერციული დირექტორი* - გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე




**№13 ხუთშაბათი, 26 ივლისი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

**თედო ბექიშვილი - 60**

თედო ბექიშვილი
ლექსები ....... 1
დავით მჭედლური
არაგვის ხეობის კაცი ....... 2
შოთა ქავთარაძე
პოეტი და ზამთარი ....... 4
ჯარჯი ფხოველი
სიტყვები გარდაცვლილ მეგობარს ....... 5
გივი ალხაზიშვილი
ლექსი ....... 6
ჯემალ აჯიაშვილი
სონეტი ....... 7
რევაზ ინანიშვილი
დედაო, დაო, სიყვარულო ....... 7

**ლიტერატურა**

შოთა იათაშვილი
ლექსები ....... 8
დათო ქარდავა
მოთხრობები ....... 10
ემზარ კვიტაიშვილი
უნდა გვეამაყებოდეს, გვიხაროდეს ....... 16
ანდრო ბუაჩიძე
საუბრები უბის წიგნებზე ....... 21
ნოდარ გურაბანიძე
"მსოფლიო თეატრის ლეგენდა" ....... 23
ლუი-ფერდინანდ სელინი
მოგზაურობა ღამის კიდეზე ....... 26
ვოლფგანგ ბორჰერტი
საათი, რომელიც სამზარეულოში ეკიდა ....... 29
შერიდან მორლი
ოსკარ უაილდის ეპიგრამები ....... 30

**ANIMAL RIDENS**

ჟილ ლიპოვეცკი
იუმორისტული საზოგადოება ....... 32
სერგეი ავერინცევი
ეპოქის სულისა და იუმორის შესახებ ....... 34

**პუბლიცისტიკა**

ზურაბ ჭიაბერაშვილი
"ნუ ვითხოვთ ადამიანთა უფლებების დაცვას - მოვითხოვოთ ადამიანთა დაცვა" ....... 36
ია ანთაძე
მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი ....... 38

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თედო ბექიშვილი



2/1952

## დონ კიხოტის მონატრება

ნუთუ აღარა ხარ უკვე არსად,
მიწა დასტოვე და ცადა ხარ...
ხშირადა ვხედავ სანჩო-პანსას,
შენ კი, ლამანჩელო, სადა ხარ?

სადა ხარ უბადლო ტრუბადურო,
გზას სად გაჰყოლიხარ საგვიანოს?
ქვეყანას რაზე დაემდურე
რაინდო მწუხარე სახიანო...

სანჩო კარგად უვლის გუბერნიას,
რომ არ გადასუქდეს - მარხულობს;
რბილი ქვეშაგები უფენია,
ვირს ზოოპარკშიღა ნახულობს...

ძალზედ შეცვლილია დულსინეა,
მილეულ სანთელივით პარპალობს,
თვალები აღარ უცინიან,
გზისკენ იყურება, საბრალო...

სუსტთა და უმწეოთ რა ვუშველო,
ურწმუნო როგორ დავაჯერო?..
ქვეყანამ მოიწყინა უშენოდ,
სადა ხარ, მწუხარე ლამანჩელო?!.

## თანაგრძნობა

*ბესიკ ხარანაულს*

შეიძლება შეგიძულონ
როგორც მევალე,
რომლისგანაც კაი ძალი სესხი აიღეს,
შეიძლება წამოგეისონ -
ძაღლების ხროვა
მგელს რომ მოიმწყვდევს,
და ყველამ, სხვების დასანახავად
და საკუთარი უღონობის დასაფარავად,
ყველამ გაგკრას თითოჯერ კბილი...
გაივლის ხანი.
შენი ტყავის თვითეულ ნაფლეთს
ისინი დიდხანს შეინახავენ,
როგორც უწმინდეს რელიქვიას
და თავიანთ სასახლეებში
ყველაზე საჩინო ადგილას გამოფენენ...

რით განუგეშო?
შენს გვერდით დგომას
ხომ არ სჯობია
მეც ამ ხროვას ჩავუდგე კვალში,
მტრად მოგეკიდო -
თუკი ძმად ვერ გამოგადგები...

## ჩემი მაგიდა

კვლავ მასთან მოველ,
ისევ აქ არის,
მიყრილ-მოყრილი, აულაგები.
მეცნო ბავშვების ნაეშმაკარი -
განაკაწრები, მელნის ლაქები.

მას ესმის ჩემი უხმო სალამი -
ცხრაჯერ გავიდა უკვე აპრილი,
რაც აი, თითქმის ყოველ საღამოს
მე მის კიდეზე ვარ თავდახრილი.

რამდენი ფიქრი, რამდენი რისხვა,
რამდენი ლექსი ფრთებდამსხვრეული...
ბოლომდის მხოლოდ მას წაუკითხავს
ჯავრის ეკლებით სავსე რვეული.

ის მამხნევებდა, ძმასავით მყავდა,
მისი სიფხიზლით ვიყავ ფხიზელი,
მხოლოდ მან იცის ყველაზე კარგად,
რაც მსურდა, რატომ ვერ შევიძელი...

ამგვარი სიტყვაც ბევრმა აკინძა -
ძველია თემა და გაცვეთილი,
მაგრამ არ ჯავრობს ჩემი მაგიდა,
ვატყობ, უსაზღვროდ გახდა კეთილი.

ვატყობ, აჩერხებს ფიქრის შენახვას,
მე მესმის მისი უხმო წადილი -
ხომ მასაც სურდა ერთხელ ენახა,
როგორ იქმნება ლექსი ნამდვილი...

მაგრამ დაბელა წლებმა სავსებით
მისი სურვილი და იმედები;
ასე ერთმანეთს დავემსგავსენით,
ასე, ერთნაირ ბედში ვბერდებით!

ალბათ ისღაა ჩვენში ნუგეში,
ალბათ იღბალმაც მიტომ შეგვყარა.
რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვატყუებდით,
როცა ცრუობდა ირგვლივ ქვეყანა;

რომ გვაღონებდა ერთურთის წყლული,
რომ მშობლიური შეგვრჩა გრძნობები,
რომ ვიცი, ორთავ დაგვეწყდება გული,
როს დარეკს ზარი დამშვიდობების!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმა

ვიგონებ სიმშვიდეს.
ვიგონებ სიხარულს.
ბედნიერებასაც ვიგონებ ხანდახან...
ხოლო ტკივილის მოგონება
არა მჭირდება.
იგი არსებობს ბუნებრივად,
მოუგონებლად.
თანამდევს მუდამ
და ჩემს ცხოვრებას -
როგორც ხეობას მდინარის დენა -
ავსებს სიფხიზლით...
ის ძმაა ჩემი.

შოთა ჩანტლაძე

ეს იყო ადრე, ოცი წლის წინათ,
არ მქონდა ბინა და ვეძებდი ბინას.

უნივერსიტეტის ბაღში ვისხედით,
იქ, სადაც ჩვენ შოთას ლექციებს ვისმენდით.

ბინას ვეძებ-მეთქი, შევჩივლე შოთას:
მე გაშოვნინებო, თევდორე, ოთახს.

ვარაზისხევზე დავეშვით ქვევით,
მგლური ნაბიჯით და პრიმის წევით.

უბრად ჩავუარეთ გვერდით სალუდეს,
ვითომდა ვჩქარობდით, გზა არ გავამრუდეთ.

გმირთა მოედანზეც მდუმარედ, ყუჩად,
კვლავ ფეხით ავყევით ლენინის ქუჩას.

ბოლმას ვიბრუნებდი ნაფაზზე ნაფაზით -
მივხვდი, რომ იმასაც არ ეგდო აბაზი.

რა მექნა, თუმცაღა ვიწყევლე თავბედი,
მაგრამ ხმამაღლა სიტყვა ვერ გავბედე.

ვნატრობდი, ბინამდის გზას როდის გავლევდით.
ის თბილად მიმზერდა ირიბი თვალებით.

ისე თანაგრძნობით, ისე სიყვარულით,
ვითომ უზრუნველი... ვითომ მხიარული,

ასე ამიყვანა დოლიძის ბოლოში,
გორაზე გამოთხრილ პატარა სოროში.

ოთახში ვიღაცა ყმაწვილი დაგვიხვდა.
დაესწრო. შევწუხდით. გუნება წაგვიხდა.

ისევ გამოვბრუნდით მთლად ოფლად გაღვრილი.
უკან მივყვებოდი გალახულ ძაღლივით.

ის - დიდი პოეტი. ზღვა განძის პატრონი.
მე რაღაც ორიოდ სტრიქონის ავტორი.

ყეფით გვაცილებდა მასპინძლის ნაგაზი
და არც ერთს ჯიბეში არ გვედო აბაზი...

* * *

ზაფხული უკვე ჩამოთავდა,
წამოიმართა მთა მელოტი,
ასე მალე თუ ჩამოთოვდა,
მაინც, რატომღაც, არ ველოდი...
სამარეს ჩადიხარ, ჩემო თედო,
მწირი, გაცრეცილი საყელოთი...

არილი

დავით მჭედლური

# არაგვის ხეობის კაცი



იგი არაგვის ხეობის კაცი იყო და მთელი ცხოვრების მანძილზე გულათრთოლებული ელოდა მოცალეობის ჟამს, რათა კვლავ და კვლავ აევლო საყვარელი ხეობა. იქ, არაგვის პირას, იყო მაღალ მთებს შორის მოქცეული მისი საყვარელი ნაღვარევი, იყო მისი წვა-დაგვით აგებული სახლი, მოლოდინით ჩამოღალული, მისი უსათნოესი დედა და იყო მოგონებები მამით ობლობის მწარე დღეებზე.

ობლობის ეს ნაღველი გამუდმებით იწვა მის თვალებში, რომელთაც წამიერად გაანათებდა სითბოსა და სიკეთის ნაპერწკალი, როცა მეგობრებთან საუბრობდა, ან კარგ რაიმეს წაიკითხავდა, თუნდაც სხვათაგან გაიგებდა მოსწრებულ ნათქვამს ან კეთილ საქმეს.

თედო ბექიშვილის შინაგანი სითბო, გულწრფელობა და პატიოსნება შემოქმედებითი შრომის ჟამს მის ლექსებში გადადიოდა და თითქოს აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ ბოლომდე სიკეთის მსახურად დარჩებოდა, როგორც კაცი და როგორც პოეტი.

იგი ნაადრევად წავიდა ჩვენგან და ამ ტკივილის გამო კვლავ გვჭარბობს სენტიმენტალური მოგონებები, მაგრამ ალბათ დადგა დრო, როცა მოგონებათა ამ სამყაროს მიღმაც უნდა გადავიხედოთ, ვწეროთ და ვილაპარაკოთ თედო ბექიშვილზე, როგორც შემოქმედზე, და საერთოდ, მის თაობაზე, რომლის ნაღვაწიც ჯერ სრულიად შეუფასებელია.

ამ თაობას, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია თედო ბექიშვილი, თავისი დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს იმ პრობლემებისადმი, რომელნიც ტრადიციულად განსაზღვრავდნენ ქართული პოეზიის ბუნებასა და ხასიათს.

ეს იყო, ერთი მხრივ, ახალი სალექსო ფორმების ძიება, მაგრამ ამ თაობის შემოქმედებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე უპირველესად ახალ აზროვნებაში გამოიხატა, რაც განაპირობა 70-80-იანი წლების სოციალურმა გარემომ და სულიერმა ატმოსფერომ. პოეტთა ახალი თაობის შემოქმედება აღიბეჭდა ღრმა ფიქრით, სულიერი განგაშით, მტანჯველი ტკივილებით, პასუხგაუცემელი კითხვებით, ყოველივე ამით მოგვრილ სასოწარკვეთილებასთან ერთად გაჩნდა ახალი პოეტური სამყაროს მოდელის შექმნის აუცილებლობა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა წინა თაობათა მიერ მიღწეული და ის ახალი, რისი წარმოშობაც დრომ განაპირობა.

თედო ბექიშვილის შემოქმედება წინა თაობათა, ზოგადად ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციული მეთოდებისა და ახალი ნაკადის შერწყმის ერთი საუკეთესო მაგალითია და მის ბუნებაშიც როგორღაც ერთმანეთს შერწყმოდა პირადი, ადამიანური და პოეტური, შემოქმედებითი ტკივილი, ამ ტკივილებით იყო გაჟღენთილი მთელი მისი არსება.



დავით მჭედლური და თედო ბექიშვილი შატილში

გადაკარგული სადღაც შორს, იქით,
მიხმობს მიზანი მძლავრი ბედივით.
და გზებს მივყვები ოხვრით, ბორძიკით,
და კვლავ მაჩერებს გზაჯვარედინი,
და ბრუნდებიან სულში ეჭვები,
მარად ძველი და მარად უცვლელი,
კვლავ დაკრული ვარ მიწას ბეჭებით
და მტკივა ფრთები ამოუსვლელი.

ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში დაწერილ ამ ლექსში, თუნდაც მის ბოლო სტრიქონში, შესაძლოა ყველაზე უკეთ არის გამოხატული იმ ტკივილების შეგრძნება, რომელიც დიდხანს გაჰყვა თედოს შემოქმედებას და მისი საუკეთესო ლექსებიც "ამოუსვლელი ფრთებისა" და ჩახშობილი ყვირილის ბიძგით არის შექმნილი.

მაგონდება მისი პოემები, განსაკუთრებით "ხეობა", აღბეჭდილი ღრმა პრობლემებით და ტკივილებით, სულიერი საყრდენების ძიებით და თედოსთვის ჩვეული ოპტიმიზმით.

თედო ბექიშვილის ადრეულ პოეზიაში სჭარბობდა ურითმო ლექსი, თუმცა, როგორც არაგვის ხეობის კაცი, იგი ღრმად იყო ნაზიარები ხალხურ პოეზიას, ხიბლავდა ლექსის მელოდია და სიტყვის კეთილხმოვანება, ამიტომ თუ იყო, რომ შემოქმედებითი სიმწიფის ჟამს კლასიკურ ფორმებს ამჯობინებდა და ეს ლექსები დახვეწილი, ფაქიზი ოსტატის ხელით არის დაწერილი, ნათელი და გამჭვირვალეა, ასეთი იყო მათი ავტორიც, თავისი სულიერი წყობითა და ადამიანური ცხოვრებით.

შეიძლება თედოს ცხოვრებისეული მძიმე გზით ან შემოქმედისთვის ჩვეული წინათგრძნობით იყო განპირობებული ნაადრევ აღსასრულზე ფიქრიც.

მას ჯერ კიდევ 1988 წელს გამოცემულ წიგნში შეუტანია ლექსი "გამოთხოვება":

ყამარ! ახლა უკვე სამარე,
ჩემს სამარესთან შენ თმას არ გაშლი,
გადაიარა მზემ ცის კამარა,
და მთების მიღმა ჩადის განგაშით...
მხოლოდ ხსოვნა ვერ დავასამარე,
დამნაშავე ვარ ალბათ ამაშიც.

ყამარ, მწარეა ეს აღსარება,
ეს გაცოცხლება ძველი ელდების,
სამგლოვიარო რეკენ ზარები,
მზეო, ჩადიხარ, ცაო, ბნელდები,
გულო, მიგყვება ძველი ბზარები
და სიყვარული გასანედლები.

თედოს ცხოვრების დაისი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა დადგა საყოველთაო მღელვარების ჟამი, როცა პოლიკარპე კაკაბაძის გმირისა არ იყოს, - ყველა ცდილობდა ისტორიის ფურცლებზე გაჭყლეტილიყო, თედო კვლავ მშვიდი და აუმღვრეველი დარჩა, არას ამბობდა, თუმცა ეტყობოდა, ეჭვით შეჰყურებდა სოციალური ჭაობის ფსკერიდან ამოფრქვეულ თავაწყვეტილობასა და მოუთოკავ ვნებებს, მღვრიე წყალში ბედის მაძიებელ ავანტიურისტებს, თუმცა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გონიერი, გულწრფელი და რაინდული ბრძოლა აღტაცებას ჰგვრიდა.

იგი, უკვე მძიმე სენით შეპყრობილი, საავადმყოფოში დასაწოლად ემზადებოდა, როცა ერთ დღეს, მოულოდნელად "კრიტიკის" რედაქციაში შემოვიდა, სადაც მაშინ ვმუშაობდი, არაფერი კონკრეტული საქმე არა ჰქონდა და ვერც მისი მოსვლის მიზანს მივხვდი, თუმცა სხვა დროს არ გამიკვირდებოდა, მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის სასხვათაშორისო ვიზიტები წარმოუდგენლად მეჩვენა.

როცა ვაცილებდი, დამამახსოვრდა მისი ფერმიხდილი სახე და ძალზე სევდიანი თვალები. წასვლის წინ უხერხული სიჩუმე ჩადგა ჩვენს შორის, ნუგეშის რაღაც სიტყვები წავილუღლუღე, მაგრამ მივხვდი, ეს სიყალბე იყო, რაც თედოს მთელი ცხოვრების მანძილზე სძულდა.

მერეღა დავფიქრდი, რომ განგებ ან ქვეცნობიერად მოუნდა იმ ადგილებთან და ადამიანებთან გამოთხოვება, სადაც და ვისთანაც გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი.

უკანასკნელ დღეებში, სიკვდილთან პირისპირ მებრძოლი, გაუსაძლისი ტკივილებით შეპყრობილი, ისევ ღიმილით გვხვდებოდა თავის მეგობრებს, აქ ნუ გამწირავთ, არაგვის ჭალაზე ამატარეთ, - ვითომ ხუმრობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დროც მალე დადგა.

...და არის ახლა არაგვის ხეობის კაცი მშობლიური არაგვის პირას, თავის საყვარელ ნაღვარევში, თავისი ეზო-კარის მარადიულ პატრონად და მისი იქ დაბრუნების უკანასკნელი სურვილი თედოს კაცური ცხოვრების ბოლო წერტილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ქავთარაძე

# პოეტი და ზამთარი

## სილუეტები თოვლის ფონზე

„წერილი ზამთრიდან", ასეა დასათაურებული თედო ბექიშვილის ერთი ლექსი. „ხატავს მინებზე იანვარი ყინულის მინდვრებს, თოვს ღამღამობით, ყოველ დილა ვხვეტ კარმიდამოს". ბავშვობა და სოფელი თედოს ლექსებში უფრო ხშირად თოვლთან და ზამთართან ასოცირდება; ყინვა, მკაცრი სუსხი, მგლების ყმუილი, ნადირისგან დაფეთებული ძაღლის წკავწკავი - ამ ხმებით და ამ ფერებით არის გაჯერებული ყრმობის წლები. „თოვს, სივრცეები ჩამოვიწროვდა", - ამბობს ერთგან. სოფლიდან ქალაქშიც ამ ზამთრისეული განწყობილებებით ჩამოდის. „რა სიყვარულით, რა მზრუნველობით გამომაყოლეთ ზამთრის საგზალი", - მიმართავს მშობლიურ კუთხეს და ამ მიმართვაში არც წყრომა, არც საყვედური არ იკითხება. მერეც, როცა ცხოვრება რაიმე გამოცდას უწყობს, როცა პირისპირ დგას განსაცდელთან, საშველად განვლილ წლებს უხმობს, ძნელბედობის ჟამს ბავშვობის მკაცრი გამოცდილება ეხმარება, ხვედრს უმსუბუქებს: „რად წარიკვეთავ სასოს, გულო, ამტანო ყოვლის, შენ უფრო მეტი გახსოვს ყინვა, სუსხი და თოვლი".

დედის სახება თოვლის ფონზეა წარმოჩენილი: „როგორ თოვს, ჩემო თეთრო დედილა, როგორი თეთრი ფიფქები გვფარავს, როგორი მძიმე და ჩახერგილი ზამთარი მალე მოგადგა კარად". ან ასეთი სულის და გულის შემძვრელი სტრიქონები: „ნისლო, მთით ჩამომავალო, რა ამბავ მოგაქვ, ნეტავი? რასა იქმს ჩემი დაღლილი, ჩემი მწუხარე დედაი? ხომ არ ჩაკეტა ნამქერმა გზა-ვიწროები სავალი? კვამლი თუ ადის ერდოზე, ისევ თუ ყივის მამალი?" ეს დედაქალაქიდან დანახული სოფელია, წუხილი და შიშია მარტოდ დარჩენილ დედაზე.

შინმოუსვლელ მამასაც დათოვლილი მაზარა აცვია: „უცებ ჭრიალით იღება კარი, შემოდის კაცი, დათოვლილი რუხი მაზარით". „მგლების მონატრება" ჰქვია თედო ბექიშვილის ერთ ლექსს: „ბარდნის და ბარდნის, დაიკარგა თოვაში გზები, ზვავების გუგუნს ოხვრასავით გამოსცემს მთები, ილვიძებს შორი მოგონება ბავშვობის წლების - იმ დროს ხეობას მოძახილი იკლებდა მგლების". მაშინ შიშს ჰგვრიდა ბავშვს მგლების ყმუილი, მათი კვალი მარყუჟად ეხვეოდა სოფელს, საზარელი ხმა „ჰაერსაც კი აკანკალებდა". მაგრამ ახლა პოეტისათვის გაცილებით შემზარავია მგლებისგან დაცლილი ხეობის მკვდრული სიჩუმე: „გასულან წლები, აღარ ისმის ყმუილი მგლების", „თოვს ხვავრიელად, არაფერი არ მიხარია".

უცნაურია, მაგრამ ზაფხულშიც ზამთრის მოლოდინით ცხოვრობს პოეტი: „ზამთრის თეთრი ფრინველის ველი ჩამოქროლებას". უფრო მეტიც, „როგორც საშველს მოველი მთელი ზამთრის შემობრძანებას".

ზამთარი „გზაუცთომელია", „მომაშფოთებელია" და მაინც... „მშვიდად, მშვიდად მოველით მე და ჩემი სოფელი". რატომ? პოეტი, ნაწილობრივ თავადვე უძებნის ახსნას ამ გარემოებას: „ვინ გაგვაძევა გაზაფხულიდან, რომ ამ თოვლეთით სული აგვევსო? რომ სიყვარულის მძაფრი წყურვილი თოვლად გვექცია, უძვირფასესო?" ბოლო კითხვაპასუხსაც შეიცავს თავის თავში: ეს სიყვარულის მძაფრი წყურვილია თოვლად ქცეულიო.

მე ჩემი „ვერსიაც" მაქვს - საქმე იქნებ სწორედ ამ „გზაუცთომლობაშია" - ზამთარს უფრო მკაცრი და გამოკვეთილი სახე აქვს; ის უფრო პირდაპირი და დაუნდობელია. უფრო მეტად ჰგავს ყოველდღიურ ცხოვრებას, ვიდრე მაცთური ზაფხულის ხანმოკლე გაელვება მთაში. ზამთარი სულიერი და ფიზიკური ძალების მეტ მობილიზებას მოითხოვს და ამიტომ უფრო მეტად მიესადაგება პოეტის ხასიათს და ცხოვრების წესს.

ვფიქრობ, ამ გარემოებამაც განაპირობა ზაფხულში, თაკარა მზისა და ხასხასა ფერების თვეში, დაბადებული პოეტის ასეთი სულიერი სიახლოვე ზამთართან და თოვლთან.

2001 წ.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

# სიტყვები გარდაცვლილ მეგობარს

თედო ბექიშვილის ლექსები: სამყაროს შხამიანი შემოხედვით შეძრული სულის წრიალი: სიტყვის შემაძრწუნებელ ულმობლობით დაღდასმული შინაგანობის სურათი, რასაც მხოლოდ სიტყვიერი საზომების შემწეობით თუ გავაცხადებთ და ვიგრძნობთ და საჩინოს გავხდით თუნდაც წამიერ, რომ რაღაც პოზიტიური დასკვნა გავაკეთოთ და ვთქვათ, რომ ის, რაც არის, უდავოდ ღირებულია და რაღაც არის...



"ლიტერატურული საქართველოს" აივანზე: მ.წიკლაური, ვ.ჭელიძე, ჯ.ღვინჯილია, გ.ჯოხაძე, თ.ბექიშვილი, თ.ბიბილური

პოეზიიდან, მისი აღქმიდან, მისი აღნაგობიდან საბოლოოდ უტილიტარულობის ნიშნებს ვერ გამოვრიცხავთ: ლექსი მოგვეწონს, თუმცა მას ვერაფერში გამოვიყენებთ, მაგრამ სულიერი ქაოსის დაძლევაში უდავოდ წაგვადგება, რადგან ის არის ღვთაებრივი ნარკოზი, ღვთითბოძებული ნარკოტიკი და მისი ზემოქმედება უფრო ძლიერდება მაშინ, როცა შემოქმედის ბედთან ერთად გავაცნობიერებთ...

ხოლო პოეტის ბედი, ბიოგრაფიის ეს დაბურული მხარე, შესაძლოა სულაც არ იყოს დიდი ცხოვრებისეული ბატალიებით სავსე...

პოეტის ბედისწერა სიტყვასთან გატარებულ დროში ეტევა, აქ მიდის, აქაა მისი ტრაგედიის სათავე: აქ იწყება და აქვე აღსრულება...

პოეტის სიკვდილის შემდეგ კვლავ გრძელდება რაღაც და ესაა ბედი, რაც მის მიერ დანატოვარ ლექსებს მოსდევს, სიტყვაში ცხადდება და პოეზიის სიცოცხლის ძალით ავსებს, მის ინტერესსა საზღვრავს დროში...

ბედისა და მემკვიდრეობის ერთიანი გააზრება გვეხმარება, რომ ვიგრძნოთ, თუ დღეს ვინ არის ის, ვინც ათიოდე წლის წინ აღესრულა: გამძაფრდა თუ გაუფერულდა მისი პოეზია, ცოცხლობს თუ არა ის ნერვი, რაც თავის წყობილსიტყვაში ჩააკერა, ზეობს თუ არა ის დარდი, რაც სიტყვებს გადასცა...

ვიტყვი: ათი წელი ძალზე ცოტაა მემკვიდრეობის დღეგრძელობის გამოსაცდელად...

ყველაფერი დაიწმინდება და დადგება მაშინ, როცა სხვა თაობები მოვლენ, როცა თანამედროვეები სამზეოს დატოვებენ, როცა მოხდება გემოვნების ფერისცვალება... ეს არც თუ ისე დიდი დროა...

აი, მაშინ გაბრწყინდება პოეზიის ნამდვილი სახელი, ყოველგვარ მიკერძოებისა და შელავათებისაგან თავისუფალი.

თედოს ბევრი რამ უთქმელი დარჩა: ის მრავალწერტილი, რითაც მისი ბოლო ლექსი მთავრდება, სწორედ იმ უთქმელს, დაუწერელს გულისხმობს და მოიცავს...

მეტი რაღა უნდა დაეწერაო, შეიძლება მკითხონ. ვერაფერს ვიტყვი. ის იყო განუსაზღვრელი კაცი. რომ ეცოცხლა, შესაძლოა აღარც დაეწერა რამე: შესაძლოა ზურგი შეექცია ჩვენი ამღვრეული ყოფისათვის და თავის მამაპაპურ სოფელში განმარტოებულიყო: ტყეების და სათიბების, საძოვრებისა და საფუტკრის ღვთაებრივ ხმებს მინდობოდა და ამით გაეიოლებინა ცხოვრების სიმძიმე, ეგრერიგად დაუზოგავად რომ მოსდევდა სიჭაბუკიდანვე, შემზარავი ტკივილებით რომ აავსო მისი ალალი გული.

აი, კიდევ ერთ შესაძლებლობასაც წარმოვიდგენ, უფრო რეალურსა და ცხადს: ისევ "ცისკრის" რედაქციაში ზის, თავის კაბინეტში, ახალგაზრდა პოეტებით გარშემორტყმული. ლექსსა კითხულობს ხმამაღლა, დაგემოვნებით (ლექსის წაკითხვა ხომ შესანიშნავად იცოდა!)... მაგიდაზე ორთქლავს ახლად დაყენებული ჩაი...

სხვა რამ შესაძლებლობები კი აღარ არის: განსაკუთრებით ის, ჩვენი დრო რომ გვთავაზობს: ბიზნესი, აღებმიცემობა...

ამგვარ რამეში არ გაერეოდა, ცხადზე ცხადია.

ოღონდაც: ტკივილები და ვარამი გაუსამმაგდებოდა, გაუზევრდებოდა: ამას ხომ ჩვენი დრო უხვად იძლევა, თავზესაყრელად, დაუნანებლად,,,

ესეც სავარაუდოა, რომ მომატებული ტკივილებით შეძრული, ლექსის ტრაგიკულ სულისკვეთებას უფრო გაამძაფრებდა, სისხლით შეღებავდა.

სახელი სხვადასხვანაირია: მწერლობაში ერთნი მას მოიპოვებენ სკანდალებით, ლიტერატურული შეხლა-შემოხლით; ხოლო მეორენი - პატიოსანი შრომით: გულისნადების უნაკლო გამომზეურებით...

ვიტყვი: ხშირად პირველთა სახელ-დიდება ძალზე სჭარბობს მეორეთა სახელს...

თედო სწორედ ამ მეორე რიგს ეკუთვნოდა და არასოდეს ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია იმის გამო, რომ ვერ მიიღო ის ყურადღება, რაც ეკუთვნოდა, რაც ალალი, ჩუმი მოღვაწეობით დაიმსახურა...

ასეთი იყო მისი ბედისწერა... რას ვიზამთ, ბედის მიერ უფრო უარესად ჩაწიხლული და უკუგდებული სახელებიც ხომ ვიცით, მხოლოდ სიკვდილის შემდგომ რომ ელირსნენ გამომზეურებას... ამისთვის მეოცე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნის ორი გამორჩეული სახელის - შოთა ჩანტლაძის და ნიკო სამადაშვილის გახსენებაც კმარა.

განდიდების წყურვილი არასოდეს უქცევია თავის ნიღბად: უბრალოება და პოეტური სიცხადე თანა სდევს თედოს ლექსს...

მოვიხმობ მის ერთ გამოძახილს, პოეტის ავტოპორტრეტად რომ გამოდგება: "ვიცი, სხვათაგან გამორჩეული სულაც არ არის ჩემი ფიქრები, არც ვცდილობ, მე და ჩემი რვეული გამოსაჩენად ვერ მოვირთვებით. ვიქნებით გზის პირს მდგარი ჯაგივით, დაბლაგვებული ჩვენი ეკლებით... რომლებზეც ზოგჯერ, მზიან ამინდში, ჩამოსხდებიან ჭრელი პეპლები"...

მართლაც ასეა: სალონებში დადგმულ ყვავილებზე პეპლები არა სხდებიან; პეპლებს უყვართ ჯაგის საოცარი ყვავილი, გამაბრუებელი სურნელით სავსე...

პირველ წიგნს "მთაო გადმიშვი" დაარქვა: ეს იყო მთელი მისი პოეზიის სულისკვეთება, ძნელი ჟამის დაძლევის, დროის კედლის გადალახვის მრავალჯერადი მცდელობა.

ეს იყო ერთგვარი ომი, სადაც ადამიანი ვერ იმარჯვებს, მაგრამ სულისკვეთება, ცხოვრების ანარეკლი რჩება, როგორც დიდი ორიენტირი და ამ ომის გადახდის გამართლებაც ესაა.

სიკვდილის წინ უთქვამს: ბედნიერი ვარ, რადგან თავისუფალ საქართველოში ვკვდებიო...

მართლაც, ის ჯავრი, ის ყომრალი ღრუბელი ნაწილობრივ ხომ ამოირეცხა გულიდან; იმ შემზარავი, სისხლიანი კედლის ნანგრევებს ხომ დაადგა ფეხი! ესეც ხომ ერთგვარი ბედნიერებაა!

ამის ნატვრაში გადეგო მთელი თაობები, ამაზე ფიქრმა გააველურა ქართული სისხლი, დააშრო, დააჩიავა...

ოდესღაც თარგმნა ტანიკავას ნაღვლიანი ლექსი: "რა დარჩა ქვეყნად კაცისაგან? ცოლი და ბავშვი, სხვა არაფერი... სამარის ქვაც კი არ დარჩენილა"...

ჩვენ კი ასე ვთქვათ: დარჩა ცოლი და ბავშვები; დარჩა წიგნები; დარჩა სახელი; დარჩა სამარის ქვა... ყველაფერი დარჩა...

"ვცდილობ, ვისწავლო წერა, გადმოვიწერო გული". უკვე ეს სტრიქონებია გულის გადმოწერა: ეს ხომ უძნელესი საქმე იყო იმ დროში... მაგრამ თედომ შეძლო...

ეს ორი სტრიქონიც კმარა იმისთვის, რომ კეთილად შევიცნოთ ის, ვინც უკვე ხსოვნაშია, ვინც მარადისობას ეზიარა უკვე.

აი, უკვდავი ფორმულა: ვინც საკუთარი გულის გადმოწერას შესძლებს, პოეტიც ის არის!..

პოეტი მოკვდა. მისი სახელი კი ასე გადანაწილდა: თედოს დრო; თედოს წიგნები; თედოს სახლი; თედოს ქუჩა; თედოს სახელობის სკოლა... თედოს საფლავი, ნაღვარევში თედოს ეზოში, მის მიერ დარგულ ვაშლის ქვეშ რომ გაიჭრა... და ა.შ... ჩამოთვლა შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, მაგრამ ესეც საკმაო: მარადისობა ასე ანაწევრებს იმათ სახელებს, ვინც მას ეკუთვნის, ვინც უკვე დაითავისა, ვინც შეიყვარა...

პოეზიას სრული და საბოლოო დავიწყება არ უწერია: იქ, შორეულ მომავალში მაინც აღმოაჩენენ, იგრძნობენ. სხვაც რომ არაფერი მოხდა, "ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ის ეყოფა გადასარჩენად"...

*2001 წ. ივნისი*

არილი

## გივი ალხაზიშვილი

### თედოს

გაუჩინარდი მრავალთა მსგავსად...
და სოფლის ბოლოს, სადაც ძნებია,
იქ, ჩამავალ მზეს ჩასძინებია,
მზე სათიბიდან არ მიდის არსად.

გაუჩინარდი მრავალთა მსგავსად
და ძველ თაროზე დაგრჩა წიგნები,
შენ, იმ წიგნებში მუდამ იქნები,
იქ იარსებებ, სხვაგან კი არსად.

ხომ გახსოვს ქარი, ვუსმენდით ქარსაც,
შიშის სუნთქვაა, ვამბობდი ქარზე,
ცაში ბგერებად გაბნეულ არზებს -
ჩვენი დარდები მიჰქონდა არსად.

მიყვარდა ფიქრი და ძველი თემის
მემილიონედ დამუშავება,
მეც იმ ჯადოსნურ წრეში გავები,
წინაპრები რომ ცხოვრობდნენ ჩემი.

შენც ხომ გაქცევა გინდოდა წრიდან,
როცა სიცოცხლე გექცა მარყუჟად,
რადგან ტკივილი ვერ გააყუჩა
ცრემლის სინათლემ - თვალში რომ ცრიდა.

შენ წევხარ, - არა მრავალთა მსგავსად,
ტყის სიახლოვეს, სადაც ვაშლია,
შენს საფლავზე რომ ჩრდილი ჩაშლია,
და იმ ჩრდილიდან არ წახვალ არსად.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯემალ აჯიაშვილი



### თედოს

*ნალვარევი, 2001 წლის 22 ივნისი*

როს ალიონი ჩამოუშვებს ღამის აფრას და
მზე იხარჯება საამსოფლო დასახარჯივით, -
ჩამოხვალ მთიდან ცრემლიანი შენი არჩივით
და ნაღვლიანად ჩამოჯდები საძმო ტაბლასთან.

შეღამების ჟამს გავიყრებით - და შენც ათასთა
კვალს აუყვები მზეასხმული, სხივებგაჩრილი
და გზა-გზა ისხლეტს შეუმცდარი შენი აჩრდილი,
რაც სულის წიაღ გაუცხოვდა და გადაფასდა.

ჩაცხრება ღამეც... მოწესენი საქმეს გალევენ,
ბნელს შეერევა ნაუბარი ქალის თუ კაცის,
ბნელს ენივთება წარმავლობის გზებზე მარებელ

ძეშეცთომილთა სამოსელიც - ფარჩაც და ფლასიც
და ვარსკვლავები სიყვარულით უთვალთვალებენ
შენს სამარესთან ჩამომსხდარი ჩრდილების ლაციცს...






## რევაზ ინანიშვილი

# დედაო, დაო, სიყვარულო

### ნარკვევი

*თედო ბექიშვილს*

ნაშუაღამევის ოთხის ნახევარი. ქართველთა უკანასკნელი სოფელი დარიალში. მოვარდისფრო კლდეები, შავი მკაცრი ჩრდილები. დიდი ჩახჩახა მთვარე მოწმენდილ ცაზე.

ასეული წლებია, ეს სოფელი გზად დევს. ვის აღარ აუვლია და ჩამოუვლია ამ გზით: იმპერატორებს, მეფეებს, სარდლებს, მეფე-პოეტებს; მათთან ერთად - მძარცველებს, მკვლელებს, ქურდებს, ნაძირალებს. ყოველი მათგანის სული თავისებურად ლოკავდა ამ კედლებსა და კლდეებს. აშლილა სოფელი, წასულა, სხვები მოსულან, მაგრამ ისევ ქართველები მოსულან. ერთი შეხედვითვე ეტყობა ქართულობა სახლებს, ღობეებს, საქონ-საყოლსაც კი. მთვარის სინათლეში მშვიდად, ღონივრად სხედან უკანა ფეხებზე დიდი თეთრი ნაგაზები, ნამდვილი ძველებური ცხვრის ნაგაზები - ბებერა და ლომა. კეთილი ნდობით შემოგვყურებენ მთლად უცხოებსაც (ეს იმიტომ, რომ ჩვენში, ერთ მათ მოკეთეს, ასე სურს), მათი პატრონი კი, პირველ დაძახებაზევე გამოღვიძებული ახალგაზრდა ქვრივი, გამხდარი, მსუბუქი, თვალებნათელი ქალი, თითქოს ფეხზე აყენებს, აბუნტებს მთელ აქაურობასაც:

- ვაი, მომიკვდა თავი! ვაი, თუ დიდხანს გალოდინეთ. ახლახანს ჩამეძინა, მე ბეჩავს. მობრძანდით და დაბრძანდით! - ყურთამდე აღებს სახლის ორივე კარს. - მობრძანდით, გენაცვალეთ! შენც მოიპატიჟე, ბიჭო! - მკლავზე ექაჩება ჩვენს მეგობარს, ვაჟიშვილის ნათლიას (ვაჟიშვილებს ღონივრად სძინავთ), - რძე მაქვს ძალიან კარგი და ახლადგამომცხვარი პური. დაბრძანდით! ჩამოისვენეთ! - აქეთ-იქით ეწევა სკამებს. სწრაფად გამოაქვს მაგიდაზე დიდი ქილით რძე და შინდამცხვარი სეფისკვერებივით პურები. სწრაფად ავსებს ჭიქებს. ჩვენი მეგობარი უყვებოდა, რა ამბავიც იყო ჩვენს თავს, - ბავშვი რომ გვყავდა ამასწინათ თქვენთან, ის გამხდარა ავად ჟელეზნოვოდსკში, ოპერაციას უკეთებენ, ეს პაპაა ბიჭისა, ეს ბებია.

- ვაი, რას მეუბნებით! ვაი, რატომ არ დამიდგება თვალი! ის კარგი, ის ტოროლა! რატომღა წაიყვანეთ აქედანა, რატომა! ხომ ძალიან მოეწონა აქაურობა, ეს ჩვენი კლდეები, ჩვენი სახლები, ჩვენი მყეფრები. როგორ ეხუტებოდა ყბებზე ხან ერთს და ხან მეორეს. ესენიც რა დღეში იყვნენ. რათ წაიყვანეთ აქედანა, ხომ გეხვეწეთ, ყოფილიყო ჩემთან დედიანათა და ნახავდით, როგორ დაგახვედრებდით ლოყებდავაშლებულსა კარგი რძითა და კარგი პურითა. როგორ გაუშვით ის იმოდენა ქვეყანაში, ქალი ქალს რომ ვერა სცნობს და კაცი კაცსა! მომგვარეთ, აქ მომგვარეთ ის ცუდი, ის მაიმუნი. როგორ ახარებდა აქაურობა!.. ბიჭები დაჰპირდნენ, დევთან წაგიყვანთ და არ შეგეშინდებაო! არ შემეშინდება, არაო. შენ შემოგევლე, ბიჭო! ოი, რათ გაგატანეთ! ოი, ძალით რათ არ დავიტოვე აქა! კიდევ მიირთვით, კიდევა, გენაცვალეთ!

ჩვენ ღიმილიან, მაგრამ მტკიცე უარზე ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თედო ბექიშვილი რევაზ ინანიშვილთან და შვილებთან - ნინოსთან და თეონასთან ერთად

დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ჩვენი მეგობარი ეკითხება, - მაშ არაფერს მაბარებ, სულა? - არაფერს, არაფერს. მაშ წავედითო, უუზარმაზარ მადლობას ვუხდით. რაისთვისაო, რაისთვისაო! მანქანაში ვსხდებით.

წამოხრილია ჩვენსკენ: - ნუ შეგეშინდებათ, ნუ! გული კარგს მეუბნება, კარგად იქნება. წადით და მომგვარეთ აქა!

ჩვენ მივდივართ და ის რჩება. ჯერ აწეული აქვს უმწეოდ ხელები, მერე დაუშვებს და კალთაზე იწყობს. რამდენიმე ნაბიჯზე გამოდევნებული ნაგაზები კმაყოფილები ბრუნდებიან მასთან. თავზე დაჰნათით დიდი ბრდღვიალა მთვარე.

სადაცაა გამისკდება საფეთქლები, - ვისა ჰგავს ეს ქალი, ვის?.. გაგიჟებით ჰგავს ვიღაცას და ვერაფრით კი მივმხვდარვარ, ვის...

* * *

ორი კვირის შემდეგ, ჟელეზნოვოდსკიდან ბედნიერად გამობრუნებულებმა, ღიმილით მივგვარეთ ნაოპერაციევი ბავშვი. ამჯერად დღე იყო, შუადღე და ყველაფერი თითქოს გამადიდებელ შუშაში ჩანდა. თითქოს ნარბენი, თალხ, გახუნებულ ბამბაზიის ხალათში გახვეული, გახარებული მლოცველის სახით ჩაიხარა, ორთოლვით შემოაწყო ხელები ბიჭს ბეჭებზე, მიიხუტა. ბებერამ და ლომამ თავები ჩაღუნეს და ერთი იქით წავიდა, მეორე აქეთ, თითქოს მოერიდათ, ცრემლი არ დაენახა ვინმეს მათ თვალებში.

და აი, მაშინ ვიღაცამ მიკარნახა აშკარად: ეგ არისო, ჰო, ჩვენი დამდნარი მარადიული დედა. ჩვენთვის თავდადებული მარადიული და, ჩვენი მარადიული სიყვარული. ეგ აკოწიწებს თავისი მთრთოლვარე თითებით ავკაცობისაგან დასანგრევად განწირულ ქვეყანას. ილოცეთ მაგისთვის და მაგისი მოდგმისათვის... ქალმა ხელების სწრაფი მოჭერით შეუმოწმა ბიჭს სხეულის სიმრთელე და ახლა უკვე პატარა ფარდულის პატარა შავ კარში შეიჩქაროდა დახრილი. ატყდა იქ ქათმების კრიახი და ფრიათი. ჩაჩუმდნენ ქათმები და ისევ მომესმა ხმა: შეგვიბრუნდებიან ჩვენი ბედის ვარსკვლავები, სულ სხვები მოვლენ ამ მიწაზე, მაგრამ ეგ, ექოსავით უსხეულოდ მაინც მარად იარსებებს ჩვენს მთებში, ჩვენს კლდეებში, შემალულ გამოქვაბულებში, ეხებში, ნაპრალებში, მუდმივად დაძაბული ჩვენი დაძახების მოლოდინში, და ვინც პირველი მოხვედეთ, პირველად დაუძახეთ მაგას - დედაო, დაო, სიყვარულო!..

ჩუმად, ჩურჩულით მიკარნახა იმ ვიღაცამ ეს. მეც ჩუმად გეუბნებით ყოველივეს. ვინ იცის, რა არის ჩათქმული ამ სიჩუმეში!

ქალი დახრილი გამოდიოდა ფარდულიდან. და თითქოს... უკვე გამოქვაბულის სიშავიდან მოანათებდა მოცისფრო, მომწვანო თვალებს.

## შოთა იათაშვილი

### ფანჯარი ცაში

არა და არ გამოილია ეს ფანჯარი ცაში.
ფანჯარი - დაუღლელ ხელს რომ უჭირავს და
ხატავს, წერს, ჯღაბნის მისით
60-გრამიან, 80-გრამიან, 0,1-გრამიან, 1000-ტონიან
ქაღალდებზე.
გუტენბერგის ციური სამყარო
შეუფერხებლად მუშაობს დღემდე და თანაც ისე, რომ
არ სჭირდება სასტამბო საღებავი -
მხოლოდ ფანჯარი -
ერთადერთი ცის ფანჯარი და კიდევ სათლელი -
ჩვენი წინაპრების სულების ბასრი კბილებისაგან
დამზადებული,
მუდმივად განახლებადი,
მოდერნიზებადი.

ციური ბეჭდური პროდუქცია კი,
ჟანრული მრავალფეროვნებით მეტად გამორჩეული -
ფანტასტიკა, სატრფიალო ლირიკა, სიზმრების ახსნა,
ანთროპოლოგია, ისტორიოგრაფია, მეტაფიზიკა,
რიცხვთა თეორია, დიზაინი, კულინარია და ა.შ.
და ა.შ. -
დაბლა, დედამიწაზე გამოგზავნილი და
ჰაერში მოფარფატე,
ჩვენს სხეულებზე შემოგრაგნილი,
მიწაზე ფარდაგივით დაფენილი -
ძირითადად მაინც წაუკითხავი რჩება.

აგერ, ნახეთ მზარეული -
ის ეცნობა ათასნაირ კულინარიულ რეცეპტს,
მაგრამ რატომღაც არ აინტერესებს
ზეციური კულინარია.
აგერ, მკითხავი -
სიზმრების ამხსნელი უამრავი წიგნი აქვს
გადაბულბულებული,
მაგრამ სიზმრების ზეციურ ახსნაზე
წარმოდგენაც არა აქვს.
აგერ, ფილოსოფოსი -
თავაუღებლად რომ ჩაჰკირკიტებს
ათასგვერდიან ნაშრომებს მეტაფიზიკაზე,



არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წამითაც არ ჩაუხედავს
ზეციური მეტაფიზიკის არცერთ წიგნში.

ფანქარი ცაში კი
არაფრით არ ჩერდება.
თხზავს და თხზავს
თანამედროვე ციურ ლიტერატურას -
ხან ეზოთერულს,
ხან ბულვარულს, -
მაგრამ მაინც საშინლად არაპოპულარულს
და არაკომერციულს
დედამიწაზე.

## ყვავილი მაშინ, როცა გატეხილი ჭიქის ნამსხვრევებზე ფეხი გეჭრება

მზის სხივი, ის,
ბროლში რომ უნდა გაეარა და
სახლის პატარა, მოშინაურებულ
ცისარტყელად დაშლილიყო,
ახლა დაუბრკოლებლად გადაკვეთს
მთელ ოთახს და
კუთხეში მიგდებულ შენს ფლოსტს დააკვდება.

ივრის წყალი, ის,
ონკანში რომ უნდა გაეარა დაქლორილს და
ჭიქაში გაპიპინების შემდეგ
შენს ისედაც მეტისმეტ სხეულს წამატებოდა,
ახლა ნიჟარაში ჩალაგებულ
გასარეცხ თეფშებს დაათქრიალდება.

სისხლი, ის,
ფეხისგულიდან რომ არ უნდა გამოგხვლოდა და
იატაკსა და ბროლის ნამსხვრევებს
არ უნდა წასცხებოდა,
ახლა იოდიან ბამბას და
ჩემს სულისბერვას ელის
ცოტათი დამფრთხალი.

განსაკუთრებით აი,
რატომ გჭირდება შენ ახლა
საჩუქრად ყვავილი, რომელსაც
პირობითად ჩემი სიყვარული ჰქვია.

## მანეკენი

ჩემი მეგობარი რომ მოკვდა,
მივხვდი:
ის იქცა მანეკენად
უშუალოდ ჩემთვის.

რამდენიმე დღე მქონდა გამოყოფილი
და ამ რამდენიმე დღეში
უნდა მომესწრო და მეხილა
მის მანეკენურ ტანზე მორგებული
ჩემი სიცოცხლის ჰალსტუხები,
ჩემი სიცოცხლის მაისურები და ჯინსები,



შარვალ-კოსტუმები,
ქუდები,
ტუფლები,
სანდლები,
და კიდევ, რა თქმა უნდა,
სიკვდილის ტრუსები ჩემი.

რამდენიმე ხელი ტანსაცმელი -
არა მაინცადამაინც მოდური,
არა მაინცადამაინც გემრიელად სატარებელი -
არამედ ისეთი,
ჩემს ჰორიზონტალურ მანეკენს რომ მოადგებოდა
ყველაზე კარგად ტანზე,
სასწრაფოდ უნდა შემერჩია
დანარჩენი ცხოვრებისათვის.

სხვა დროს, სხვას,
შეიძლებოდა არც ვნდობოდი,
მითუმეტეს არავერტიკალურს,
მითუმეტეს კუბოს ვიტრინიდან მომზირალს,
მაგრამ ახლა ყველაფერი უეჭველი იყო -
უეჭველი, რადგან
მანეკენი ჩემი მეგობარი იყო,
ჩემი მეგობარი კი მანეკენი
უშუალოდ ჩემთვის.

* * *

ვერ გავარკვიე,
ბინდი იყო თუ რიჟრაჟი,
მაგრამ ვბერტყავდი ყორნებს ხიდან
და ვღიღინებდი პოს კუპლეტებს
ჩემი მჭახე ხმით.
ვერ გავარკვიე,
ჩამომხრჩვალი ექსტრემისტი იყო თუ ჭალი,
მაგრამ ვიდექი მოქანავე აჩრდილის ქვეშ და
ვტიტინებდი გრძელ ფსალმუნებს
დაუსრულებლივ.
ლეღვის ფოთოლი აფრიალდა
ჩემი ძველი მეგობრის, ევას
სარცხვინელიდან.
ხელში მეჭირა კომპასი, რათა გამერკვია,
ჩრდილოეთით წავიდოდა იგი,
სამხრეთით,
დასავლეთით თუ აღმოსავლეთით.
ხელში მეჭირა კომპასი, მაგრამ,
იცი, მაინც ვერ გავარკვიე,
საით გაფრინდა ის ფოთოლი,
საით გაფრინდა ჩვენი ბაღი,
ან სიყვარული.

* * *

თვალებში ჩაგხედე და
საკუთარი თავი დავინახე დაპატარავებული.
მაღლა ავიხედე, ვარსკვლავებისაკენ, და მივხვდი:
იქაც საკუთარი თავი უნდა დამენახა,
ოღონდ გაზრდილი.



არილი

დათო ქარდავა

# ვეგეტარიანელთა კუნძული

*"ბავშვი, რომელიც სოლომონის კუნძულებთან ღია ზღვაში ორი დღის წინ უგონოდ მყოფი ვიპოვეთ, არ მომკვდარა. საოცარია, მაგრამ ეს ველური არსება დღითიდღე არაჩვეულებრივ მოხერხებულობასა და საზრიანობას იჩენს..."*

*კაპიტან მორტინეს*
*მასპეროს დღიურებიდან*



კუნძული იყო პატარა...

თუმცა, არც ისე პატარა, როგორც კონტინენტის მკვიდრს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს. თვითონ კუნძულელები თავიანთი სამშობლოს სიმცირეს ვერ ამჩნევდნენ, პირიქით, შეიძლება ითქვას, ხალვათადაც კი გრძნობდნენ თავს.

კუნძულზე ჰავა ტროპიკული იყო, მიწა - ნოყიერი, წყაროები - ცივი და კამკამა.

ოკეანეში ჩაკარგული მიწის ამ ნაგლეჯს, აბორიგენი მოსახლეობა ინსულად მოიხსენიებდა, საკუთარ თავს კი - ინსულელებად.

ინსულელები საკვებად მხოლოდ მცენარეულს იყენებდნენ. საამისოდ კუნძულზე უხვად მოიპოვებოდა ბანანი, ანანასი, ქოქოსის კაკალი და სხვა ბევრი გემრიელი რამ. ასე რომ, ამ მხრივაც კმაყოფილები იყვნენ.

თუმცა, ისევე როგორც ყველა არაინსულელს, ინსულელებსაც ჰქონდათ ერთი მცირე, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო ნაკლი: ამ უწყინარმა არსებებმა არაფერი იცოდნენ სამყაროში სხვა ადამიანების არსებობის შესახებ. უფრო მეტიც, გულუბრყვილო და უმეცარ ინსულელებს ვერც კი წარმოედგინათ, მშობლიური კუნძულის გარდა, მყარი საყრდენი, იგივე მიწა, სხვაგანაც თუ არსებობდა. კუნძულის ქვიშიან სანაპიროზე დაყრდნობილ ლურჯად მოლივლივე ოკეანეს მთლიანად დაეპყრო მათი გონება.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გაოცდნენ ამგვარი "ყოვლისმომცველი" ცოდნით აღჭურვილი ინსულელები, როდესაც კუნძულზე რამდენიმე წლის წინათ უგზოუკვლოდ გაუჩინარებული და ნაადრევად გაჭაღარავებილი აკიდე ეძანდრავეშა გამოჩნდა. პატარა აკიდეს სანაპიროზე თამაში და ზღვის უკიდეგანო სივრცეში საათობით ცქერა უყვარდა. რაზე ოცნებობდა პატარა აკიდე? ვინ იცის, ვინ იცის... გაუჩინარებამდე ინსულელებმა იგი ზღვაში მოჭყუმპალავე ნახეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პატარა აკიდესათვის დროს ტყუილად არ უდენია. ამ კაცის მეორე მოსვლით, კუნძულის დაუწერელ ისტორიაში ახალი ერა დაიწყო!

ინსულელთა გაოგნებამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა - სად იყო ამდენი ხანი, როგორ იარსება ეს წლები?! ინსულელი ხომ არც თევზია და, მით უმეტეს, არც ზღვის ბინადარი სხვა რომელიმე ცხოველი, კუნძულს მიღმა რომ ეარსება?

ყველა ამ თავისამატკივებელ კითხვაზე პასუხების არ არსებობა (არცთუ აკიდე ეძანდრავეშას დუმილის გარეშე), მას მისტიციზმისა და სასწაულის ნისლში ხვევდა.

ჭაღარა აკიდეს გამოჩენასთან ერთად, ინსულელებმა კუნძულის ჩრდილოეთით, უმნიშვნელო ფართობზე უდაბნოსმაგვარი, ქვიშიანი ადგილის გაჩენაც შენიშნეს.

თავიდან ამ უჩვეულო მოვლენისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, ხოლო როდესაც უდაბნოს გაფართოების ვერ შემჩნევა შეუძლებელი გახდა, ყველაფერი გვიანი იყო: ოქროსფერი მშრალი ზღვა, ქვიშის პატარ-პატარა ტალღებით, ჯიუტად მიიწევდა კუნძულის გულისაკენ და გზად ყველანაირ მცენარეულს სპობდა. კუნძულზე დამტყდარ უბედურებას ხანგრძლივი, გულამდე გამომფიტავი გვალვებიც დაემატა. ამ დროს ხეებში სასიცოცხლო წვენები იმდენად შრებოდა, რომ მცენარეები ან საერთოდ ველარ ისხამდნენ ნაყოფს, ან თუ ისხამდნენ - ძალიან მწირს.

ასე და ამგვარად, ინსულელები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთად-ერთი საარსებო საკვების გარეშე რჩებოდნენ. თავად განსაჯეთ - ბანანის, ანანასისა და ქოქოსის ოთხჯერადი მოსავალი, ნელნელა და შეუმჩნევლად ჯერ სამჯერადით, შემდეგ კი ორჯერადით შეიცვალა.

შველა - არსაიდან, ხსნა - მითუმეტეს. კუნძულის მფარველ ხისგან გამოჩორკნილ ღმერთკაცს საბოლოოდ აელო ხელი მორჩილ ინსულელებზე.

კუნძული უდავოდ დასაღუპად იყო განწირული, რომ არა კიდევ ერთი სასწაული: აკიდე ეძანდრავეშამ, ყველას მუნჯი რომ ეგონა, მოულოდნელად ხმა ამოიღო და დაბალ ხმაზე (ძლივს გასაგონად) აი რა თქვა: სანამ ცა "ცხელ თვალს" დახუჭავს, მას არა ერთი და ორი ცრემლი დასცვივდება. ცხარე ტირილი "ცივი თვალის" შეცვლამდე გასტანს.

წინასწარმეტყველება იშვიათი სიზუსტით ახდა. გადარჩნენ! დათქმულ დროს თავსხმა, ტროპიკულმა ნიაღვარმა იხუვლა. ხეებმა კვლავ იწყეს ნაყოფის მოსხმა, წყაროები კი მტკნარი წყლის მნიშვნელოვანი მარაგით შეივსო. თუმცა, წვიმიან დღეებს, როგორც წესი, კვლავ გრძელი, აუტანელი გვალვები მოჰყვებოდა ხოლმე. ამის მიუხედავად გულუბრყვილო, მიამიტი ინსულელები ჭაღარა აკიდეს მიმართ მოზღვავებულ მადლიერების გრძნობას ვერ მალავდნენ. მათ უმძიმეს მდგომარეობას გრძნეული ეძანდრავეშას წინასწარმეტყველება საგრძნობლად ამსუბუქებდა. მართალია, ზღვიდან მოვლენილი ნათელმხილველის ძალებს კუნძულის ჭირვეული კლიმატის შეცვლა აშკარად აღემატებოდა, მაგრამ იგი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზუსტად იცნობდა წვიმების სეზონის დაწყების დღესა და გვალვის ხანგრძლივობას. ეს კი, მოულოდნელად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილ ინსულელებს, სასმელი წყლისა და მცენარეული საკვების მცირე მარაგის შექმნის საშუალებას მაინც აძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ აკიდე ეძანდრავეშამ წინასწარმეტყველების ამ საოცარი უნარის გამო თანაკუნძულელთა შორის უტყუარი ნათელმხილველის სახელი დაიგდო. სულ მალე მას პირველი თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდნენ. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მეტი და მეტი ინსულელი ეთაყვანებოდა მის ზომიერად ცხიმნადებ სხეულს. ძალზე ბევრი ადამიანი ცდილობდა მისთვის როგორმე ესიამოვნებინა. სასმელი წყალი რომ სასმელი წყალი იყო, მისთვის არავის ენანებოდა. ინსულელებისათვის მთავარი იყო: ზღვის ადამიანს თავის ზებუნებრივ საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა. ასე ფიქრობდნენ ისინი და ამგვარ ფიქრებში გადიოდა დრო...

თითქოსდა, კუნძული შეეგუა კლიმატის აუხსნელ ცვლილებას; თითქოსდა, ინსულელები მიეჩვიენ ახალ პირობებში ცხოვრებას; თითქოსდა, ცხოვრების ახალ წესსაც მოერგნენ, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათი ყველა მცდელობა ახალ კლიმატურ პირობებში დამკვიდრებულიყვნენ, მარცხისთვის იყო განწირული.

მიზეზი: უდაბნო, რომელიც ჩრდილოეთიდან მიზანმიმართულად მიიწევდა კუნძულის გულისაკენ, სასოწარკვეთილ ინსულელებს გადარჩენის არანაირ იმედს არ უტოვებდა. უდაბნოს გაფართოება მცირე ხნით ჩერდებოდა, ისიც წვიმების სეზონში, შემდეგ კი გავარვარებული ქვიშა კვლავ აგრძელებდა კუნძულის სიღრმისაკენ მომაკვდინებელ სვლას. შედეგად, კუნძულზე თავის რჩენა გაძნელდა. გარდა საჭმელ-სასმელის სიმცირისა, კუნძული საგრძნობლადაც დამოკლდა, თვალსა და ხელშუა დაპატარავდა, დაილია.Pსიხალვათეში ცხოვრებას მიჩვეულმა ინსულელებმა ერთმანეთის სიახლოვე ვერ აიტანეს და... ჯერ ხმამაღალმა საუბრებმა იმატა, სულ მალე კი კუნძულის დაუწერელ ისტორიაში პირველად ინსულელმა ინსულელზე ძალა იხმარა: ერთი ასხმა ბანანის გულისათვის ვინმე იჭიბმა თავისსავე მოგვარეს თავში ბამბუკის კეტი ჩაცხო.

ამასობაში აკიდე ეძანდრავეშა, საკუთარი ოჯახის რამდენიმე წევრთან, ანუ სხვა ეძანდრავეშებთან ერთად, არაბუნებრივი ნიჭის წყალობით, კუნძულს ახალ მმართველად მოევლინა. ნიჭიც რომ არ ჰქონოდა, იგი თავისი განსხვავებული წარსულით, საიდუმლოებით მოცული გაქრობით, ხომ ყველასგან გამოირჩეოდა. ამ კუნძულზე, აკიდეს გარდა, ყველა ერთნაირი იყო. ასე რომ, აკიდე ეძანდრავეშა დაბრუნების პირველივე დღიდან ინსულელთა თავკაცობისათვის იყო განწირული. ოჯახი კი რა. ოჯახი ერთპიროვნულად განაგებდა მოწეული მოსავლის აკრებვასა და მისი განაწილების უმძიმეს საქმიანობას.

ცუდი ამბავი: ოჯახი ინსულელთა აუტანელ პირობებსა და გაჭირვებას, ვერ ამჩნევდა!

რაღაცის შეცვლა იყო საჭირო....

პირველად ხმა ერთმა რიგითმა, თქმა არ უნდა, არაფრით გამორჩეულმა ინსულელმა ითრე ანუცაკმა აღიმაღლა. მან თქვა:

- ზღვის ურჩხულია ეძანდრავეშა!

ინსულელები ამ ნათქვამმა გააოგნა, თუმცა ხმა არ გაუღიათ.

ანუცაკმა იფიქრა, სხვა რამ უნდა მეთქვაო. სულ მალე, ეტყობა მიაგნო საჭირო სიტყვებს და კიდევ უფრო საზარელი ხმით დაიყვირა:

-ეძანდრავეშა ზღვის ურჩხულია!

ინსულელთა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ეს იყო და ეს.

"არა, არა, სხვა უნდა მეთქვა" - ითრე ანუცაკმა რგოლგაყრილ ცხვირში ჩაიდუდღუნა, მერე ერთი ხანობა გამომშრალი კეფა იფხანა, გონებაც დაძაბა და კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა:

- ურჩხულია ეძანდრავეშა ზღვის!

ბუნებით მშვიდმა ინსულელებმა თავი ველარ შეიკავეს და ერთ ხმაში ილრიალეს:

- ურჩ-ხუ-ლი! ურჩ-ხუ-ლი! ურჩ-ხუ-ლი!

"მგონი, მივაგენი საჭირო სიტყვებს," - გაიფიქრა კმაყოფილმა.

ბამბუკის გრძელ ჯოხზე დაყრდნობილი ითრე ანუცაკი წელში ამაყად გაიშალა. შიშველ, მზისგან გარუჯულ დუნდულოებზე დავლილი ჟრუანტელით ინსულელებზე საკუთარი გავლენის გაზრდა იგრძნო და ბამბუკის ჯოხი ეძანდრავეშების საგვარეულო ბუნგალოსაკენ გაისროლა.

აღგზნებულმა ინსულელებმა კუნძულის სწორუპოვარი წინასწარმეტყველის მოშორება გადაწყვიტეს. მათი აზრით, ბუნების უცნაური ჭირვეულობა და ქვიშის ეს უსაშველო მოზღვავება, სწორედ რომ აკიდე ეძანდრავეშას გამოჩენის დღიდან დაიწყო. ინსულელებმა ბევრი სხვა ნააზრევიც პირში მიახალეს პალმის ტოტებით დაწნულ ტალავერზე ფეხმორთხმით მჯდომ ამინდის უბადლო წინასწარმეტყველს.

გავეშებულ ინსულელთა რიგებს გათამამებული ითრე ანუცაკი გამოეყო. მან თქვა: სრულიად ინსულეთს ბნელი ძალა დაეპატრონა. ჩვენ არ გვინდა უბანანო, უქოქოსო, უანანასო სიცოცხლე. დაფიქრდით, ინსულელებო, რას უტოვებთ ინსულეთის მომავალ თაობას?!

ისედაც გადარეულებს, აბა, რა წაქეზება სჭირდებოდათ?

-ბა-ნა-ნი! ბა-ნა-ნი! ბა-ნა-ნი! - იძახდნენ ისინი.

-ა-ნა-ნა-სი! ა-ნა-ნა-სი! ა-ნა-ნა-სი! - ბღაოდნენ ისინი.

-ქო-ქო-სი! ქო-ქო-სი! ქო-ქო-სი! - ითხოვდნენ ისინი.

ეძანდრავეშების ბუნგალოს გარშემო ხმაური "ცხელი თვალის" დახუჭვამდე გაგრძელდა. მთელი ეს დრო აკიდე ეძანდრავეშა სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ბოლოს წამოდგა და თქვა:

- მე თქვენთვის თავს არ ვზოგავ. მთელ ჩემ უნარს საინსულეთოს კეთილდღეობას ვახმარ. დღე და ღამე არ მძინავს, რათა წვიმის მოსვლა არ გამოგრჩეთ, რათა მომზადებულები შეხვდეთ გვალვას. რა მრჯის, თუ არა თქვენი და თქვენი შვილების სიყვარული? იცით, რომ მე წლების განმავლობაში კუნძულისა და თქვენი ანანასების გარეშეც, კარგად ვცხოვრობდი... თანაც, განა, თქვენ არ ამირჩიეთ ბელადად? მე გთხოვეთ?

ინსულელებს ხმა არ გაუღიათ - გაშტერებული უსმენდნენ წინასწარმეტყველს. მხოლოდ ითრე ანუცაკმა გაბედა:

-ქვიშა?.. ქვიშა, რომელიც კუნძულს გვართმევს, განა შენი დაბრუნების მერე არ გაჩნდა? ინსულელებო, კუნძული ხელიდან გვეცლება...



ისევ აყაყანდნენ ინსულელები.

-კუ-ნძუ-ლი! კუნ-ძუ-ლი! კუნ-ძუ-ლი! - იძახდნენ ისინი.

აკიდემ დონდლო მარჯვენა შემართა. კვლავ ჩამოწვა სიჩუმე კუნძულის ყველაზე ხალხმრავალ უბანში. ეძანდრავეშამ, როგორც იქნა, ისევ ამოიღო ხმა:

- მე ვიცი, რა უდევს გულში ბინძურ ანუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაკის...

ამის გამგონე საბრალო ითრემ, საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

-მე? მე? - ენის ბორძიკით კითხულობდა იგი. - არაფერიც არ მიდევს გულში, საიდან მოიტანა...

ინსულელებმა იცოდნენ რა აკიდე ეძანდრავეშას ნათელმხილველობის ამბავი, ანუცაკს ეჭვით დაუწყეს ყურება. ეძანდრავეშამ კი უფრო დამაჯერებლად განაგრძო:

- ინსულელების მტრებს უნდათ, კუნძულს მისი ქვიშიანი ნაწილი მოწყვიტონ!

ისევ აყაყანდნენ ინსულელები. მათი მრისხანებისაგან დაღრეცილი სახეები ანუცაკის დაჭყეტილ თვალებში ირეკლებოდნენ. თვავად ითრე ანუცაკი კი თვალსა და ხელშუა პატარავდებოდა.

- კუნძულის მთლიანობა ურღვევია! ჩვენ მის ხელყოფას არ დავუშვებთ! მოვა დრო, ჩვენ კვლავ დავბრუნდებით იქ, ჩვენ კვლავ ავაყვავებთ კუნძულის ამ ნაწილს! - შეშლილის ხმით ყვიროდა ცბიერი ეძანდრავეშა და მის ყოველ სიტყვას, ათჯერ უფრო მეტი გახელებით, ინსულელები იმეორებდნენ.

-თუ თქვენ ასე გინდათ, და თუ ეს ჩემ მშობლიურ კუნძულს გამოადგება, მე გამოვალ ამ ბუნგალოდან და ნებისმიერ თქვენგანს დავუთმობ მას. ჩემთვის მთავარი კუნძული და კუნძულელებია. მე აღარ ვარ თქვენი რჩეული წინასწარმეტყველი. კარგად დაფიქრდით - მტერი ფხიზლობს, კუნძული განსაცდელშია!

ასე და ამგვარად, ინსულელების გასაკვირად, აკიდე ეძანდრავეშამ თავის მართლების გარეშე, თანატომელთაგან განცალკევებით ცხოვრების სურვილი გამოთქვა.

მართალია, ინსულელთა გულებს ეჭვები ღრნიდნენ, მაგრამ მათ ბნელი წარსულის მქონე ბელადის გადადგომა გამარჯვებად მიიღეს. ერთი ხანობა გვარიანი ცეკვაც გააჩაღეს, მაგრამ, როცა გრძნობები დაცხრნენ, ინსულელთა ეჭვებმა ერთი ათად იბარტყეს. დაფიქრდნენ: მათ ამიერიდან აკიდე ეძანდრავეშას ხილვების გარეშე, როგორც ბრმებს ისე უნდა ეცხოვრათ. შეშინდნენ... ბუნდოვანი მომავლის შიშით მზეზე გარუჯული სახეები არაბუნებრივად გაუფერმკრთალდათ. ცოტა ხანიც და ვერ ნახავდით ერთ ინსულელსაც კი, რომელიც იმ ისტორიულ ღამეს ეძანდრავეშების საგვარეულო ბუნგალოს გარშემო, მუხლებზე არ იდგა. მათი საქციელი, ინსულელთა ლოღიკით, ალბათ, გამართლებული იყო. ინსულელები ხომ დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩეოდნენ (ან ვისგან უნდა გამორჩეულიყვნენ?). მათ ერთი რამ დანამდვილებით იცოდნენ - დღეს სიკვდილს, ხვალ, ან უკეთეს შემთხვევაში, ზეგ სიკვდილი სჯობდა. ამაზე არავინ დავობდა.

საჭირო იყო სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ფიქრი. არჩევანიც (პირველი და თავისუფალი) გაკეთდა: კვლავ აკიდე ეძანდრავეშა, თავისი პროგნოზებითა და წინასწარმეტყველების საოცარი უნარით.

თავჩაღუნული ინსულელები "ცხელი თვალის" გახელამდე ელოდნენ ბელადყოფილის გამოჩენას. წაგრძელებულ თავებში საშინელი ფიქრები უტრიალებდათ და დადებითი პასუხის მიღებამდე, დაშლას არ აპირებდნენ.

ჯიუტები იყვნენ ინსულელები, კიდევ უფრო ჯიუტი გამოდგა ზღვიდან მოვლენილი მათი ბელადი. მხოლოდ მეორე დღისათვის მოხერხდა მისი დაყოლიება: აკიდე ეძანდრავეშა ინსულელთა მამობას მას შემდეგ დათანხმდა, როცა სასმელი წყლის ერთიანი მარაგის შექმნაზე, მისთვის სასურველი პასუხი მიიღო.

- მე თქვენთან ვიქნები, - თქვა და ფიქრებისაგან შეჭმული კაცის იერით კვლავ ბუნგალოს სიღრმეში გაუჩინარდა. პირველი, რაც ჭაღარა ბელადმა ჰამაკში ჩაწოლამდე გააკეთა, თავისი უფროსი ძმისშვილის მოხმობა იყო.

- შვილო ოგუნ, - მიმართა მან ხუჭუჭა ინსულელს, - დღეიდან სასმელ წყალს შენ გაანაწილებ. ყველას არ ეყოფა, რამე უნდა მოიფიქრო...

ახალგაზრდა ოგუნმაც მოიფიქრა - მტკნარ წყალში მან, ზომიერი დოზით, ზღვის წყალი შეურია.

ინსულელებს წყლის გემო არ მოეწონათ. თუმცა, ამ შემთხვევაში რაოდენობამ ხარისხი აშკარად დაჯაბნა. პირველად ჭაღარა ეძანდრავეშას ზღვით მოვლენიდან სასმელი წყალი, რომ იტყვიან, თავზე სასხმელად ჰქონდათ (ვისღა ახსოვდა ითრე ანუცაკი და მისი მოწოდებები).

ინსულელებმა ჭარბწყლიანობის ეს ფაქტი საერთო საკუნძულო დღესასწაულის მიზეზად აქციეს. მთელი ღამე არ ეძინა კუნძულს. ზეიმობდა ყველა: მსუქანი და გამხდარი; მაღალი და დაბალი; ქაჩალი და ხეშეშთმიანი...

...მხოლოდ ბელადი იყო უხასიათოდ!

ბელადის გულს მწარე ფიქრები ღრნიდნენ. საფიქრალი კი მას მართლაც რომ თავზე საყრელად ჰქონდა. გაურკვეველი იყო მისი მომავალი - გაურკვეველი და უიმედო: ორიოდე თვეც და ბელადის წინასწარმეტყველების საოცარი უნარი, რამაც აკიდე ეძანდრავეშა თანატომელებში ხისგან ნაჩორკნი ღვთაების ტოლ კაცად აქცია, დაილევა, საბოლოოდ გაქრება. არადა, მართლაც რა უნდა ქნას, როცა მატერიკიდან ჩამოყოლილი ხელის ტრანზისტორის გალვანური ელემენტები "დაჯდებიან", ხმარებისათვის უვარგისი გახდებიან? სად შეივსოს ჭაღარა ეძანდრავეშამ ეს დანაკლისი? ვინღა მიაწვდის პროგნოზს მოსალოდნელი ამინდის შესახებ?

რამდენიმე თვეც და აკიდე ეძანდრავეშას მეფური ცხოვრებიდან აღარაფერი დარჩება. შერცხვენილსა და გარიყულს მასაც მოუწევს გადარჩენისათვის ბუნებასთან ჭიდილი... თუ ამის საშუალება მისცეს, რა თქმა უნდა. თუმცა, ეს დრო ჯერ არ დამდგარა. მანამდე კი ინსულელთა თავკაცი ჩვეული, შთაგონებული ღმერთკაცის იერით განაგრძობს თამაშს. იცის ბელადობის ხიბლი და იმიტომაც. მისთვის რამდენიმე თვეს კი არა, ყოველ დღესა და საათს აქვს მნიშვნელობა. თანაც, არც მთლად უიმედოდაა საქმე. ვინ იცის, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს გაიხედოს და კუნძულის მახლობლად, მისმა მკრთალსახიანმა მეგობრებმა ჩაუშვან ღუზა? ისე როგორ შეირცხვენენ თავს, ერთი აკუმულატორი, ან წყვილი გალვანური ელემენტი მაინც არ ჩამოუტანონ? მაშინ მის მეფობას ხომ დასასრული არ ექნება!

ეჰ, გამოჩნდებოდნენ და...

* * *

ამ იმედით აკიდე ეძანდრავეშამ კიდევ ერთი ხანგრძლივი თვე იცოცხლა. ერთი თვის შემდეგ ელემენტები "დაჯდნენ". ტრანზისტორის დადუმებიდან კიდევ ერთი თვის თავზე ინსულელებმა ბელადის პროგნოზირების უნარში ეჭვი შეიტანეს, უდიდესი მმართველი შეიპყრეს... და სადილად მიირთვეს.

ეს იყო კუნძულზე კანიბალიზმის პირველი შემთხვევა. პირველი და არა უკანასკნელი...



არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უდანაშაულობის პრეზუმფცია ანუ საოლქო პროკურორი სიტყვაძუნწი კაცია




*საოლქო პროკურორმა სქელი რქის სათვალე მოიხსნა და ასეთი რამ თქვა: დ-ძეს საქმე იყო, მოგეხსენებათ, ლიმონკა რომ შეაგდო მეზობლის სახლში. ერთი კაცი მოკლა, ერთი დაჭრა. რამდენიმე წლის წინათ მოხდა ეს. მეზობელი სიგარეტითა და არყით ვაჭრობდა. ღამით მიაკითხა. იმან უთხრა, თავი დამანებე, მომწყდი აქედან, დილას მოდიო და არ მიჰყიდა, თუ ნისიად არ მისცა... მოკლედ, გაბრაზდა და ლიმონკა შეუგდო. როგორც ვთქვი, ერთი მოკვდა, ერთი დაიჭრა. 109-ე მუხლით წარიმართა უზენაეს სასამართლოში, ყოფილი 104-ე მუხლია, დამამძიმებელი გარემოებებით, გენერალურმა პროკურორმა მოაწერა ხელი...*

* * *

ვაცმა, რომელიც პირველ სართულზე ცხოვრობდა, დ-ძე გააფრთხილა, ღამით არც არაყზე და არც სიგარეტზე არ მომაკითხოო. კაი, კაიო, - დ-ძემ და ორლიტრიანი ბანკა, არყით სავსე, ეზოში ჩადგმულ დაუხურავ გარაჟში შეიტანა.

აღდგომა დღე იყო.

მაგიდა - გადაგდებული, შიგნეულობაგამოცლილი მაცივარი, სავარაუდოდ, "ორსკი-5"; სკამები - ქვები, დამტვრეული წვრილი სამშენებლო ბლოკები; სუფრა - "ოგონიოკის" ყდაზე დაყრილი წიწაკის მწნილი, ძეხვის ნაჭრები, ხელით დაგლეჯილი პური, დამტვრეული კვერცხები (შინდისფერი, ხასხასა წითელი, ოქროსფერი...), პასკის მოყვითალო ნაჭრები, ბლომად მწვანილი და პირდაპირ სუფრაზე დაყრილი მარილის პატარ-პატარა ბორცვები...

არაყი სანახევროდ შევსებული ჩაის ჭიქებით ისმევა. ცარიელ ბანკას გარაჟის კუთხეში აგდებენ. ღვინოზე გადადიან.

აღდგომაა...

ცოცხლები არიან და ქეიფობენ.

აღდგომაა.

ცოცხლები მკვდრებს ადღეგრძელებენ (ცოცხლად გაუმარჯოთო), ღვინოს სვამენ, დამტვრეული კვერცხებს ჭამის წინ კიდევ უფრო ამტვრევენ და ორ ლუკმად მიირთმევენ.

გადაუხურავ გარაჟში მღერიან. რკინის კარი ხშირ-ხშირად იღება. მოფარებულიდან ბარბაცით ბრუნდებიან, თან გზად შარვლის ღილების შებნევა არ ავიწყდებათ.

აღდგომაა - ქეიფობს ეზო...

გადაუხურავი გარაჟიდან დოლის რიტმული ცემა ისმის. ვიღაცა გარმონს, თუ აკარდეონს წელავს...

სარტყამი ინსტრუმენტის მაგივრობას ვედროს ძირი სწევს, მეორისას "სკოჩით" გაწეპილი გარმონი.

- რომ უჭურებ, ტრაფეინი გარმონია, - სიგარეტს "აბიჩოკებს" დ-ძე, ცხ-ში ვითრიე, ერთი ბიძა იყო ხისფეხა, მთელი სამი თვე მაგის სახლში ვიდექით. აი, გაწელვა იმან იცოდა, რას უბერავდა, რას მღეროდა... შიში ხო იცი რა მამაძაღლი რამაა, თან იქით მოსაწევი, აქეთ სასმელი, პრიკოლს იჭერ რა, სანამ არ მოგბეზრდება; დავაი გაწელე, უყვირი და ისიც წელავს და წელავს...

- "დადირკული" რატომაა? - ვეკითხები მე და გარმონის სკოჩიან ნაკეცებს თითს ვუკაკუნებ, - ერთი, ორი, სამი, ოთხი... - ნახვრეტებს ვითვლი.

- "დირკები"? აუ, ეგ რა გამახსენე, შენ რა მაგარი ვიღაცა ხარ... "ტეპლავოზა" გახსოვს? აცხონოს მაგის სული, რა გიჟი იყო, ხო გახსოვს... - დ-ძე ჭიქას ხრის და ღვინოს ნაფხვენებად ქცეულ პასკაზე ასხამს, - მაგის ამბავი იყო...

და დ-ძე ამბავს იხსენებს.

* * *

იმ ღამეს დაგვცხეს რა, გემახსოვრება, ძალიან მოშნად რომ დაგვიშინეს რუსებმა, აქაც ვლასტი რომ გადაყირავდა და ეგენი ჩვენი ძმები არიანო, რომ გაახურეს, ის ჩემისაც რომ გამოაგდეს ციხიდან, ხო გახსოვს... მოკლედ, ასეთი ამბებია და ვბრუნდებით რა, აიყარეთო, გვითხრეს და ჩვენც ავიკარით ჩვენი შინელ-კიტელი და გაზ-66-ის "კუზაოზე" ვლაგდებით. "ტეპლავოზაც" უკვე ასულია, ისე მეძახის, მოდი აქ, რაღაც უნდა გითხრაო... თქვი შეჩემა, რა გინდა-მეთქი, ქვემოდან ვუყვირი. იმას კიდე, ხო გახსოვს რა სასაცილო სიფათი ჰქონდა, მგონია, მეკაიფება და ვაგზავნი ერთ ადგილზე. ვა, არ მეშვება, მოდი, გინდა თუ არა, ყურში უნდა გითხრაო. მივედი და რას მეუბნება: იცი, ეს ჩვენი ხაზეინი რომ უკრავდა ხოლმე, რა ინსტრუმენტია? რაა-მეთქი. ანტიკვარია, მაგას ფასი არა აქვს, ჩემი ასეო და ჩემი ისეო...

ვაა-მეთქი, გავიფიქრე გულში და სახლისაკენ მივტრიალდი. რასა ვხედავ: ჩვენი ხაზეინი და ხაზეიკა ფანჯრის იქიდან ერთმანეთზე თავებმიდებულები (რუსულ ზღაპრებში რომაა ხოლმე ისე) ნაღვლიანად არ გვიცქერენ? აი, თქვე აფერისტო შობელძაღლებო-მეთქი და მივბრუნდი, კარს წიხლი ვკარი და "ზალაში" შევაბოტე - ინსტრუმენტი იქ მეგულებოდა. სერვანტის თავზე აღარ დევს, არც - კამოდში, არც - შკაფში.

ფეხის ხმაზე მივბრუნდი. ხაზეინს "ჩაუცვამს" ეს ჩემი ანტიკვარული აკარდეონი და მშვიდი სახით მიყურებს.

ამას ეძებდი? თავისებური კილოთი მეკითხება.

ხო-მეთქი, ვპასუხობ.

- მე კიდევ ვიფიქრე, წასვლის წინ, ბიჭებისათვის დავუკრავ-მეთქი...

მუზიკა მინდა ახლა მე? ჰე, დროზე, დავაი, მოიხსენი-მეთქი, შევუძახე...

ვერ მოგცემ, შენი ჭირიმეო, ამბობს ეს ჩემისა და თან კანკალებს. შ-ს მაგივრად ს-ს ამბობს, ჭ-ს მაგივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად წ-ს და თვალები უწყლიანდება.

მომცემ კი არა, მეტს არ იზამ? ვღრიალებ მე... აბა, როგორ, ავტომატიანი კაცის გაბრაზებას რა უნდა.

ყველაფერი წაიღეო, მეხვეწება, ტელევიზორი, ხალიჩა, საკერავი მაშინკა... ოღონდ ამას ნუ წამართმევო...

ვაა, სალოლ "ტეპლავოზ", გულში ვფიქრობ, ეტყობა მართლა მაგარი ვეშია-მეთქი.

ის ჩემისა კიდევ არ ჩერდება, წუწუნს აგრძელებს...

ეეე! რეებს უბერავ, ვაწყვეტინებ, გითხარი, რომ უნდა წავიღო? ზნაჩიტ წავიღებ-მეთქი.

თან "აკაემს" ჩაჭიდებული ხელისგული მიოფლიანდება, მეფხანება და მიხარია - ფული იცის, გეცოდინება.

რაღაცეებს კიდევ ვუყვირი, ვემუქრები რა. თან "ტეპლავოზასი" მიკვირს. სალოლ გითხარი ტეპლავოზ, სალოლ-მეთქი, გულში ვფიქრობ. მაგარი ჩათლახი ვინმეა რა, ეს აკარდეონის ამბავი საიდანღა გაჩითა მაგ შობელძაღლმა-მეთქი. მაგრამ ეს ჩვენი ცალფეხა "ხაზეინი" რომ არ ინძრევა? საცოდავად იბუზება და ტირილს აპირებს რა...

ჰაა, მომცემ თუ გადაგატარო, შენი დედა-მეთქი... სისხლი თავში მასხამს და "ზატვორს" ვაჩხაკუნებ.

მე ამ ამბავში ვარ, თავს ვიგიჟებ და იმან კიდევ შეხვევა არ დამიწყო? შვილოო, მეუბნება, ეს გარმონი ჩემმა უფროსმა ძმამ, 41-ში, ფრონტზე რომ მიდიოდა, მაშინ დამიტოვაო. აი, დაკვრა იმან იცოდაო და ეგეთები...

ვაჩერებ და ვეუბნები, ბიძა, სულ ფეხებზე მკიდია მაგ გარმონის ისტორიაც და გეოგრაფიაც-მეთქი, ინსტრუმენტი მაიტა, ტყუილად თავი არ მომაკვლევინო...

ის ნაბოზარი კი თავის ძმასა და გარმონზე დაწყებულ ზღაპარს აგრძელებს: ესე იგი, ძმა მეუბნებაო, ახურებს რა, მე ფრონტიდან ჩამომსვლელი არა ვარ და ამ გარმონს მიმიხედეო, მაგ გარმონში ჩემი სულია, თუ კარგად მიაყურადებ, მიხვდები, რომ ჩემი ხმა აქვსო და სულ ეგეთები...

ამასობაში ბიძა, ეს ჩემისა, ნელ-ნელა ზლუქუნზე არ გადადის? თან არ ჩერდება, მოყოლას აგრძელებს: მაშინ სულ პატარა ვიყავი, სიზმარივით მახსოვს ჩემი უფროსი ძმის სახეო, ქერჩთან დაიკარგა, მამაჩემი რომ კვდებოდა, ამ გარმონს შვილის სახელს უძახდა, კოცნიდა, ეფერებოდა და რამეო... სულ ეგეთებს ახურებდა. ბოლოს გულამომჯდარმა ამოიხროტინა: ნუ წამართმევ, ნუ წაიყვან ჩემი ძმის სულსო... თან პატარა ბავშვივით ტირის, ცრემლები სულ ღაპა-ღუპით ჩამოსდის ამ ხეიბარ მამაძაღლს. აუ, ვფიქრობ, ამ ბოზმა ან ნაღდად დააჟუილა, ან ვეში მართლა ძაან ძვირია და აფერისტობს-მეთქი...

არ ვიცი, როგორ მოვიქცე, დავიბენი რა. ავტომატი მიშვერილი მაქვს და ვდგავარ სირივით. მექანიკურად ისევ ვახურებ: არ მაინტერესებს, დავაი, დავაი, დროზე-მეთქი...

მე ამ დღეში ვარ და უცბათ ის ჩემისა გარმონს ხელებს უშვებს და გარმონიც საზარელი ხმით ორივე მხარეს იწელება. ამასობაში ოთახში კივილით ხაზეიკა არ შემორბის? კივის, წივის და თან ჩემი ფიზიონომიის დასახიჩრებას ცდილობს, ნამდვილი მხეცია რა, თანაც არ ველოდი ტო... ცალი ხელით ვიგერიებ, თან ვიგინები, მაგრამ ის დედა მო.ნული მაინც მომწვდა, ფრჩხილებით მკორტნის. მარცხენა თვალი სისხლით მევსება, ამ დროს ეტყობა კივილის ხმამ ბაითიდანაც გააღწია - კარში "ტეპლავოზა" გაიჩითა. გამიტყდა ასე გაბანძებული რომ დამინახა, თან სისხლი უკვე ბუშლატზე მეწვეთება, იმ ბოზმა ქალმაც ლამისაა თვალები ამომთხაროს... ვსიო, დაგენძრათ, თქვენი დედა-მეთქი, ვიღრიალე და პრიკლადი პირდაპირ ჯიქნებში ვაჯახე. პრიკლადიანი ავტომატი მაგრა მევასებოდა, უფრო კაცური და მოშნია რა. მოკლედ, პოლზე ეზლნერთება ეს ქალი და ჰაერის ჩაბრუნება უჭირს, ფეხებს აფართხალებს და წამოდგომა უნდა... ეს გარმონიანი ბიძა კი თავჩაღუნული დგას და ხმას არ იღებს. გადმოშლილი გარმონი მუხლებამდე დასთრევს. ქალი ნელ-ნელა აზრზე მოდის, ჟივუჩია რა, თვალებს ფსიხივით ატრიალებს და ქართულად არ იწყებს მოთქმას? აუ, იწყევლება, მაგრამ რას იწყევლება... თან იცი რას მეუბნება? მალე ყველას დედა მოგე.ნებათო, ჩემი ბიჭები ყველაფერს სისხლად გარწყევინებენო, აი, როგორც იმ თქვენს ნუგზარას და ვაჟას, ყველას სათითაოდ თავებს დაგაჭრიანო... ლამის ჭკუიდან ავიწიო, ვინ შენი ბიჭები-მეთქი, ვღრიალებ, რა ჰქვიათ-მეთქი. ესა და ეს არ გაგიგიაო, მეუბნება და თან ბოზურად მიცინის. ტვინში მირტყამს, ესე იგი რა გამოდის, ის თესლები, სასაფლაოსთან ჩვენ გავროშებს თავები რომ დააჭრეს, ჩვენი ხაზეიკას შვილები ყოფილან... აკი, მარტოხელა სტურუშკები ვართო, მე თქვენი...

"ტეპლავოზამ" ველარ მოითმინა, ხო გახსოვს რა გიჟიც იყო, ამათი პიდარასტი დედაცო და დაუშვა...

დაუშვა და მეც დავუშვი.

თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, აზრზე მოდი, თურმე პრედახრანიტელი ოჩერედზე დამიყენებია. მერე, აკაემი ხო იცი რაცაა... ვუყურებ და გული მტკივა: ეს ჩემი ანტიკვარული აკარდეონი საცერად არ ვაქციე? მოკლედ, იმან ქალი გააგორა, მე კიდევ ესა. გარმონი ავაგლიჯე და გარეთ გამოვედი...

ორი-სამი დღის შემდეგ "ტეპლავოზამ" სახლში გამომიარა. ნაცნობ ანტიკვარშიკს უნდა ავადგეთ. ებრაელი ყოფილა, ვიღაც ბებერი შეცვეთილი. "ტეპლავოზასთვის" უთქვამს, ანტიკვარული აკარდეონი მიშოვე და მაყუთის გადამხდელი ვარო. თურმე, მასეთ რაღაცეებში: სკრიპკებში, ზურნებში და სხვა ბარახლოში დიდ ფულს იხდის. რომ მივედით, გამომართვა იმ ცხონებულმა (რა ტიპი იყო ხო გახსოვს...) ყუთი (ყუთში გვიგდია რა ეს ჩვენი ტავარი) და მეუბნება: შენ აქ დამიცადე, მე ავალ, დავებაზრები და მერე დაგიძახებო. ძმა იყო, ათასი წელი მაგას არ ვენდობოდი?! მოკლედ, ამოიჩარა იღლიაში ეს ჩვენი ანტიკვარული აკარდეონი თუ გარმონი და შევარდა პადიეზდში. ახლა, მე მგონია, რომ დიდი ხანი შერჩება ებრაელთან. ვფიქრობ, სანამ ის ბებერი ახვარი შეაფასებს, ამას იზამს, იმას იზამს, მერე ტვინს მო.ნავს ეს ნახვრეტები რატომ აქვსო, მერე ფასზე წავა ჭიდაობა და ეგეთი რაღაცეები... მოკლედ, კედელს მივეყუდე, პალტოს საყელო ავიწიე, სიგარეტიც გავაჩაღე და ველოდები. ორი ნაფასი არ მაქვს დარტყმული და პადიეზდიდან ეს ჩემისა "ტეპლავოზა" არ გამოდის? ჩვენს ტრაფეინი ინსტრუმენტს ასვალტზე პივის ცარიელი იაშიკივით აგდებს, ზედ ჯდება და სიცილით კვდება, თან ხველება ახრჩობს. ვიფიქრე, იმ ბებერმა ოღრაშმა პლანი ხომ არ მოაწევინა-მეთქი, მაგრამ არ გავს დაბოლილს, არადა იცინის, იცინის იმის დედა ვატირე. ნელ-ნელა მეც ვიქოქები, ყუთზე ვუჯდები და ერთად გახევამდე ვიცინით, თან ვეკითხები, რა გაცინებს, გამო.ლევდი შე ჩემა-მეთქი? ის კიდევ ხელისგულებს მთელი ძალით მუხლებზე იტყაპუნებს, თავს გიჟივით აქნევს და ძლივს გასაგონად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს: "აუ, აუ, აღარ შემიძლია ჩემი, ჰა, ჰა, ჰა... თურმე, თურმე, შემშლია ჩემი დედა... ვააჰ, უუუ, აააკარდეონს კი არ ჰქონია ფასი, აუ, აუ, აუ, ამ ჩემისამ მითხრა, აკარდეონი ვის რად უნდა, თანაც "კრასნი აკტიაბრში" გაკეთებულიო... აკარდეონი კი არა, მე არღანი გითხარიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგე?.. ჰა, ჰა, ჰა, ჩემი დედა, აკარდეონი და არღანი ერთმანეთში ამერია... რას გაუგებ ამ მუზიკანტებსა და ებრაელებს მე მაგათი..."

მაინც რა იყო, ალბათ, ეგრე გულიანად მას მერე აღარ მიცინია. მერე ეგ ცხონებული "ტეპლავოზაც" გააკოტრიალეს აფ-ში, ხსოვნა იყოს, მაგის სულს ვენაცვალე... სადღა ნახავ ახლა კაი ბიჭებს, გაბოზდა ქვეყანა...

* * *

ვიღაც მანჯღრევს. თავს ვწევ და დაუმთავრებელი გარაჟიდან ვარსკვლავებიან ცას ვხედავ. მერე უაზროდ აქეთ-იქით ვიყურები. ჩვენი მაგიდის კიდე წითლადაა შეღებილი, ქვემოთაც ქვიშას აქა-იქ მუქი ლაქები ამჩნევია.

- რა ხდება? - ვკითხულობ.

- არაფერი... - მპასუხობს დ-ძე, - ამათი მალალიტრაჟკა ამბავი ხომ იცი, დათვრნენ და დასცხეს ერთმანეთს...

- დაცხეს?

- ხო რა, იოსებამ ბესიკას ლამფა ესროლა, იმ ჩემისამ კი სალიარკით სავსე ლეიკა გლიჯა თავში... მაგათი სისხლებია რა...

- რატომ? - სლოკინით ვკითხულობ.

- აბა, რა ვი, ხო იცი რა იაზვა ვინმეები არიან, სიტყვას არ შეარჩენენ ერთმანეთს, არც ახალი წელი იციან, არც აღდგომა...

- აბა, აბა, ეგენი ვინა ყოფილან...

- მაიცა, შენ რა გრუსტნი დაიჭირე... შენ რა გგონია, მაგათ ჩავაშხამებინებ აღდგომის პლაზდნიკს?! ახლა იცი რას გეტყვი, ეგ კვერცხები აკრიფე, ერთ-ორ პასკას ბაბუშკაც გამოაცხობდა და დავაი, ჩემთან ავლაგდეთ...

ფეხები ძლივს გავმართე. გარაჟიდან ბარბაცით გამოვედით. ღამის ორი-სამი საათი იქნება.

- ეეე, სასმელი რო არა გვაქვს?! - გამახსენდა მე.

- აუ, სალოლ, კინალამ არ დაგვავიწყდა?.. მაიტა, მანდ სადღაც ორლიტრიანი ბანკა უნდა ეგდოს. მეზობლები გვიცოცხლოს ღმერთმა...

* * *

დანარჩენი ყველაფერი ისე იყო, როგორც საოლქო პროკურორმა მოჰყვა.






# წითელი წიგნები

ოთახში არაჟნით, ორცხობილით და ყავის შეკვრით ხელებსავსე კაცი შემოდის. სახე გაფითრებული და სერიოზული აქვს. ხვნეშის.

- მგონი, ბავშვი გადმოვარდა აივნიდან... ცოცხალია და არავინ ეკარება, ფეხსაც იქნევდა...

წამოვხტი და გავიქეცი.

- ნახე, ბავშვების პატრონი რომაა, როგორ გავარდა, - შენიშნა ყავის ელექტრომადუღარას ძებნაში გართულმა ქალმა.

ბავშვი არა, მაგრამ ტუფის ქვით მოპირკეთებული ოთხსართულიანი შენობის ძირში, სითეთრეშეპარულ ასფალტზე, დაბალი ტანის, თმამოშვებული კაცი ეგდო.

ხალხი ახლოს არ მიდიოდა - 4-5 მეტრის მანძილზე რკალად ლაგდებოდნენ. ქალები ფრჩხილებს იკვნეტდნენ, კაცები ერთმანეთს სიგარეტს სთავაზობდნენ. ერთ ადგილზე არავინ ჩერდებოდა: მცირე ხნით უკან გადგებოდნენ, სულ მალე კი კვლავ რკალის შესავსებად ბრუნდებოდნენ...

- სასწრაფოში დარეკა ვინმემ? დარეკა ვინმემ? - გაუთავებლად კითხულობდა ვიღაცა.

- ბავშვს ვასეირნებდი, ორი წუთით ადრე გავიარე, სულ რაღაც ორი ნაბიჯით გავასწარი... ხმაურზე მოვიხედე და რას ვხედავ - ეს არ გდია? - ბავშვიანი კაცი თავის უჩვეულო თავგადასავალს რკალის შესავსებად მოსული ადამიანების ახალ ჯგუფს უყვებოდა.

ჩამოვარდენილმა მოძრაობა შეწყვიტა...

მის სახეს თეთრი ფერი ეძალებოდა. სიგამხდრის მიუხედავად, მკერდი არაბუნებრივად, ავადმყოფურად გაბერილი ჰქონდა. ჩამოვარდნილის ჩონჩხი და მთელი იერი, ლოგიკურად, კუზს მოითხოვდა, მაგრამ კუზიანი არ იყო. სიმაღლე კი მართლაც ბავშვისა ჰქონდა. სულ ცოტა, ბოლო სამი თვე მის სახეს საპარს-საკრეჭი მოწყობილობები არ მიჰკარებია. თხელი, გახუნებული, ბინძური წვერი ალაგ-ალაგ ეზრდებოდა.

პირიდან გადმოსული სისხლის გუბე ნელ-ნელა გაფართოვდა... მოულოდნელად, გადატეხილ ფეხებთან, გუბეში სამი წითელყდიანი წიგნი დავინახე. ნიავმა ერთ-ერთი სქელტანიანი ტომის სიყვითლეშეპარული ფურცლები ჯერ ერთი, შემდეგ კი საწინააღმდეგო მიმართულებით გადაფურცლა.

რომ არა ქარი, სისხლის ფონზე წითელყდიანი წიგნების დანახვა შეუძლებელი იქნებოდა.

"ნეტა, რა წიგნებია?!" - მექანიკურად გავიფიქრე.

ამასობაში სადარბაზოდან შავპერანგიანი ბიჭი გამოვარდა. "ჩამოვარდნილის" დანახვაზე პატარა ხელები სახეზე აიფარა, კედელს აეკრა და აქვითინდა.

მისი დაწყნარება არავის უცდია.

"გადმოხტა, თუ გადმოვარდა?" - კითხულობდა ვიღაც ახალმოსული, - "გადმოხტა, თუ გადმოვარდა?" - არ ჩერდებოდა იგი.

სასწრაფო დახმარების მანქანამ დიდხანს აჭყვიტინა სიგნალი, სანამ ჩამოვარდნილამდე მიუშვებდნენ. ყუთებით და რაღაც ხელსაწყოებით გადმოლაგდნენ. ინსტრუმენტების გამოყენებამდე საქმე აღარ მისულა. მომაკვდავის თავთან დახრილმა ზორბა თეთრხალათიანმა სანიტარმა ახალგაზრდა ექიმს ასძახა: "მგონი ისაა... ის უნდა იყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს!.. მაცალე, ერთი მკერდი ვუნახო...” - ამ სიტყვებზე სანიტარმა ასფალტზე დაბერტყებულ არსებას ენერგიული მოძრაობით გაძვალტყავებული მკერდი გაუშიშვლა.

“კი, ისაა, - ალაპარაკდა სანიტარი, - ნახე, იგივე “ნაკოლკა”, იგივე წარწერა მსხვილი ასოებით... ჰმ, აი, წიგნები, ეს წითელი წიგნებიც რომ აქ ყრია... ეჭვი არაა - ისაა, ყოველ წელს ერთი და იგივე? არ გაგვი...რაკა საქმე?..”

თეთრხალათიანებმა სიცოცხლეჩამქრალი ორგანიზმი ასფალტს ააგლიჯეს. მოძრავ ამბულატორიაში შედგმისას, სანიტრები წამით დაყოვნდნენ. გადაღეღილ გულისპირში ოსტატურად შესრულებული “ნაკოლკა” - ფრთებგაშლილი (მოფარფატე) ანგელოზი დავინახე. ნახატს ნახევარწრედ, იშვიათი სილამაზით გამოყვანილი ასოები - **“ნუ დაეცემი”** - ერტყა.

“ყოველ წელს ერთი და იგივე? ეს ვინ ყოფილა, მე ამის დედას შე...” - სანიტარმა მთელ ხმაზე უტიფრად შეიგინა.

სასწრაფო დახმარების მანქანამ დიდი ხმაურით დატოვა მოყაყანე ადამიანები.

წითელ წიგნებს კვლავ ქარი ფურცლავდა. კედელზე აყუდებული ბიჭიც კვლავ სახეზეხელებაფარებული ტიროდა. ადამიანები ისე დაიფანტნენ, მისი დაწყნარება არავის უცდია.

ოთახში რომ დავბრუნდი, ყავის სმა დამთავრებული ჰქონდათ.

- ბავშვი არ იყო, - ვთქვი მე.

ყურადღება არავის მოუქცევია.

“ნეტა, რა წიგნები იყო?” - ვერ ამომეგდო თავიდან...

ცნობისწადილის დაკმაყოფილება მოგვიანებით ვცადე. სანიტრის ნათქვამმა (“ყოველ წელს ერთი და იგივე?”) არ მომასვენა. მომხდარიდან ზუსტად ერთი წლის თავზე ტუფით მოპირკეთებულ ოთხსართულიან სახლთან ვიდექი და ველოდი...

პატარა, სუსტი, უბადრუკი არსება აივნის მაღალ მოაჯირზე ასაბობლებლად, წითელი ფერის წიგნებს ერთმანეთზე აწყობდა - წიგნები მას კიბის მაგივრობას უწევდნენ.

დაცემის ყრუ ხმაზე, მოპირდაპირე შენობაში ფანჯრები გააღეს. ვიღაცამ იკივლა. ჩამოვარდნილის გადამტვრეულ ფეხებთან, სისხლის გუბეში, სამი წითელყდიანი წიგნი ეგდო.

ოთახში არაჟნით, ორცხობილით და ყავის შეკვრით ხელებსავსე დავბრუნდი. სახე გაფითრებული და სერიოზული მაქვს. ვხვნეში.

- მგონი, ბავშვი გადმოვარდა აივნიდან... ცოცხალია და არავინ ეკარება, ფეხსაც იქნევდა... - ვთქვი მე.

ოთახში მყოფთაგან ერთი წამოხტა და გაიქცა.

- ნახე, ბავშვების პატრონი რომაა, როგორ გავარდა, - გადაიხარხარა ყავის ელექტრომადუღარას ძებნაში გართულმა ქალმა...

წიგნები კი...

მართლაც კარგი, იშვიათი წიგნები იყო, თუმცა მათი წამოღება და ხელის შეშლა აზრად არ მომსვლია.

უნდა გითხრათ, ასეთი წიგნები ყველა ჩვენგანს უწყვია სახლში...



არილი

ემზარ კვიტაიშვილი

# უნდა გვეამაყებოდეს, გვიხაროდეს...



## ესმა ონიანის პოეზია და ფერწერა

დასაწყისი იხ. "არილი" №12

უძველეს ქართულ თქმულებათა ცხოველმყოფელი კვალი, გარემომცველი სურათების უცნაური ხილვა, გრძნეულების ზღვარს მიახლოებული მითოსური წარმოდგენები, ესმა ონიანის არაერთ ქმნილებაში შეიმჩნევა. მრავალთა შორის, მას ერთი განსაცვიფრებელი უსათაურო ლექსი აქვს. პირველივე სტრიქონიდან აშკარაა ბუნების მოვლენათა ზღაპრული ხედვა, ბავშვურ ოცნებებთან ერთად იმთავითვე შესისხლხორცებული და შემდგომ მომძლავრებული მითოსური აზროვნება. ამ ორსტროფიან ლექსში, ოსტატობის მხრივ, იქნებ ყველაფერი ვერ იყოს ბოლომდე მოწესრიგებული, მაგრამ ესმა ონიანის ჭვრეტა ისეთი ღრმა და ნათელია, იმდენად ცაშია აჭრილი ამ სტრიქონების ამომთქმელი, იგი ჭექაქუხილის ანუ ღრუბელთა ბატონის ასულად, ამირანის ეპოსის ყამარადაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ (ლექსში ნახსენები “ღრუბლის დედა” სწორედ ამას მიგვანიშნებს). ხედვის წერტილი თავიდანვე იქცევს ყურადღებას - უსასრულობაში კისრისტეხით მიმსრბოლავი ბურთი, დედამიწა უზარმაზარი სიმაღლიდან არის დანახული და ეს სიწმინდე, სილამაზე ჩვენს თვალწინ შესაშური უბრალოებითა და ჰაეროვნებით არის განფენილი. ადამიანთა სამყოფელამდე ყველაფერი ისე მშვენივრად და ცხადად არის მოტანილი, ამ შემთხვევაში ცალკეულ სახეებსა და სურათებზე მსჯელობა ყოვლად გაუმართლებელია; აქ სამაგალითო ძალისხმევითაა მიღწეული სისავსე და მთლიანობა, რისკენაც ესმა ონიანი მუდამ დაუოკებლად ილტვოდა:

**გამოუცვივდა ღრუბლის დედას ღრუბლები ცაზე,**
**თეთრ წინსაფრებში იცინიან;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცის კარ-მიდამოს იცავს სინათლე,**
**სადაც ამოდის ლამლამობით სილურჯის ია.**
**ახლა ღიაა გამჭვირვალე სიყვითლის კარი,**
**შინ კანკალებენ შუქის ფოთლები,**
**ქვემოთ მიწაა დანაოთხები**
**და მობუზული ხეების ჯარი.**

ამ ლექსს ფაიფურის, ნეფრიტის ან მაიოლიკის ნაკეთობასავით მკვრივი, საგნიერი ფორმა რომ ჰქონდეს, მოფერება მოგინდება, იმდენად თბილი და ადამიანურია.

წავიკითხე თუ არა, მაშინვე გამახსენდა ესმას ერთი ადრინდელი ავტოპორტრეტი, რომელზედაც თავისი თავი გამოუსახავს ათიოდე წლისა და ბავშვურ მკერდზე სწორედ თეთრი წინსაფარი აქვს აკრული; კრუხს მოშორებულ წიწილასა და მთასთან მომდგარ ღრუბელივით ფუმფულა, ჰაეროვანია, ოღონდ არ იცინის, მოწყენილს უფრო გავს. მერე შარშანდელი აფუსფუსებული გამოფენაც მომაგონდა. კედელთან სკამზე იჯდა აცრემლებული, სათვალიანი მოხუცი ქალბატონი, ესმას გულმოკლული მშობელი, "ღრუბლის დედა", უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით. მომეჩვენა - თავის პატარა, წინსაფრიან გოგოს ეძებდა, კალთიდან რომ დაუსხლტა და ღრუბლის ქულასავით ცის უსასრულობას მისცა თავი, ანგელოსად გაჩენილი, საკუთარ წიაღს დაუბრუნდა.

აქვეა სახსენებელი ესმა ონიანის ახალგაზრდობისდროინდელი ერთ-ერთი საუკეთესო სურათი: პატარა, ოთხიოდე წლის პირმოკუმული, თვალებდაჭყეტილი გოგო ტყისპირას მიწაზე მობუზული ზის. მის წინ ფესვებდაშიშვლებული იის კონა დევს. ამ უცნაურად მიმზიდველ სურათს, ისევე როგორც ზემოთ მოხმობილ მცირე უსათაუროს, იის ღვთაებრივი სილურჯე გადაჰკრავს, უბიწოების ათინათი დასთამაშებს.

გარდა იმისა, რომ მრავალთაგან განსხვავებული ხედვა და უჩვეულო, თითქმის მოუხელთებელი შეგრძნებები აქვს, ესმა ონიანი ყოველივე ამას შესაფერის სიტყვიერ საბურველს უძებნის. ძირითადად იგი მინიშნებებით კმაყოფილდება და დანარჩენს მკითხველის ფანტაზიას ანდობს. ამის მაგალითები უხვად შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს დავჯერდებით:

**რიკულებში ოქროს ბუბნები,**
**მარიამ ბებიას სველი ვენახიდან თან მოტანილი**
**ტალახის რბილი და მძიმე ქუსლები.**
.......
**კედელი შრება**
**სისველის ნაცრისფერი ძონძით მოსილი.**
.......
**ჩითის კალთას მუქად ჩაჟონავს სისველით**
**ყურძნის მჭიდრო მტევანი,**
**გრილი მარცვლების მძიმედ მზიდველი.**
**("გამოდარება")**

**მთვარისფერი ვარ,**
**როცა მზეზე დავბორიალობ.**
**საღამოს კრთება კიდევ უფრო ჩემი ბეწვი,**
**უკვე უხეში და მოშრიალე.**
.......
**თითქოს იდგა ლურჯი ტბები შავ ნაპირებში,**
**მოვაქანებდი ფერდებით ზეცას.**
**ბეწვის პრიალით,**
**ველის ტრიალს შემოვყვებოდი**
**გადაპობილ რქების სხივებით!**
**("ბებერი ველური ხარი")**

ესმა ონიანს უყვარს გარდასულ ცივილიზაციათა (ძველი ეგვიპტე, ძველი საბერძნეთი, შუამდინარეთი...) გახსენება. ისე მყისიერად აცოცხლებს და ამოქმედებს დანაცრებულ, მტვრადქცეულ ისტორიულ პიროვნებებს, თითქოს მათი დრამატული ამბების შემსწრე იყოს. კალმის ერთი მოსმით შეუძლია თვალწინ დაგვიყენოს სისხლიან ვნებათა შეჯახება: "მობეზრებაა კლიტემნესტრას აგამემნონის დიდკბილება, ფართო სიცილი..." ერთ უსათაუროში ძნელია მიხვედრა, თუ ვისი სახეა ჩათქმული. ისე კი შეეძლო, ეს სტრიქონები თავის თავზე ეთქვა: "როცა დედოფალი ვიყავი, შუბლზე თვალი მესვა მბრწყინავი..." თვითონ მართლაც იყო დედოფალივით ქალი და სწორედ მისმა შუქიანმა იერმა დააწერინა წინასიტყვის ავტორს: "ესმა ონიანი დაბადებული იყო დედოფლად და იქცეოდა, როგორც დედოფალი..."

კრებულში ერთ-ერთი საუკეთესოა მახვილგონივრულად მოფიქრებული, ძალზე თავისებური ციკლი "დანახული ანდაზები", სადაც რამდენიმე ანდაზა "შინაარსის ქვაკუთხედიდან" არის დანახული და ეს "პირდაპირი... პლასტიური გაშლა" ახალ სიცოცხლეს ანიჭებს ხალხურ ნათქვამს, ასოციაციათა მთელ ჯაჭვს აღძრავს (გავიხსენოთ, რომ ბრეიგელი ასევე პირდაპირ ხატავდა ანდაზებს, ქარაგმულად ნათქვამი ფერწერის ენაზე გადაიტანა და მანამდე გაუგონარი, უძლიერესი ეფექტი მოახდინა).

საკვირველი სახიერებით გადმოუცია ესმა ონიანს საწოლში ჩაგორებული და ნეფის მომლოდინე ოსი პატარძლის ნათქვამი: "სიძე თუ მოდის, მოვიდეს, თუ არადა მეძინება". აქ ერთმანეთს ენაცვლება იოლად წარმოსადგენი და სახილველი, ოსტატის ნაცადი ხელით გამოძერწილი, მეხსიერებაში ჩასაბეჭდი სურათები:

**ხაჭაპურის ჭიპივით მოკუმა პირი,**
**თვალები ატრიალა მძივებად...**
**სიგრილე ლეკვივით არ შეუვარდა წვივებში...**
**ძუძუ ცომის გუნდასავით მიეწება მკლავზე;**
**ოსური მთვარისხელა ლაწვები განივრად ანათებს...**
**გადაბრუნდება - ღონიერ ბარძაყებს**
**ტახტი ვერ უძლებს, ძაგძაგებს...**
**ზმანებაში ჩაძირულ ქალს კი ასეთი რამ ეჩვენება:**
**თბილი ტუჩებით დაეწაფა სიძე,**
**ხორცისფერად კოცნის, ველარ იშორებს...**

დიდებულია ამ ლაღობით დაწყებული ლექსის ტრაგიკული ფინალი, სრულიად მოულოდნელ კონტრაქტს რომ ქმნის და ძველ ისლანდიელთა საგების განუმეორებელ სამყაროს მოგვაგონებს. სწორედ ამ ვნებიანი, ჟრუანტელისმომგვრელი ზმანების დროს:

**სიძე კი წევს მშვენიერ ბილიკზე, ტყეში,**
**არც აპირებს ადგომას,**
**მთვარე გვერდს უვლის,**
**შინ ნაქსოვ პერანგის თვალბუდა ხვრელებში**
**ჭრილობა მოჟონავს მწიფე ლელვივით,**
**ძუძუს თავზე გადამთხვლეული.**

ამ ციკლის ყოველ ლექსში უცნაური და ამასთანავე ზუსტი ხილვებია; ანდაზები სათაურებადაა გატანილი: "მორცხვი ქალი - ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი ერთ ქალამნად...", რასაც მიჯრით მოსდევს კონკრეტული ხატები, სოფლური ყოფის ამსახველი, ნამდვილ პოეზიად ქცეული ეთნოგრაფიული სურათები:

**იყო შიმშილი.**
**ჭიპი ხედავდა ხერხემლის ლერწამს,**
**ხრტილებით დაყოფილს.**
**ბებერი კაცი ღლიდა აღმართს,**
**მზეში ხალათს აჩრჩოლებდა გაოფლილს...**
**იქაური მზე - ყვითელი კვერი,**
**გატყავებული ბატკნის ლიცლიცი, ხრტილების კვნეტა...**

თავისთავად პოეტური იერი დაჰკრავს გამკილავი ტონისა და გარკვეული აზრის შემცველ მომდევნო ანდაზას - "მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო", - ოჯახში შესული რძლის ნათქვამად რომ აღიქმება და ეს ლექსის პირველივე სტრიქონებიდანვე ცხადი ხდება, ოღონდ ესმა ონიანი კვლავ ფერადოვან სურათებს ხატავს და ანდაზისეული მინიშნება, ძირითადად, მისი ფიქრების მიღმაა დარჩენილი. ქვემოთ დამოწმებული სტრი-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონები სიტყვაში გადატანილი ფერწერის ძალმოსილებით აჟღერებული ჭეშმარიტი პოეზიაა:

**გაღებულ კარში მოსაღამოვდა,**
**ნუშისგულისფრად მესვა შვილი კალთაზე.**
**მამამთილი იჯდა იისფერ-ლურჯად,**
**გვერდით დედამთილს სახე-ხელები ბიისფრად უჩანდა.**
**მოვიდა მაზლი, იაგუნდისფრად გადატკეცია**
**საწვერ-ულვაშე...**

ლექსად გაშლილი თითოეული ანდაზა ასეთი სხარტად ჩამოქნილი, მრავლის დამტევი პოეტური სახეებით არის მოპირთავებული და მათზე ალბათ საგანგებო დაკვირვება იქნება საჭირო, რაც წინამდებარე წერილში ძნელი მოსახერხებელია.

ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა წიგნში შეტანილმა ერთმა უსათაურომ: "მიეცი ძალა ამ საწყალ ზურგებს". ლექსის ავტორი ქუჩაში მობორიალე ზურგების ფარას აკვირდება და შეწუხებულია, ფიქრობს რითიმე მიწაზე ყოფნა, არსებობა შეუმსუბუქოს ადამიანებს, უფალს ევედრება მოსიარულეთა შეწყალებას ("ფრთხილად მოხსენი ცოდვების გალა..."). აქ ჩანს უზომოდ კეთილი, უმაღლესი ზნეობის პიროვნება, რომელსაც თავი აქვს გადადებული მოყვასთათვის, მზად არის შეეწიროს თითოეულ მათგანს, ოღონდ რაიმე შვება მოუტანოს, თვალი აუხილოს მათ და ამ ქვეყანაზე გაჩენის მადლი, სილამაზე შეაგრძნობინოს, ცოდვათაგან გაათავისუფლოს ისინი:

**ცრემლები მახრჩობს, გული მეწვება,**
**რა გადმომეცა, რა დარდებს ფარავს**
**ჩემს წინ მიმავალ ზურგების ტევრი,**
**დაიცავ, ღმერთო, მოეცი ძალა!**

საბავშვო ლექსებში, ხალასი იუმორით რომ არის დაწერილი, ესმა ონიანს მისეული სიფაქიზით დაუხატავს პატარების ზღაპრული სამყარო. ზღაპრული და სასაცილო იერი დაჰყვება აგრეთვე, სალაღობოდ დაწერილ ლექსებს, რომელთა უმრავლესობას ღიმილის გარეშე ვერ წაიკითხავ. მშვენიერი ზღაპრის კილოთია გამართული მოზრდილი ლექსი "მეფე ვახუშტისა და ბაბუა ვეზირის ამბები". ახირებული, უხეირო ვეზირების მეფეც უვარგისი და ჩერჩეტია. იუმორისტული შტრიხებით არის დახატული მისი ბრიყვული პორტრეტი:

**ან მეჭეჭი აქვს ცხვირზე ან ხალი,**
**ან ენაბლუა ანდა ცაცია,**
**ხან ლოკონიან პარიკს ატარებს,**
**ხან არაფერი ტანთ არ აცვია.**

საგულისხმოა, რომ ამ ბუტაფორიული თოჯინების ფონზე, ალაგ-ალაგ ბრწყინვალე პოეტური სახეები გაიელვებს:

**მდინარის წელი ერტყა სასახლეს,**
**მთვარე არჩევდა ადგილს ჩასახედს.**

მოულოდნელი, ორიგინალური სახეები უფრო ჭარბად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული "ბაბუა ვეზირის ლექსებში". აი, ერთი მათგანი:

**აივანზე მივდიოდი,**
**რიკულები ბერავდნენ მუცლებს...**

ამდაგვარ მაგალითებს რომ მივყვეთ, თითქმის მთელი ლექსის გადაწერა მოგვიწევს. ვფიქრობ, ჩემს მიერ მოხმობილი სტრიქონებიდანაც თვალნათლივ ჩანს ესმა ონიანის პოეზიის თავისთავადი, განუმეორებელი იერი.

ალსარებასავით დაწერილ ერთ თავისუფალ ლექსში ჩვენი მშვენიერი პოეტი ქალი შესთხოვს ქართველთა უძველეს და უსაყვარლეს წმინდანს - თეთრ გიორგის:

**უდრეკი, გასაძლები ძალა მომანიჭე!**
**სულის დასაწმენდი ძალა მომანიჭე!**

ვინაც ამ გულიდან ამოძრულ, ლოცვასავით წრფელ სტრიქონებს წაიკითხავს და მერე მისი მადლიანი ფუნჯით შექმნილ ზღაპრულ სამყაროსაც შეავლებს თვალს, უმალ დარწმუნდება, ეს მხურვალე ვედრება შეუსმენელი არ დარჩენილა.

* * *

მოსალოდნელი იყო და მართლაც მრავლისმეტყველი, სასიამოვნო საკითხავია ესმა ონიანის ესეები, წერილები, დღიურის ტიპის ჩანაწერები, რასაც წიგნის თითქმის ნახევარი უჭირავს. აქ თამამად და უშუალოდ არის გამოთქმული მისი შეხედულებები პოეზიაზე, მხატვრობაზე, საერთოდ, შემოქმედებაზე.

ალაგ-ალაგ შთაბეჭდილება იქმნება - მოძალებული სათქმელი მის ხორხსა და სასას ებჯინება, შეტყუპებულ, შედუღებულ სიტყვათა გათიშვა, დაცალკევება და თავად წინადადებათა ყალიბში ჩასმა ჩანს უჭირს, სულის მოთქმას ვერ ასწრებს, ჩქარობს, რომ გონებაში უეცრად გაჩენილი აზრის ძაფი ასევე უცებ არ გაუწყდეს.

ძნელია, არ დაეთანხმო გალაკტიონ ტაბიძის მისეულ შეფასებას: "გალაკტიონმა ქართული თანამედროვე პოეზიისთვის გააკეთა რამდენიმე პიროვნების გასაკეთებელ-მოსასწრები. გააკეთა ის, რასაც სხვა ქვეყანაში რამდენიმე პოეტი ქმნიდა და ამ ერთობლიობით ყალიბდებოდა მათი პოეზიის სახე, ეყრებოდა საძირკველი მომავალს; გალაკტიონმა მოასწრო სხვადასხვა არხის მიშვება, მოასწრო, არ დავრჩენილიყავით ახალი პოეზიის რაიმე ელფერ-დაკლებულნი. დიდი წინაპრების შემდეგ ჩვენი ენის ახალი ცხრაკლიტული გახსნა, დაგვიტოვა უხვ-დაუმადლებლად მისი სიმდიდრე, მასში შესაძლებელ მოძრაობათა სითავისუფლე შეგვაგრძნობინა".

ესმა ონიანი ახალი კუთხიდან ხედავს ტერენტი გრანელის ბუნებას და ამ თვალსაზრისს თავისებური გამართლებაც ეძებნება: "შეცდომაა, მას რომ სიკვდილისა და ტირილის პოეტად მიიჩნევენ ხშირად; ყველაზე ძლიერად იგი გრძნობს სწორედ აქაურობის აქაურულ სიმშვენიერეს და სიყვარულს, მისი დათმობისა და შემდეგ მისი მონატრების შიშს..."

ჩანაწერებში ყურადღებას იქცევს მისეული გამოთქმა "ერთბაშობა-სისავსე", რასაც იგი (ეს უკვე ითქვა) გამუდმებით ესწრაფვის. ყველაზე მეტად ფერწერა მიესადაგა მის მაძიებელ ბუნებას და ნიადაგ დაუმცხრალ ლტოლვას ერთბაშობისა და სისავსისადმი; მოქნილად შეგახსენებს ცნობილ ჭეშმარიტებას: "ფერწერული ნაწარმოები ერთბაშად აღქმადია სივრცე-დროში". მისი მთავარი საზრუნავია "გამომსახველობის დიდ სიძლიერემდე მიყვანა", ამავე დროს არ ივიწყებს, რომ "ჭეშმარიტი ნაწარმოების ღირსება მისი სიმთლიანეა..." ("მუსიკა, პოეზია, ფერწერა").

ყოველივე ეს სხვაგვარი ძალმოსილებით, ოსტატის ნაცადი ხელით არის განხორციელებული მის საუკეთესო ფერწერულ ნამუშევრებში. მნახველს ძნელად თუ დაავიწყდება მხატვრის დის ირინე ონიანის, ოთარ იოსელიანის, დათო ჯავახიშვილის, სალომე ბოლქვაძის, მანანა კოვზირიძის, ჯანრი კაშიას თუ სხვათა გამოსახულებანი. განსაცვიფრებელია მსუბუქი, მიმანიშნებელი მონასმებით შესრულებული მამის მეგობრის, სახელგანთქმული მხედართმთავრის, გენერალ ნიკოლოზ თავართქილაძის პორტრეტი, რომლის სახის ღვინისფერი სიწითლე ამ კაცის იერს თვალის შევლების უმალ გვიცოცხლებს.

არაერთხელ თქმულა და კიდევაც დაიწერა თუ ოსტატობის რა სიმაღლეს აღწევს ესმა ონიანი წითელი ფერის გამოყენებისას. მრავალთაგან გამოირჩევა ესმას საყვარელი წითელი ფერი, ალაგ-ალაგ თითქოსდა ჭვარტლის დანამცეცებული, დიდ-პატარა წერტილებით დაფარული, შიგნიდან ნაკვერცხლებივით მღვივანი (წითელ ბურუსში გახვეული მახსოვს მისი უშიშარი, მზრებაწურული, ჩოხებში გამოწყობილი, კოშკებივით დამდგარი წინაპრების, სვანების ვაჟკაცური ფიგურები).

ხელოვნებათმცოდნენი მიუთითებენ წითელი ფერის ისეთ მდგომარეობას, როცა იგი "ოპტიკური სპექტრის ხარისხს" კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალნიშნავს, არამედ ცოცხალი, მგზნებარე, ენერგიული, მძლავრი გამოსახვის თვისებას. სწორედ ამგვარი დანიშნულება უნდა ჰქონდეს წითელ ფერს ესმას არაერთ ტილოზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ უფრო ის მიზანი გვაქვს, რომ მისი თეორიული ნააზრევი წარმოვაჩინოთ.

ქართულ ხელოვნებაში ესმა ონიანი ყველაზე საკრალურად, გზის მაჩვენებლად ორ სახელს მიიჩნევს - ნიკო ფიროსმანსა და დავით კაკაბაძეს, მათდამი თაყვანისცემას არაერთგან გამოთქვამს. ბრწყინვალეა დავით კაკაბაძეზე დაწერილი მცირე ესე, სხარტად არის ნათქვამი, თუ რამ განსაზღვრა მისი "მარადიულობასთან წილნაყარობა". ცხადია, ესმა ონიანი საეჭვოდ ვერ გახდიდა, რომ დავით კაკაბაძეს, როგორც ახალი ხელოვნების შექმნისა და დამკვიდრების ერთ-ერთ მოთავეს, საფუძვლიანად ჰქონდა შეთვისებული ევროპული კულტურა, მაგრამ ხანგრძლივი და საგანგებო დაკვირვების შედეგად დაასკვნის: "...იგი ალმოსავლურ მარადიულისაკენ იხრება".

უკიდურეს სიზუსტესთან შეზავებული ღრმა პოეტურობა განაპირობებს დავით კაკაბაძის დანატოვარის უკვდავებას. ამიტომ გახდა იგი ქართველ მხატვართა მთელი თაობების მოძღვარი და ამიტომაც წერს ხსენებულ ესეში ესმა ონიანი:

"რითმული წესრიგი, ყოველი გამოსასახავი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწონება, საერთო მთელში მათ შორის ერთნაირად როლების განაწილება, მთელს დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდობა, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ღერძზე დაყრდნობა - აი, რა უნდა ვისწავლოთ მისგან".

პირველივე შთაბეჭდილება, რაც მატისისადმი მიძღვნილმა მცირე, ორიოდე გვერდზე დატეულმა უმშვენიერესმა ესემ განმაცდევინა (ანრი მატისის მიმართ ესმა ონიანის აშკარად გამოვლენილი სიყვარულის გამო უკვე დაიწერა), ის იყო, რომ ალმეძრა სურვილი - იგი უთუოდ უნდა ითარგმნოს უცხო ენებზე, რათა მრავალთათვის გახდეს ცხადი, თუ რა სრულყოფილად შეიცნო ქართველმა ფერმწერმა მატისის ოსტატობის შინაგანი ბუნება, მისი მოჩვენებითი სიმარტივის აზრი. რამდენის მთქმელია თუნდაც ეს ფრაზა: "მატისთან საგნის აღწერაშია ჩამარხული საგნისვე განმარტება". ესმა ონიანის ტონი ხშირად მწვავე, პოლემიკურია, მაგრამ მას ურყევად სწამს, რასაც ამბობს და ძნელია მის სიმართლეს არ დაეთანხმო: "თუ მატისი სიღრმეთა ვერშემცნობ მნახველისათვის ცალმხრივი და მხოლოდ და მხოლოდ დეკორატიული პლანის მხატვარია, ნამდვილი შემფასებელი ხედავს მატისს - ჭეშმარიტ შემოქმედს, მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, რომლის დახვეწილი სტილია მაუწყებელი ავტორის აზროვნების სიღრმისა. მატისთან მუდმივი, წარუვალი კანონზომიერებები მის ფერწერულ პროცესშია გამოჟონილი შეფარულად, თით-მიუშვერლად და მსჯელობის გარეშე; ჩვენ ვხედავთ საგანთა გაურყვნელ, პირველყოფილ არსს".



ესმა ონიანი არ განიხილავს მატისის ცალკეულ ქმნილებებს, მაგრამ გასაოცარი უშუალობით ავლენს მთლიანად მისი სამყაროსა და თვით მისი ხასიათის სამაგალითო წვდომას, რაც, ძირითადად, ხსენებული ესეს ფინალურ სტრიქონებშია გაცხადებული: "მასში არ არის სულსწრაფობის ნატამალი, იგი არ აქუცმაცებს დროს და ყოველთვის წყნარია; მას სწამს და იცის, რომ ის, რაც გაიცა, უკვე ალარ დაიკარგება, უსათუოდ გაანაყოფიერებს საჭირო ნიადაგსა და საჭირო მისამართს არ ასცდება, რომ "გამგები გაიგებს".

უთუოდ ცალკეა ალსანიშნი "გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის სალამოზე წარმოთქმული სიტყვა", რადგან ვიცით, თუ რამდენად შეძრა ესმა ონიანი ელვარე ნიჭის შემოქმედის ტრაგიკულად დალუპვამ. აქ ნათქვამია, რომ ის თავისი მოზრდილი ლექსი უსაზღვრო მწუხარებამ დააწერინა ("მე არ ვიცოდი, როგორ მოვრეოდი გურამის ალარ ყოფნის ტკივილს..."), გულმოკლული ამბობს: "უსასრულოდ მენანებოდა ის დაკარგული შესაძლებლობები, რაც გურამმა თან წაიყოლა; გურამთან ერთად რალაც ჭეშმარიტ, სავსე სიცოცხლესთან ზიარების ბედნიერება იკარგებოდა. აი, ამ განწყობის შედეგია ეს ლექსი, რომელიც თითქმის ჩემგან დამოუკიდებლად ხალხური ფორმით გადმოილვარა".

მრავალ საგულისხმოს, ჭკუის სასწავლსა და დამაფიქრებელს გვამცნობს ესმა ონიანის წერილები, სადაც ღრმა განათლება, დახვეწილი გემოვნება და შეუვალი პირდაპირობა ჩანს. არაერთ საინტერესო პრობლემას ეხება მოზრდილი წერილი "ფიქრები პოეზიაზე", სადაც ბევრი მოურიდებელი სიმართლეა ნათქვამი იმ ფსევდო-პოეტებზე, ცრუ ნოვატორებზე, თავისუფალ ლექსს რომ არიან ამოფარებულნი. არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგალითად, კატეგორიულად ნათქვამი ცნობილი აზრი: "თავისუფალი ლექსი უნდა იყოს მაჩვენებელი ვირტუოზული საშემსრულებლო თავისუფლებისა..." (თავისუფლება აქ ოსტატობის, ხელოვნების სინონიმია). ასევე სამართლიანად ფიქრობს წერილის ავტორი, რომ თავისუფალი ლექსი მისთვის არის "თავისუფლების მკაცრი საკანი", და რომ ამ ფორმაში "ალიტერაცის დიდი როლი დაეკისრა. იგი ლექსის კუნთოვანების, სხეულებრივი სიმკვრივისა თუ ნაზგამდნარი პლასტიურობის საყრდენად იქცა".

არაერთხელ ვყოფილვართ მომსწრენი - ამბიციებით გატიკნილი ვითომდა ავანგარდისტები ერთმანეთს გუნდრუკს უკმევენ, ლიტერატურული სექტანტობის ნაჭუჭში იკეტებიან და ბოლოს მათი ფშუტე ნაჯახირევიდან ალარაფერი რჩება - როგორც მანამდე სხვებს, მათ უსახურ წინამორბედებს დამართნიათ, ერთმანეთის ხოტბა-რეკლამირებით იქანცებიან, და, ჩვეულებრივ, ათითორმეტი წლის შემდეგ მათ ალარავინ იხსენიებს პოეტებად, იმედის მომცემ შემოქმედებად.

საგანგებოდ მსჯელობს ესმა ონიანი ლექსში რითმის დანიშნულებაზე და ცნობილ თვალსაზრისს ახლებურად ათვალსაჩინოებს: "პოეტებს შემჩნეული აქვთ, რომ ხშირად გარითმვის ძიებაპროცესში სარითმო სიტყვა უბიძგებთ მათ სრულიად მოულოდნელი გადახვევისკენ, რომელიც თითქოს უფრო ცხოველი, საინტერესოა... რითმის ძიება ერთგვარად ხელს უწყობს იმ შიდა ფენების წამოშლას და გამომზეურებას, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მარაგის სახით თვლემს".

"როგორ გვასმენინებს თავს პოეზია?" მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი ეხმიანება შოთა ჩანტლაძეზე დაწერილ თამაზ ვასაძის წერილს, რომელსაც არსებითად ეთანხმება, მაგრამ ზოგიერთ დეტალში მახვილგონივრული კორექტივი შეაქვს, კერძოდ, "სიკვდილთან გაშინაურების" თაობაზე. ესმა ონიანი, თავის მხრივ, გვთავაზობს შოთა ჩანტალაძის პოეტური თვალთახედვის, მისი სტილის მოხდენილ დახასიათებას და სავსებით სწორია, აგრეთვე, როცა ერთ-ერთ ჩანაწერში ნაადრევად დალუპული, დიდად ნიჭიერი შემოქმედის საუკეთესო მინიატურას - "სქოლიოს" - შედევრად თვლის.

წიგნს აბოლოებს "ძველი რვეულებიდან" ამოკრებილი მშვენიერი დაკვირვებები, ესმა ონიანის მდიდარი, წმინდა და ფაქიზი სულის მოძრაობას რომ გვიმხელს, ჭეშმარიტ, მძლავრ ტალანტთან შეხვედრის განცდით რომ გვავსებს; ჩვენ არაერთხელ ვხვდებით მოწამენი იმისა, რომ შთაგონების ბურუსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან როგორ თანდათან იკვეთება ნათელი, ჩამოქნილი პოეტური აზრი. ასეთ დროს მზად ხარ, უყოყმანოდ იწამო ერთი ცნობილი გამონათქვამი, რომ ნამდვილი ხელოვანის დაწერილში ნახევარი წერტილიც კი არ არის ზედმეტი.

ადამიანი, შემოქმედი გაოცების უნარს როცა კარგავს, ის ვერაფერს ღირებულსა და დასამახსოვრებელს ვერ შექმნის, სილამაზის, მშვენიერების კარები მისთვის სამუდამოდ დახშულია. ესმა ონიანის ერთადერთმა, გულში მოსახვედრმა ფრაზამ - "სამყარო იმისთვისაა, რომ ყოველთვის გაიოცო" - შეიძლება მთელი წიგნი დაგაწერინოს. თავადაც გაოგნებული უმზერდა სასწაულის ძალით გაჩენილ ქვეყნიერებას და ამიტომაცაა - მისი პორტრეტების უმრავლესობის თვალთაგან გაოცება და ნაღველი რომ გამოკრთის.

ესმა ონიანის მაძიებელ ფიქრში ჩანს აზროვნების პროცესი, იდუმალის შეცნობის დაუცხრომელი წყურვილი, რაც, თავისთავად, სიმაღლეებისკენ ლტოლვა და პოეზიაა: "გონება განუზომელია და მოუცველი; რაც უფრო მეტ ფართობს გამოვალვიძებთ მისას, სულ უფრო მეტად და მეტად მივდივართ სიღრმეში და კიდევ უფრო მეტს მოითხოვს უკვე გამოღვიძებული ნაწილი, ის თვითონვე მიდის თავის სიღრმეში, თავისივე თავით მიიკაფავს გზას საკუთარი მთლიანობისა და მწვერვალისკენ და ასე დაუსრულებლად ივრცობა; მწვერვალი - მიუღწევლობაა, მთლიანობა - მოუცველობა. მისი სხეული - მოუცველობაა".

სახელდახელოდ დაწერილმა ესმა ონიანის მშვენიერმა მინიატურამ "ქარმა" გამახსენა უძველესი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები დიდი ჩინელი პოეტის, სუნ ძუის (290-223) ამავე სახელწოდების ბრწყინვალე პროზაული პოემა, რომელშიც გასაოცარი სინატიფითაა აღწერილი ქარის ნაირსახეობანი.

ესმა ონიანი ბევრს და თავისებურად წერს სხვადასხვა სალექსო ფორმებზე. ერთ-ერთ ჩანაწერში იგი მსჯელობს ლექსის ურთულეს ფორმაზე, სონეტზე, რომლის წერა ჩვენში ასე გააიოლეს. ამ ჩანაწერში კარგად ჩანს, რა სიძნელეს უქმნის ნამდვილი სონეტი მისი დამწერის მსურველს: "ფორმის სკულპტურულ თვალსაჩინოებასთან ერთად სათქმელი ისე უნდა იყოს შიგ ჩასისხლხორცებული, რომ ვერ გაიგლიჯოს..."

აუღელვებლად, მადლიერების გარეშე ვერ წაიკითხავ იმ ორიოდე გვერდს, ესმა ონიანს თავის მოწაფეობისდროინდელ ხატვის მასწავლებელზე, უსპეტაკეს ადამიანსა და პედაგოგზე სერგო ახვლედიანზე რომ დაუწერია (იგი შესანიშნავი ქართველი მწერლის, ჩვენი ერლომ ახვლედიანის მამა გახლდათ და ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ მისსავე ოჯახში რამდენჯერმე შევხვედრივარ, მოვუხიბლივარ მის თავმდაბლობასა და კეთილშობილებას). "სერგო პაპასადმი" მიძღვნილ ამ საიუბილეო მასალაში ალაგალაგ ისეთი ნატიფი სტრიქონებია, პრუსტის პროზას გაგახსენებს (მარსელ პრუსტი, როგორც ადრე ვთქვით, გამორჩეულად, თავდავიწყებით უყვარდა ესმა ონიანს).

ყველაზე ხშირად ფიროსმანის განუმეორებელ ფერწერას, მისი პიროვნების განუყოფელ მთლიანობას დასტრიალებს ესმა ონიანის ფიქრი. ფიროსმანს იგი მიაკუთვნებს იმ უიშვიათეს შემოქმედებს, რომლებიც ჭვრეტენ და გამოხატავენ "ძირისმიერ სულს საგნისა, რომელიც დაბადებამდელ ხსოვნაში იღებს სათავეს; დაბადებამდე ჩვენთვის ნაჩვენებ, ჩაბეჭდილ აქაურ საგანთა პირველ ნიმუშებს ამოგვაცნობინებს, ჩვენსავე სულში მძინარეს".

მოულოდნელი სრულებითაც არ გახლავთ, რომ ესმა ონიანი ვერ ეგუება უსაგნო ხელოვნების ადეპტებს, სასაცილოდ არ ჰყოფნის მათი "კონცეპტუალიზმი" და ენდობა ინტუიციას, რაც, ამ შემთხვევაში, ნიჭის ტოლფარდია. უბრალო, ჰაიჰარად წამოსროლილი განაცხადი როდია, როცა იგი ამბობს: "ზერელობა და ზედაპირზე ტივტივი არ შემიძლია, ხოლო ის სიღრმისმიერი აღქმა პროცესებისა, რომელიც ჩემშია, ძირფესვიანად გამოტანას და ზუსტ ანალიზს საჭიროებს".

გულის სიღრმიდან მომდინარეობს და ყველა დროის ერთ-ერთი ჟავლგაუსვლელი სიმართლეა ეს ჯიქურ გამოთქმული აზრი: "ჭეშმარიტი შემოქმედი არასდროს ზრუნავს რეკლამაზე - მას ამოქმედებს ნამდვილი ჟინი - სიყვარული ქმნის და არა იმაზე ზრუნვა, გინდა თუ არა, დიდ მხატვრად მაღიარონო". ვერც იმას გახდის ვინმე საცილოდ, რომ "უნიჭობა უფრო შემართულად და მედგრად იბრძვის..."

ესმა ონიანმა ისიც მშვენივრად იცის, რა უპირისპირდება უნიჭობასა და მედროვეობას, "დოლივით გამართულ" პერსონალურ გამოფენებს. "ჭეშმარიტი ნაწარმოების კანონზომიერებაა ისეთი, რომ ის ყველა დროში გამძლეა და მისი "პირადი" სრულყოფილება, როგორც ჩაკეტილ ირგვლივ გალავანში, მოიცავს ყოველივეს, რაც აუცილებელია მისი მარადიულობისთვის. ისე რომ, დროის ფაქტორი ვერავითარ როლს ვერ თამაშობს უკეთესობა-უარესობაში; ნამდვილები ზემოთ აღმავალ ხაზს კი არ ჰქმნიან, არამედ ხეივანს. ნამდვილობის ხეივანში დრო მკვდარია და მუდმივი სიცოცხლე სუფევს".

ესმა ონიანს ღრმად აქვს განცდილი და წლების გამოცდილებით შემოწმებული, რასაც მსჯელობის საგნად აქცევს, წინადადებებად ალაგებს: "ყოველი ნამდვილი ნაწარმოები ყოველჯერობაზე ამტკიცებს კანონზომიერებას: იმისათვის, რომ გააქრო, ჯერ უნდა მოიცავდე ყველაფერს; მაშინ ამ განადგურება-გაქრობის გემო გაგვაძლებს და სიცარიელით კი არა, სისავსე-მოუხელთებლობით ტკბობას მოგვანიჭებს".

ერთ ფურცელზე ჩაუნიშნავს პოეტსა და მხატვარს: "ძველი ქართული ნაქარგები". უეჭველია, ამ თავისებურ ხელოვნებაზე საგანგებოდ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ალბათ სამომავლოდ გადასდო, თუმცა ის, რომ ესმა ონიანი ქართულ ნაქარგებს განსაკუთრებულად აფასებდა, ლექსებთან ერთად მისი დიდებული ფერწერიდანაც კარგად ჩანს, მაგრამ ეს უკვე ცალკე წერილის თემა იქნებოდა.

ერთგან, "იმერულ მოტივებზე" შექმნილ ნაუცბათევ, სახუმარო სტროფებში ესმას ასეთი რამ გაურევია:

- ჩემო ბატონო გერონტი,
წუხელ ნახვამზე ქე-რო-თქვი,
ასე ძაან თუ გიყვარდი,
აქამდე რაღას ელოდი?!

ეს ხუმრობით ნათქვამი ამჟამად სხვანაირ აზრს იძენს, უფრო ნაღვლიანად და ირონიულად გაისმის. სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთობ გვიან, სამზეოდან წასვლის შემდეგ გამოვუცხადეთ ესმას და მის შემოქმედებას სიყვარული, სიკვდილის მერე დავიწყეთ მისი ნიჭის ნამდვილი დაფასება, მაგრამ ეს მარტო მისი ხვედრი როდია. ასეთი გაუგებრობანი ყველგან ხდება და, ეტყობა, გასაკვირიც არაფერია.

მე დიდი ხნიდან მქონდა სურვილი, ჩემი აღტაცება და სიყვარული გამომეხატა ესმა ონიანის ღვთიური მადლით მოსილი პიროვნებისადმი. ბევრი სხვა რამისა არ იყოს, ამის გაკეთებაც დამიგვიანდა. ვნანობ.

აქამდე ვერ შევგუებივარ მოუნელებელ მწუხარებას, რომ ესმა ონიანი, ანგელოსური ბუნების არსება, ასე უეცრად, თვალის დახამხამებაში გაქრა. ერთი კია - შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, უნდა გვეამაყებოდეს, გვიხაროდეს, რომ ასეთი ადამიანი და შემოქმედი გვყავდა.

მე ისიც მწამს, რომ გარდაცვალების შემდგომ იგი სულეთის გზაზე განფენილ ჩაუმქრალ სხივად იქცა, მის სახელსა და დანატოვარს სამუდამოდ დაადგა ღვთაებრივი ნათელი.

დასასრულ, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვთქვა წიგნის ბოლოში დართულ ესმას ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ფოტოზე, რომელზედაც ხასიათის, შინაგანი წყობის იშვიათი უბრალოება და სისადავე, წმინდანის კდემამოსილება არის აღბეჭდილი. სახეზე ერთგვარი დაღლაც ემჩნევა, მაინც უკრთის შეუდარებელი, ნაღვლიანი ღიმილი, თვალებში ისევ ის უსაზღვრო სიკეთე უჩანს, თითქოს აქეთ გამშვიდებს, თანაგიგრძნობს მისი ყოვლისმიმტევებელი გამოხედვა.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

# საუბრები უბის წიგნებზე

## ნუგზარ შატაიძე
## მოთხრობები

ნუგზარ შატაიძის მცირე წიგნი მრავლისმომცველია და მრავალმხრივი, როგორც დროში, ისე სივრცეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს წიგნი მხოლოდ ფიზიკურად არის მცირე, თავისი შინაარსით კი იმდენ რამეს ეხება, ძნელიც კია ერთ რეცენზიაში საუბარი.

თუნდაც "სტუმარ-მასპინძელი" ავიღოთ, რომლითაც იხსნება კრებული. რა არის ეს მოთხრობა, თუ არა რაღაც ისეთის ნოსტალგია, რომლის გარეშეც ქართველი კაცის ცხოვრება წარმოუდგენელია. არა, ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს სტუმარ-მასპინძლობა აღარ იყოს ჩვენში და ამიტომ გადაშენების გზაზე ვიდგეთ. არა, რა თქმა უნდა! უბრალოდ, მწერალმა სტუმარ-მასპინძლობა თავის პირვანდელი, ნამდვილი სახით წარმოგვიდგინა. წარმოსახვის ეს თავისუფალი ქროლვა სწორედაც რომ აშკარაზე აშკარა რეალობას აღბეჭდავს. მიმზიდველია თვითონ მწერლის თხრობის მანერა. ის თითქოს იყოლიებს მკითხველს, უნდა მისი მონუსხვა, დატყვევება, აღძრული წარმოსახვის თანამონაწილედ ქცევა. ნუგზარ შატაიძე სტუმარ-მასპინძლობის "რიტუალს" დეტალურად აღწერს, ის თითქოს ზოგჯერ აჩერებს კიდეც "კადრს", რათა უფრო მკაფიოდ დაანახოს მკითხველს მნიშვნელოვანი მომენტი. აქ არსებითია არა ის, რომ ერთი კაცი მეორეს სტუმრად ეწვია, არამედ - როგორ მოხდა ყოველივე ეს. ამიტომაც არაფრის გამოტოვება არ შეიძლება. მწერლის ალღო ისეთ წვრილმანებსაც უნდა მისწვდეს, რომელთა გარეშეც სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

მასპინძელი ელოდება სტუმარს. წვიმს. ცუდი ამინდია. თვითონაც პირგამეხებულია. და აქ მწერალი უცნაურ გადასვლას აკეთებს (ასეთი "უცნაური გადასვლებისგან" შედგება ეს მოთხრობა). ამ გადასვლას ახლავს სიტყვა "უთუოდ", რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიგნებული ნიუანსის გარეშე ყველაფერი აზრს დაკარგავდა, თუმცა სჯობს თვითონ ნუგზარ შატაიძეს მოვუსმინოთ: "იმ ღამით უთუოდ უნდა ამოქროლდეს ქარი, თანდათანობით გაძლიერდეს, გალონიერდეს, ააფრიალოს დერეფანში გაფენილი სარეცხი, გაიტაცოს სახლის კედელზე აყუდებული თუნუქის ტაშტი, წაიღოს ხმაურით, რახარუხით, შემოატაროს მთელი ეზო. დაირეკოს ის შავი, შავად ჩამოწოლილი ღრუბლებიც და აღმოსავლეთით გადახენცოს".

თანდათან იდარებს და მწერლის წარმოსახვაში სტუმარ-მასპინძლის შეხვედრის ჟამი დგება. და აქ უკვე სხვა თხრობითი მელოდიურობა იჭრება ფრაზებში: "გუნებაგამოკეთებული ბალღები ჟრიამულით წავლენ სკოლაში.

საქონელი ფერნაცვალ მინდვრებს მოედება".

ყოველივე ეს თითქოს მართლაც მელოდიის ფონზე ხდება, ოღონდ იმ მელოდიისა, რომელიც წელიწადის დროის ენითუთქმელ ჭირვეულობებს იჭერს და გადმოსცემს.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაღა თქმა უნდა, სუფრა გაიშლება (აქაც მთავარია, თუ როგორ იშლება); რაღა თქმა უნდა, იქეიფებენ, რაღა თქმა უნდა, ბოლოსდაბოლოს თავ-თავის საქმეს ეწევა სტუმარიცა და მასპინძელიც. მაგრამ რაში დასჭირდა მწერალს ასე დეტალურად, ასე დაწვრილებით, და ალბათ ასე დაგემოვნებით სტუმრიანობის აღწერა? რა ამოძრავებდა მას? თურმე სევდა ყოფილა ყველაფრის სათავე. სევდა რაღაც გამქრალის და აღარდაბრუნებულის. იქნებ ბავშვობის? სევდა, რომელიც სულ ბოლო, დამაგვირგვინებელ ფრაზაში იკითხება: "თუმცა ეს ხომ წინათ იყო, ძალიან დიდი ხნის წინათ".



მოთხრობა "ყარაულები და ქურდები" ჩემი წარმოდგენით, იუმორით გაზავებული სიცოცხლის აპოლოგიაა, აქ ძალზე მარჯვედ მოქნეული ერთი ფინალური დეტალის მეშვეობით კარგად ჩანს, თუ პოლიტიკური სტერეოტიპები რა ყავლგასულია და სასაცილო, წარუვალ ღირებულებებთთან, ვთქვათ, მამაშვილობასთან შედარებით.

მოთხრობაში "9 მარტი" ტრაგედია ერთი ბიჭის ცხოვრებისეული პერიპეტიების ფონზე ხდება. სწორედაც ასეა: შემზარავი, დაუვიწყარი ტრაგედია უკანა პლანზეა გადატანილი და აქ მწერლის ჩანაფიქრიც და მხატვრული განხორციელებაც ზუსტია, ვინაიდან ჩანს, რომ ეს იყო თითქოსდა ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს თავისი სისასტიკით განუმეორებელი დღე. ამ დღეს ჩვეულებრივად მაცხოვრებელი ადამიანების ცნობიერებაში სრულიად უჩვეულო რამ შეიჭრა: ტყვიების წვიმა, რომელმაც ყველა და ყველაფერი გადათელა.

ნუგზარ შატაიძე ბიჭის ცხოვრების ფონზე შემზარავი მოვლენის ცოცხალ შტრიხებს წარმოაჩენს. ეს შტრიხები არ განსხვავდება უშუალოდ შემსწრეთა მრავალგზის მონათხრობისგან. აქ განსხვავებული სხვა რამაა: თვითონ ატმოსფერო. მწერალმა მოახერხა მწარე ავბედითობის დახატვა, რომელიც იმხანად ჰაერში

დატრიალდა და რომლის ცივად გაცნობიერებაც არამცთუ მაშინ, ახლაც კი ძნელია. სწორედ ეს გაუცნობიერებელი საფრთხის შიში იგრძნობა ბიჭის თვალით დანახულ ამ მოვლენაში. ეს ნედლი შეგრძნება სძენს მოთხრობას მხატვრულ ღირსებას.

"რექვიემი" უკვე ჩვენი დღევანდელობაა. ეს პეიზაჟია, ქალაქის და სოფლის პეიზაჟი. აქ არის მხოლოდ ხატვა პეიზაჟის და არა, ვთქვათ, კომენტირება. ხატვაც არის და ხატვაც. ეს არის ძუნწი ხატვა, მინიშნება, ზოგჯერ უბრალოდ საგნის დასახელება. ეს არის ლანდშაფტის, როგორც ბუნებრიობისაგან განძარცული დეკორაციის აღწერა. თითქოს რაღაც მოკვდა ჩვენს ყოფაში, რაღაცამ კარგად დაიძინა. თითქოს გაწყდა ის სასიცოცხლო ძარღვი, რომელიც შნოს და ლაზათს სძენდა ყველაფერს. ეს მართლაც რექვიემია, რომელიც პეიზაჟის ენითაა გამოთქმული. ეს არის სტატიკური, გაქვავებული, უსიცოცხლო სურათი.

ნუგზარ შატაიძეს სიღრმისეულად აინტერესებს დღევანდელობა და სწორედ ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ იღიმება, უფრო სწორად, ავტორის ღიმილი ზოგიერთი მოთხრობის ფინალში გამოსჭვივის. ასეთი მოთხრობებია: "მობილური ტელეფონი" და "ხევსურის ხმალი". ამ ორ მოთხრობას თანამედროვეობაში გათამაშებული ვითარებების გარკვეული ირონიზირება აახლოებს. ამ შემთხვევაში ირონიული ღიმილი გულისტკენის, უშუალო დამოკიდებულების, სწორედაც სიღრმისეულობის მიმანიშნებელია.

მობილურ ტელეფონზე მოსაუბრე ორი ადამიანი ერთმანეთის სიახლოვეს დგას. ისინი იმდენად გატაცებული არიან ტელეფონზე საუბრით, რომ ერთმანეთს ვერც კი ამჩნევენ. ნიშანდობლივია მათ შორის მოთხრობის ავტორის დგომა. ავტორი მათ აფიქსირებს, როგორც თავისი ირონიის ობიექტებს. ვითარებაც ტიპიურია - ყოველივე ეს ხდება გასვენებაში, რომელზეც პრეზიდენტი უნდა მოვიდეს. პრეზიდენტის გამოჩენისთანავე ყველა ცდილობს შესამჩნევ ადგილას დადგეს. თამაშდება "დრამა", უკვე არაერთხელ გათამაშებული. ამგვარი დოკუმენტალიზმი თუ ნატურალიზმი მწერლისთვის დღევანდელობის უშუალო აღბეჭდვის სურვილით არის ნაკარნახევი. მრავლისმეტყველია ფინალი: "ახლა უდრტვინველად იდგნენ და მიცვალებულის გამოსვენებას ელოდებოდნენ, სიჩუმეს მობილური ტელეფონების მელოდიური წკრიალი არღვევდა".

"ხევსურის ხმალში" წარსულს თანამედროვეობა ენაცვლება. უფრო სწორი იქნება რომ ვთქვათ, წარსულში მომხდარი ამბავი საბაბია დღევანდელობის აღსაწერად. მოთხრობაში, რასაკვირველია, ისტორიული რეალიებიცაა გამოყენებული, მაგრამ, ჩემი აზრით, ავტორი მაქსიმალურად ცდილობს ჰეროიზმისგან განტვირთოს მოვლენებიც და პერსონაჟებიც. მოქმედება წარსულში ხდება, მაგრამ ნუგზარ შატაიძე პირობითობის საბურველში ხვევს წარსულს და უაღრესად "მიწიერი", ყოფითი სიტუაციების და ხასიათების მეშვეობით მომეტებულ უტყუარობას სძენს მოთხრობას. ძალზე ცოცხლად არის დახატული დილოიძე. მისი ყოველი მოძრაობა, სიტყვა, ერეკლე მეფესთან დიალოგი ინარჩუნებს უკვე ზემოთ აღნიშნული პირობითობის ელფერს. ნუგზარ შატაიძე არსად არა ცდილობს ისტორიული ანტურაჟით გადატვირთოს თხრობა, პირიქით, ის სისადავეს და უბრალოებას მიელტვის. ხირჩლას და ერეკლეს საუბარიც ამ ცხოვრებისეულობის ნიმუშია.

ხმალი ამ მოთხრობაში იმ მარადიული ღირებულების სიმბოლოა, რომლისადმი დამოკიდებულების ნიჭი თუ უნარი მეტად თუ ნაკლებად დაიკარგა ჩვენში. ამ მარადიულ ღირებულებასთან შედარებით დღევანდელობა კომიკურიც კი მოჩანს. ადამიანები თითქოს გრძნობენ ამ მარადიული ღირებულების ფასს, მაგრამ ძალა აღარ შესწევთ მისი მოხმარებისა. აქაც მრავლისმეტყველია მოთხრობის ფინალი. დილოიძის ცოლი მიმართავს ქმარს: "აი გიჟებო, გიჟებო... რად გინდათ ეგ ხმალი, ქა, რა ჭირად გინდათ, ან შენა და ან კიდევ იმას!

დილოიძე იჯდა და კედელზე ჩამოკიდებულ ხმალს მისჩერებოდა, თვითონაც არ იცოდა, რა უხაროდა".

ნუგზარ შატაიძის მოთხრობების კრებული საინტერესოა იმ ნიშნითაც, რომ აქ ურთიერთისგან მკვეთრად განსხვავებული ნაწარმოებებია შესული. კრებულს კომპოზიციურად კრავს და აგვირგვინებს მოთხრობა "ნანგრევებზე", მრავალფეროვნებას სძენს მოთხრობები "გვალვა", "ვენახი", "საქართველო მსოფლიო რუკაზე", "მწერლის ცოლი".






ნუგზარ შატაიძე. მოთხრობები.
რედაქტორი დათო აბულაძე. დირექტორი ლევან თითმერია.
მხატვარი ზურაბ მიმინოშვილი. თბილისი "საარი" 2001.

ნოდარ გურაბანიძე




# "მსოფლიო თეატრის ლეგენდა"

მსოფლიოს მესამე თეატრალური ოლიმპიადა
(21 აპრილი-29 ივნისი, 2001)

დასაწყისი იხ. "არილი" N10, 11, 12

## IV

ამერიკელ რეჟისორზე რობერტ (ბობ) უილსონზე წერენ, რომ მან თეატრში იგივე გააკეთა, რაც აინშტაინმა ფიზიკაში: - ხელახლა გადაწერა დროისა და სივრცის კანონებიო. მისი სასწაულებრივი, უნაპირო გენიალობის სათავეებს ფსიქოლოგები ადრე გადატანილ ფსიქიკურ ავადმყოფობაში ეძიებენ. მოულოდნელი, განუჭვრეტელი და იდუმალებით მოსილი ხასიათის და ექსცენტრულობის გამო თავის სეხნიას - ბობი ფიშერსაც ადარებენ ხოლმე. მსოფლიო სახელი მას მოუტანა სპექტაკლმა "ცხოვრება და დრო იოსებ სტალინისა" და "აინშტაინი პლაჟზე". "მე ხშირად არ მესმის, რასაც ვაკეთებ, იქამდე, ვიდრე ამის შესახებ ლაპარაკს არ დავიწყებო" - ამბობს იგი. ოლიმპიადის პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე იგი ლაპარაკობდა ძალიან ნელა, მსმენელისათვის მტანჯველად ნელა. 17 წლის ასაკში უილსონს რაღაც გაუგებარმა ავადმყოფობამ დარია ხელი და უცნაურად დაურღვია მეტყველება. ამის მიზეზს იმაში ხედავდნენ, რომ მის ცნობიერებაში ელვის სისწრაფით იბადებოდნენ ხილვები, სახეები, წარმოდგენები, რომლებიც შიგნიდან "ახრჩობდნენ" მას, გზას უკეტავდნენ წარმოსათქმელ სიტყვებს. მკურნალობამ ვერ უშველა, ექიმებს მისი მორჩენის ყველა იმედი გადაეწურათ. ამ უმწეო და უნიჭიერესი ყმაწვილის საცოდაობით დამწვარმა ერთმა მოხუცმა ბალერინამ ურჩია მაშინ: რაც შეიძლება ნელა ილაპარაკეო. ამგვარი მეტყველების იმპულსი იყო თუ სხვა რამ, უილსონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყარო ისე სწრაფად არ მოძრაობს, როგორც გვეჩვენება, ყოველ შემთხვევაში, მის შესაცნობად საჭიროა დროის მდინარების შეყოვნება ისეთნაირად, რომ თითქმის გააჩერეს იგი. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ პროსპექტში ნათქვამია, რომ "უილსონის წყალქვეშა სამეფოში, პერსონაჟები ისე მოძრაობენ, როგორც თევზები ხულიო კორტასართან - ნელა, გრაციოზულად და უიმედოდ ებრძვიან ოცნებათა სივრცეს". "მე მიყვარს სწორი ხაზები და ციფრი 4" - ამბობს ბობი. იგი განათლებით არქიტექტორია და იმასაც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, სწორედ არქიტექტურამ მოაწესრიგა მის სულში დაბუდებული ქაოსი.

თავდაპირველად, როგორც მოყვარულმა რეჟისორმა, მუშაობა დაიწყო ყრუ-მუნჯებთან, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან და აქ აღმოაჩინა, რომ შენელებულმა მეტყველებამ და განსაკუთრებით კი შენელებულმა მოძრაობამ ძალზე დადებითად იმოქმედა ავადმყოფებზე. მის სამოყვარულო სპექტაკლებში მონაწილეობდნენ აუტისტები, შიზოფრენიკები, ბავშვები, პარალიზებულნი და განუკურნებელი სენით დაავადებულნი. ერთ სპექტაკლში "თამაშობდა" პაციენტი, რომელიც ხელოვნური სუნთქვის აპარატთან იყო მიერთებული. თავის ყრუ-მუნჯ შვილობილთან თანაავტორობით მან დადგა "ყრუს გამოხედვა", რომელმაც მას პირველი დიდი აღიარება მოუტანა. სწორედ მისი შვილობილი რეიმონდ უილსონი მონაწილეობდა ბობი უილსონის სპექტაკლებში "ცხოვრება და დრო იოსებ სტალინისა" და "აინშტაინი პლაჟზე". ლუი არაგონი აღტაცებული იყო ამ სპექტაკლით. იგი წერდა, რომ "ეს ისაა, რადაც შეიძლება რომ ქცეულიყო სიურეალიზმი - ჩვენს შემდეგ და ჩვენზე მაღლა". "გამოხედვა" თავისუფალი იყო სიტყვებისა და სიუჟეტისაგან, არც ერთი პროფესიონალი მსახიობი არ მონაწილეობდა მასში. აბსოლუტურ სიჩუმეში დანთქმული პერსონაჟები, აღგზნებული გონების მოჩვენებები, ფანტასმაგორიული სახეები, ცხოველები, ქვეწარმავლები, პლანეტები, თითქოს ნისლში ირწეოდნენ.

მის ადრეულ სპექტაკლებში სცენა თავისუფალი იყო სიტყვებისაგან. დრო თავისებურ "ფორას" აძლევდა სივრცეს, მოძრაობები არა მარტო შენელებული, არამედ მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მის სპექტაკლებში ადამიანები კი არ არიან, არამედ პერ-



რობერტ უილსონი

სონაჟები, რომლებიც სულერთია, რას ილაპარაკებენ (ამიტომაც არ საჭიროებდა მსახიობებს, რომლებიც, მისი აზრით, ძალიან ბევრს ლაყბობენ). შესაძლოა ამ პერსონაჟს ექვსსაათიანი სპექტაკლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გადაეკვეთა სცენა დიაგონალურად. ამგვარი ნელი, მრავალსაათიანი მოძრაობის, მრავალსაათიანი ნელი ლაპარაკის ზეგავლენით ტრანსში ჩავარდნილი მაყურებელი იძინებდა და გამოფხიზლებულმა აღარ იცოდა, ცხადში იხილა ეს ყოველივე თუ სცენაზე. ბევრი ვერ უძლებდა ამგვარ გამოცდას და დარბაზს ტოვებდა. სწორედ ეს ჰიპნოზური "უილსონიზმები" იტაცებდა რეჟისორს.

მაშ რას უნდა მივაწეროთ უილსონის იგავმიუწვდომელი პოპულარობა, მისი უზარმაზარი ჰონორარები (რომელსაც იგი უშურველად გასცემს ქველმოქმედების მიზნით?); რით ავხსნათ ის, რომ ზოგი მისი სპექტაკლი 25 მილიონ დოლარამდე ჯდება და სპონსორები ფულს არ იშურებენ მისთვის?

პირველ ხანებში, ფულიც და სახელიც თავისი პაციენტების წყალობით მოიპოვა (არქიტექტურისა და რეჟისურის გარდა საფუძვლიანად, პროფესიულ დონეზე, შეისწავლა ფსიქიატრია), რადგან თავის სპექტაკლებში გამოიყენა მათი გრძნობები და ხილვები, რაც ნორმალური ადამიანისთვის მიუწვდომელია. აქედან - რეჟისორის ის მისტიკური სამყარო, სადაც ადამიანი, პაპიამაშესაგან შექმნილი ძროხები თუ უზარმაზარი სირაქლემები, დრაკულები, ჟირაფები, ფანერისაგან გამოჭრილი თევზები, სპექტაკლის თანაბარმნიშვნელოვან "პერსონაჟებად" იქცნენ.

დასავლეთის კრიტიკოსების მოწმობით, მისი განსაცვიფრებელი სპექტაკლები "დედოფალ ვიქტორიასადმი გაგზავნილი წერილები" და "კაცის ფასი" დაიბადა გონებრივად ჩამორჩენილი ჭაბუკის კრისტოფერ ნოულსის წყალობით. სწორედ ამ ყმაწვილის მეტყველებისადმი დამოკიდებულებამ განაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობაო უილსონის გადასვლა კლასიკურ პიესებზე. ამ სპექტაკლებში მონაწილენი პირველად ალაპარაკდნენ, მაგრამ ისე, რომ სიტყვები მოკლებული იყვნენ აზრსა და გრძნობას. აქ არც ხასიათები იყო და არც ე.წ. "გარდასახვა" როლში. მაგრამ ეს იყო პირველი ბიძგი საყოველთაო აღიარებისაკენ - ანუ გზა დიდი ლიტერატურისაკენ (ჰომეროსის მიხედვით დადგმული "პერსეფონა", ევრიპიდეს "ალკესტისი", იბსენის "ქალი ზღვიდან", კუინსის "შავი მხედარი"), დიდი ოპერისაკენ (ვაგნერის "პარსიფალი" - ჰამბურგის სახელმწიფო ოპერაში, "ლოენგრინი" - მეტროპოლიტენ ოპერაში, პუჩინის "მადამ ბატერფლაი" - ბოლონიის ოპერაში).

მილანში დადგმული "პერსეფონა" ("ჩეინჯ პერფორმინგ არტ"), რომელიც ნაჩვენები იქნა მოსკოვში, ჩეხოვის სახელობის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე 1998 წელს, გახდა საბაბი მისი "ალაპარაკებისა" (სხვათა შორის, ამ ინტელექტუალური, რესპექტაბელური გამომეტყველების რეჟისორისაგან კაცმა არ იცის, რას უნდა მოელოდე) - ერთ-ერთი შოუს - "შეკითხვები და პასუხები" - დროს, ჟურნალისტმა ჰკითხა, "როგორ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება მაყურებლისადმი უკანასკნელი წლების მანძილზეო", რაზედაც რეჟისორმა უპასუხა:

"დისნეი-ეიიი-პიტერ - დისნიიიი - დისნეი-ლენდი. ავტომატიკა... ავტომატიური ემოციები... ფიგურები... ემოციონალური... ემოციები"... ჩაიბურტყუნა და მოულოდნელად, უსიამო ხმა ამოუშვა.

ახლა მოვიტანოთ ნაწყვეტი მისი ოპუსიდან "ჩემი აზრი თეატრზე". "ხშირად მეკითხებიან, თუ რის შესახებაა ჩემი თეატრი: ჩვეულებრივ ასე ვპასუხობ ხოლმე - არ ვიცი! უმეტესად ჩემი ნამუშევარი, ფორმალურია. ყოველ შემთხვევაში, იგი არ არის ინტერპრეტაცია. ჩემი აზრით, ინტერპრეტაცია არ არის რეჟისორის, ავტორის თუ დამდგმელის პასუხისმგებლობის საქმე. ინტერპრეტაციები მაყურებლის საქმეა. უბრალოდ მიმაჩნია, რომ ჩემი მუშაობა ისეთივეა, როგორც არტისტისა. ჩემი ინტერესები თანაბრად ნაწილდება მოძრაობაზე, სიტყვაზე, განათებაზე, ხმაურზე, გამოსახულებაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თეატრი ის ადგილია, სადაც შესაძლებელია, რომ ერთმანეთს შეხვდეს ხელოვნების ყველა განსხვავებული ფორმა. და ამ სივრცეში უნდა თანაარსებობდეს მაგია, ცეკვა, მოქმედება". სხვა ადგილას: "ჩემს საკუთარ ნამუშევარზე მე ვფიქრობ, როგორც რაღაც ერთიან რამეზე, პროდუქტზე, რომელიც გაწელილია დროში და თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა ელემენტსა და რაღაც კონსტრუქციების მოდელებს".

და აი, ამ რეჟისორის სპექტაკლი - ავგუსტ სტრინდბერგის "ზმანებანი"!

ეს პიესა ცალკე დგას დრამატურგის ფსიქოლოგიურად უკიდურესად დაძაბული პიესებისაგან, სადაც გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ქალსა და მამაკაცს შორის სასიცოცხლო სივრცეში დამკვიდრებისათვის. "ზმანებანი" პოეტური ინსპირაციაა, სიმბოლური სახეებითა და მითოლოგიური მოტივებით აღსავსე. ეს განზოგადებული აბსტრაქციაა, ერთგვარი პრეტენზიულობით აღბეჭდილი და ალბათ ამიტომაცაა, რომ იშვიათად იდგმება ხოლმე (პიესის სიუჟეტური სქემა ასეთია: ღმერთი ინდრას ქალიშვილი აგნესი მიწაზე დაეშვება და ჩვეულებრივ ხალხში გაერევა. აქ იგი შეხვდება პოეტს, ადვოკატს, ოფიცერს, აქტრისა ვიქტორიას. სოციალური უსამართლობისგან შეძრული ქალიშვილი ისევ ზეცაში ბრუნდება).

მიუხედავად იმისა, რომ ხელთ მქონდა პიესის ლიბრეტო, სადაც დაწვრილებით იყო გადმოცემული თოთხმეტივე ეპიზოდის შინაარსი, მაინც ვერაფერი გავიგე, რადგან აღმოჩნდა, რომ ამ ლიბრეტოს არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმასთან, რასაც სცენიდან გვიჩვენებდნენ. პირველი ეპიზოდიდან მოყოლებული ბოლო ეპიზოდამდე, აღტაცებისგან სუნთქვაშეკრული, გაოგნებული და განცვიფრებული შევცქეროდი ამ სასწაულებრივ სანახაობას, რომლის რეჟისორი, სცენოგრაფი და განათების მხატვარი ერთი კაცია - რობერტ უილსონი. ის, რასაც სცენაზე ვუყურებდი, შეიძლება არცაა თეატრი იმ აზრით, რასაც ტრადიციულად ვგულისხმობთ ამ ცნებაში. ეს არის ფერებით, სინათლით, არქიტექტურით (უპირველესად) შექმნილი სივრცე - ხაზგასმულად ირეალური, თუმცა, რასაც სცენაზე ვუყურებთ, რეალურია, ფიზიკურად ხელშესახებია. მხოლოდ მათი კომპოზიცია და განლაგება ქმნის ილუზიურის შთაბეჭდილებას. ფეოდორ სოლოგუბს ეკუთვნის ფრაზა: "რატომ არ შეიძლება, რომ დრამა იყოს რიტმული სიზმრები?" - სტატიაში "ერთი ნების თეატრი".

პირველი ეპიზოდი ზეცაში მიმდინარეობს და, ბუნებრივია, ირეალურ სამყაროსთან გვაქვს საქმე. უკან ხასხასა ლურჯი ფერის ეკრანია. სუფთად გარანდული ხისგან ნაგებ ტრაპეციაზე, დიაგონალურად დაშვებულ გზაზე, ნელა, გრაციით სავსე მოძრაობით ჩამოდის აგნესი. ეს არის გზა ზეციდან დედამიწაზე. დურგლები და კალატოზები ჩაქუჩის, ნაჯახისა და ქაფქირის შენელებული მოძრაობით ასრულებენ სამუშაოს. ყველაფერი ჰაერში ლივლივებს. საგნები და ადამიანები ღრუბლებს ზემოთ, მზით გაკაშკაშებულ თვალუწვდენელ სივრცეში არსებობენ. აქ გაიშვიათებული, კრისტალივით გამჭვირვალე ჰაერია და თითქოს კოსმიური ყინვა მძვინვარებს. თურმე, რა პოეზია და იდუმალებაა დაფარული ადამიანის სულ უბრალო, ყოველდღიურ საქმიანობაში - ლურსმნის ჩარჭობაში, ხერხვაში, ფიცრის გაშალაშინებაში, აგურების დაწყობაში. ეს ნელი მოძრაობა, პაუზა, ისევ მოძრაობა არტისტული გრაციითაა სავსე. ადამიანის სხეულის პოზის სულ ოდნავი შეცვლა, მისი გადაადგილება სივრცეში ყველაფერს ცვლის. სურათი ქმნის განწყობილებას და პირუკუ, იგი განწყობილების შედეგია.

სპექტაკლი დადგმულია სტოკჰოლმის "შტადსტეატრში" და შვედურ ენაზე მიდის. სინქრონული თარგმანი, ცხადია, გამორიცხულია რეჟისორის ესთეტიკური პოზიციის გამო. მაგრამ ყველა სცენური კომპონენტის შეუმჩნეველი ცვალებადობით და სივრცეში მოძრავი სხეულის პლასტიკით მოხიბლულებს აღარ გვაინტერესებს სხვადასხვა ინტონაციებით და ტემპო-რიტმით წარმოთქმული რეპლიკები თუ მონოლოგები და მთლიანად ვართ დანთქმულნი სცენური სურათების ჭვრეტაში. სცენურ სტატიკაში უაღრესი დინამიზმი იგრძნობა.

არა, ნამდვილი გენიოსია ეს უილსონი! ამგვარი ხასიათის რეჟისურა თითქმის წარმოუდგენელია. სიტყვა უგულვებელყოფილია მისი სემანტიკის თვალსაზრისით, თორემ "სიტყვა" არსებობს მის სპექტაკლში. ამ სიტყვას ამბობს დიდი მხატვრის მიერ ორგანიზებული თეატრალური სივრცე, რომლის აზრი და ემოციურობა ღრმად აღწევს ჩვენს სულებში. ეს რაღაც არნახული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატრაქციონია - შეფარდება ადამიანსა და საგანს შორის გამუდმებით იცვლება და იგი დამოკიდებულია უმცირეს სცენურ მოძრაობაზე. აქ მინდა გავიხსენო ფრაზა, რომელიც კოპერფილდმა უთხრა მარსელ მარსოს - "მე ხილულ საგნებს ვაქრობ, თქვენ კი უხილავ საგნებს აჩენთო". ეს უცნაური მედიტაციაა მოძრაობაში, რომლის მეშვეობითაც მაყურებელთან ზემგრძნობიარე კონტაქტი მყარდება.

ბობი უილსონის ესთეტიკა შედეგია იმ სულიერი გამოცდილებისა, რომლის მოყოლა სიტყვებით ან გადმოცემა ხელოვნების სხვა რომელიმე ფორმით შეუძლებლია. თუ რამესთან შეიძლება ამ რეჟისორის თეატრალური სამყაროს შედარება, ეს არის ძველი იაპონური თეატრი "ნო" ან "კაბუკი", რომელთა სპექტაკლებზე სწორედ ამგვარი ღრმა და აუხსნელი გრძნობები გვიპყრობს, თუმც ენა არ გვესმის, ისევე როგორც ეს არ ესმით თანამედროვე იაპონელებს. მოძრაობები, ფერები, კოსტუმები, პირობითი ჟესტები, ტრადიციული ეტიკეტები, მითოლოგიურ-რელიგიური ხატები თუ სიმბოლოები ქმნიან წარმტაც სურათებს, რომელთა მთლიანობა იწვევს სწორედ ამ ზემგრძნობიარე სიმების რხევას ჩვენს სულში. თუ ნიაკროშიუსის მეტაფორები გონებისმიერია, განსაცვიფრებელნი მოულოდნელობითა და აზრის სიღრმით, უილსონის მეტაფორები გრძნობისმიერია, ისინი მთელ ჩვენ შინაგან სამყაროს ეუფლებიან.

პრესცენტრში ითქვა, რომ უილსონი მოსკოვურ პრემიერამდე ორი კვირით ადრე ჩამოვიდა - განათებისა და სინათლის პარტიტურას ამუშავებდაო. ბუნებრივია, სინათლის სხივის, ატმოსფეროს ცვალებადობის, ფერების გამის შექმნას, მართლაც, რაფინირებული კოორდინაცია სჭირდება.

არ შეგვექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ უილსონის თეატრში ყველაფერი "შენელებულ კადრებზეა" აგებული. ზოგჯერ რომელიმე პერსონიფიცირებული პერსონაჟი (ვთქვათ, სიკეთე, ბოროტება) სცენის მთელ სიგრძეზე გადაირბენს ხოლმე, მაგრამ ეს გამონაკლისია, რომელიც კიდევ უფრო რელიეფურსა და შთამბეჭდავს ხდის რეჟისორის ესთეტიკას. ადამიანთა პლასტიკა ზოგჯერ უზარმაზარ აკვარიუმში ჩაშვებული სხეულების სინქრონულ მოძრაობას მოგვაგონებს, ზოგჯერ მარიონეტებისას. მაგრამ სხეულის, საგნის, მუსიკის, ფერისა და სინათლის კონტრაპუნქტი ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტია. როგორც არ უნდა იყოს, ერთი პრინციპი დაცულია - ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, სილამაზისა და მშვენიერების კანონებით არის შექმნილი... სოფლის იდილიურ პეიზაჟში წყალსაქაჩის მაღალ მილთან, შორიახლოს, ორი მშვენიერი, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილი დგას პირშექცევით. ისინი ერთდროულად, თანაბარი სიჩქარით ამოძრავებენ ხელს - ერთი მარჯვენას, მეორე მარცხენას. მოძრაობის ეს იმიტაცია აფექტურ აღქმაზეა აგებული, მაგრამ წყალი მაინც მოსჩქეფს მილიდან. თეთრი მესერის ღობის მიღმა მოჩანს მწვანე, ხასხასა მოლი. "ეკრანზე" მშვენიერი სახლი და თვალუწვდენელი ტყეა თეთრად აფეთქებული ხეხილის. ეს ყველაფერი "ეკრანზეა" გამოსახული (თითოეული ასეთი გამოსახულება 150 ათასი დოლარი ღირსო), მაგრამ იმგვარადაა განათებული, რომ იქმნება აბსოლუტური ილუზია ნამდვილობისა, მოცულობითი სისავსის, ატმოსფეროსი და სურნელისაც კი.

თქვენ, თითქოს, შეგიძლიათ შეხვიდეთ ამ ბაღში და ცვრიან ბალახზე დააბიჯოთ ფეხი... დიალოგის და ზეციური სტუმრის სცენის ერთი კიდიდან მეორეზე ნელი გადასვლის დროს, ტყებაღს ასევე ნელ-ნელა ეფინება მწვანე ფერი, შემდეგ ყვითელ-მოწითალო და ბოლოს თოვლით აქათქათდება გარემო. აქ დრო შეფარდებითია, სცენური დროის ანუ დროის ფიზიკური შეგრძნების თვალსაზრისით. იგი ხანმოკლეა, მაგრამ ამავდროს განზიდულია უსასრულო სივრცის ფანტასმაგორიულ მაგიაში.

ნელ-ნელა ეშვება ბინდი და ჩვენს თვალწინ თითქოს ტერნერის პეიზაჟის სურათი აღმართეს. მწვანეში მდგარი ულამაზესი თეთრი ცხენი (განსაცვიფრებელი ოსტატობით შექმნილი) "თავისთვისაა". სცენურ მოქმედებასთან არა აქვს კავშირი, მაგრამ სცენური ეპიზოდის ესთეტიკურ მშვენიერებას გამოხატავს. ცხენი შეუმჩნევლად ბრუნავს და სხვადასხვა რაკურსით დანახული მისი ტანი სიძლიერის, პლასტიკის და ბუნებრივი მშვენიერების აპოთეოზია. იგივე შეიძლება ითქვას ჯიშიან და ლამაზ ძროხებზე, რომლებიც სულს უდგამენ სიტუაციას სწორედ თავიანთი სილამაზის წყალობით. ერთი სცენა სათბურ-ორანჟერეაში მიმდინარეობს, ორანჟერეის თეთრი კედლების და შემინული, დიაგონალურად დაშვებული სახურავის სტერილური სითეთრე "ღრმა" მწვანესთან შეხამებით, რაღაც საკრალურ მშვენიერებას ქმნის - თავი გრანდიოზულ კათოლიკურ ტაძარში მეგონა, სადაც ჰაერის "დანახვაც" კი შეიძლება. ასეთი რამ მხოლოდ ირაციონალურ ხედვის ადამიანს შეიძლება მოელანდოს. ეს მიუწვდომელი სილამაზე სიზმრისეულია, ოღონდ ვერ გაიგებ, როდის "თამაშობენ" ეს სიზმრები. თუ უილსონი საერთოდ ეყრდნობა რაიმე ტექსტს, ეტყობა, ამჯერად, შთაგონება უპოვია სტრინდბერგის პიესის სათაურში - "სიზმრების თამაში" - და არა იმდენად პიესის ძირითად ტექსტში. ამიტომაც ეს უილსონის სიზმრებია, რომელსაც კოსმიური ელფერი მიუღია - თავისი განყენებული, არაამქვეყნიური სილამაზით. ადამიანებიც ხომ ისე მოძრაობენ, თითქოს დედამიწას დაეკარგოს მიზიდულობის ძალა და სხეულის სიმძიმე ჰაერში აალივლივებს მათ. სცენის ჰაერი "უჰაერობაა", რადგან მხოლოდ უჰაერო სივრცეშია შესაძლებელი ადამიანების ასეთი მოძრაობა - ერთი სიტყვით, უილსონის სპექტაკლში მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი გაერთიანებულია.

...აგნესი ზეცაში დაბრუნებას გადაწყვეტს. ულამაზესი ბაღის წინ (შორს მოჩანს თეთრად მოქათქათე, ვიქტორიანულ სტილში ნაგები ხის სახლი) ნელ-ნელა გროვდებიან ისინი, ვისაც "ზემოდან" მოვლენილი ქალიშვილი შეხვდა. ისე დასხდებიან რამდენიმე მწკრივად, თითქოს სურათი უნდა გადაიღონო. ისმის უნაზესი და წარმტაცი მუსიკალური მელოდია, რომელიც თითქოსდა ფიზიკური სხეულივით იწელება. ყველამ რაღაც სამახსოვრო ნივთი უნდა გაგზავნოს ზეცაში და აი, ზეცისკენ ნელა - ადის ერთი ფეხსაცმელი, შემდეგ მიჰყვება შლიაპა, ყვავილი ქოთნით, მოწნული კალათა, სარკე... ფრონტონის კომპოზიციის განლაგებული პერსონაჟები სასოებით შესქერიან ჰაერში აზიდული საგნების მოძრაობას. მუსიკა არ წყდება. მსხდომიარეთა წინ, ასევე ნელა, ნელა ჩაივლის აგნესი, თითქოს უსასრულობას უნდა შეერწყასო. დროსა და სივრცეში გაწელილ ამ მოქმედებას და მუსიკას დასასრული არა აქვს და მთავარი ისაა, რომ არც გინდა ჰქონდეს, იმდენად ლამაზია ეს ყოველივე, იმდენად დამატყვევებელი და სულისშემძვრელი... უილსონის თეატრი კოსმოგონიური თეატრია... ტყუილად როდი უწოდეს მას "მსოფლიო თეატრის ლეგენდა"...

დასასრული შემდეგ ნომერში

არილი



## ლუი-ფერდინანდ სელინი

# მოგზაურობა ღამის კიდეზე

### ფრაგმენტი რომანიდან



ბაღის სიღრმეში, დედაბრის ქოხმახის ირგვლივ ძველი ცოცხებისა და დამტვრეული საქათმე გალიების გროვა იდგა. ეს ყველაფერი ირგვლივ აღმართული შენობების ჩრდილქვეშ მოქცეულიყო. დედაბერი თავის ბუნაგიდან არასოდეს გამოდიოდა. მისთვის საკვების მოწოდებაც კი მთელი ამბავი იყო. შინ საკუთარ შვილსაც არ უშვებდა, ეშინოდა მკვლელებისა და მძარცველების.

რძალმა ახლა სხვა საშუალება გამონახა ოჯახის ეკონომიკის გასამყარებლად და ქმარს კბილი მოუსინჯა, ურიგო არ იქნებოდა დედა სენვენსენის მოწყალების დებთან მიგვებარებინა, ისინი ხომ სწორედ ასეთ უსაშველო მოხუცებს ეფოფრებიანო. ქმარი დუმდა. მთელი მისი არსება იმ შეუნელებელ გუგუნს მოეცვა, ყურში რომ ედგა. "არ მაძინებს ეს გრუხუნი", - ჩაილაპარაკა თავისთვის. მართლაც ძილს ვერ იკარებდა, გულისყურით უსმენდა საყვირის, დაფდაფისა და ორკესტრის ხმებს... დღეცა და ღამეც ამ ყოფაში იყო. ხმაურს ვერ იშორებდა თავიდან.

თუმცა თანდათან, რამდენიმე თვეში ამ ახალ ჭირსაც შეეჩვია და სენ-უენის ბაზარსაც კი მიაკითხა ცოლთან ერთად. ეს ბაზარი ყველაზე იაფ ბაზრად ითვლებოდა იმ მიდამოებში. ცოლ-ქმარი დილიდან გადიოდა და მთელ დღეს იქ ატარებდა. ეს დრო იმისთვის იყო საჭირო, რომ გათვლები გაეკეთებინათ და ფასებზე მოელაპარაკათ, სცოდნოდათ, რაზე შეიძლებოდა ფულის დაზოგვა... დაღამებისას, როცა ქუჩა წყნარდებოდა, ანრუებს მძარცველებისა და მკვლელების შიში იპყრობდა. განსაკუთრებით - ქალს. კაცი კი სასოწარკვეთილი, თავის გრუხუნს უბრუნდებოდა.

- "ასე როგორ დავიძინებ! - განგებ ხმამაღლა იმეორებდა, რომ საკუთარი თავი პანიკაში ჩაეგდო. "ვერც კი წარმოიდგენ!.." - ეუბნებოდა ცოლს.

ცოლს კი არც უცდია გაეგო რას ლაპარაკობდა ქმარი და ვერც წარმოედგინა, რატომ შეიძლება ყურებმა აგრერიგად შეაწუხოს ადამიანი.

- "ეგ არაფერია! ყური დამიგდე, ჯობია დედას მივხედოთ. რამე უნდა ვიღონოთ, ხომ ხედავ, ცხოვრება დღითი დღე ძვირდება, დედაბრის შენახვა კიდევ უფრო გაჭირდება... ნამდვილი ინფექციის ბუდეა მისი საცხოვრებელი!.."

ერთადერთი სტუმარი, ანრუები რომ იღებდნენ, მოსამსახურე ქალი იყო. ქალი კვირაში სამჯერ დადიოდა მათთან. მოსამსახურე საწოლის



დალაგებაშიც ეხმარებოდა ქ-ნ ანრუის და ათი წლის განმავლობაში ლეიბის ყოველ გადაბრუნებაზე, ქ-ნი ანრუი რაც შეეძლო ხმამაღლა აცხადებდა: "არასოდეს ვაჩერებთ ფულს სახლში", იმ ანგარიშით, რომ მოსამსახურე მის სიტყვებს ყველგან და ყოველთვის გაიმეორებდა. ამით თავს იზღვევდა მოსალოდნელი გაქურდვისა და მკვლელობისაგან.

მანამ ცოლი და ქმარი თავის ოთახში ავიდოდნენ, საგულდაგულოდ კეტავდნენ ყველა გასასვლელს, თან ერთმანეთს ამოწმებდნენ. ბაღის სიღრმეში დედაბრის ქოხსაც შეავლებდნენ თვალს, ენთო თუ არა ლამფა, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ცოცხალია. ის ხომ არასოდეს აქრობდა ლამფას. ზეთსაც ხომ უმოწყალოდ ხარჯავდა. მკვლელების ეშინოდა, ეშინოდა შვილებისაც. ოცი წლის მანძილზე, ზამთარი იყო თუ ზაფხული, არასოდეს გაუღია ფანჯარა და არც ლამფა ჩაუქრია.

დედაბრის მწირ პენსიას ვაჟიშვილი განაგებდა და მის შენახვას ახმარდა. საჭმელს კარებთან უტოვებდნენ. ფულს უზოგავდნენ. თითქოს არაფერი უჭირდა, მაგრამ სულ წუწუნებდა. კარებიდან ილანძღებოდა თუ მის სოროს ვინმე მიუახლოვდებოდა. "განა ჩემი ბრალია, რომ ბერდებით დედილო, - სცადა გამოლაპარაკება რძალმა, - სნეულება მოგძალებიათ, როგორც ყველა ასაკოვანს..."

- "ასაკოვანი თავი გაბია! არამზადავ! კახპავ! სწორედ შენ მდებ მაგ ბინძური ტყუილებით სამარეში!.."

დედაბერი გახელებული უარყოფდა თავის ხნოვანებას... უარყოფდა ყველაფერს, რაც მისი ქოხის მიღმა ხდებოდა. მასთან შერიგებისა თუ მიახლოების ყველა ცდა ამაო იყო. ეგონა, კარს თუ გააღებდა, ავსულები შემოეჭრებოდნენ, შეიპყრობდნენ და ბოლოს მოუღებდნენ.

- "გათახსირებულებო, - გაჰყვიროდა დედა ანრუი, - თვალები ყველგან გამოგისხიათ და პირები ჭიპამდე დაგიფხრეწიათ, რომ მხოლოდ ტყუილი როშოთ... ესეთები ხართ ყველა..."

ის ტამპლის ბაზარში ნასწავლი ენით მეტყველებდა, სადაც პატარქალობაში დედასთან ერთად ძველმანებით ვაჭრობდა. იგი იმ მდაბიოთა ფენას ეკუთვნოდა, რომელიც არ უფრთხის სიბერის მოახლოებას.

- "თუ ჩემს ფულს არ მომცემ, სამუშაოდ გავალ! გასძახოდა რძალს, - გესმის წუპაკო? სამუშაოდ გავალ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

- "ძალა რო აღარ შეგწევთ დედილო!"

- "ვის არ შესწევს ძალა! შემოეთრიე ერთი ამ სოროში, მაშინ გიჩვენებ ყოფის ჭამას!"

და ცოლ-ქმარიც გაერიდებოდა ხოლმე მის თავშესაფარს.

ეტყობა ანრუებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ეჩვენებინათ ჩემთვის დედაბე-



რი, და ამიტომაც მიმიწვიეს. მაგრამ იმისათვის, რომ ჩემი ვიზიტი შემდგარიყო, საჭირო შეიქნა მთელი რიგი ხრიკების მოხმობა. კარგად ისიც არ მესმოდა, რას ელოდნენ ჩემგან.

როგორც ჩანს, ბაბრის დეიდამ, კონსიერჟმა, შთააგონა მათ, რომ წყნარი, თავაზიანი, დაუზარელი ექიმი ვიყავი... ცოლ-ქმარს აინტერესებდა, შემეძლო თუ არა მოხუცის მორჯულება მხოლოდ წამლების საშუალებით... თუმცა ერჩივნათ, განსაკუთრებით კი რძალს, ერთხელ და სამუდამოდ ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში გამემწესებინა...

მთელი ნახევარი საათი ვაკაკუნეთ, ბოლოს კარი გაიღო და მოხუციც გამოჩნდა. გამხმარი, განაცრისფერებული ლოყების ზემოთ მოვარდისფრო ქუთუთოებიდან ცოცხალი თვალები მოგჩერებოდა. გაფორიაქებდა მისი შემოხედვა, ყველაფერს გავიწყებდა იმ ხალისის შეგრძნება, მისდაუნებურად რომ გამოკრთოდა თვალებიდან, და ინსტინქტურად ცდილობდი ეს შეგრძნება დიდხანს შეგრჩენოდა.

იყურებოდა და აცოცხლებდა ირგვლივ წყვდიადს ყმაწვილური ხალისით. ოდნავი, მაგრამ უტყუარი გატაცებით, რისი უნარიც ჩვენ დღეს უკვე აღარ გაგვაჩნდა. გაბზარული ხმით ილანძღებოდა, მაგრამ, როგორც კი იწყებდა ჩვეულებრივად ლაპარაკს, ხმა ეწმინდებოდა. ცოცხლდებოდნენ აზრები და ფრაზები და ისე ეწყობოდნენ, თითქოსდა ჯირითით მოჰყვებოდნენ ერთმანეთს. ახლაც ისევე გამოსდიოდა საუბრისა და სიმღერის მონაცვლეობა, როგორც იმ ხანად, როცა იმდენად ბუნებრივი იყო ასე მეტყველება, რომ ვისაც ეს ძალდაუტანებლად არ შეეძლო, ხეპრედ და შტერად ითვლებოდა.

მოხუცი ახლადამოყრილი ტოტებით შემოსულ ბებერ ხეს ჰგავდა. მხიარული იყო დედაბერი; უკმაყოფილო და ბუზღუნა, ჩაბინძურებული, მაგრამ მაინც მხიარული. ოდნავადაც არ დაეთრგუნა უპოვრობასა და სიდუხჭირეს, რომელშიც ოც წელზე მეტი იყო, ცხოვრობდა. ის კი არა, თავისი ბუნაგის მიღმა არაფერს ცნობდა, თითქოს სიცივე, სიკვდილი და ყველა უბედურება სწორედ გარედან ემუქრებოდა. აქ უშიშრად იყო, ეჭვიც არ ეპარებოდა თავის საღ გონებაში, ისე სწამდა საკუთარი თავის, როგორც რაღაც უტყუარის და სამუდამოდ გადაწყვეტილის. მე კი ამგვარი რწმენის მოპოვების ძიებაში ქვეყანა მოვირბინე.

გიჟად თვლიდნენ მოხუცს, ამის თქმა ადვილი კია, მაგრამ საბაბი მხოლოდ ის იყო, რომ თორმეტ წელიწადში სამჯერ მეტად არ გამოსულა თავისი ბუნაგიდან. ალბათ, ჰქონდა მიზეზები, მაგრამ არ აპირებდა ჩვენთვის გამხელას... არ უნდოდა რამე დაეკარგა... არ გვიმხელდა, რომ ცხოვრება აღარ ხიბლავდა.

რძალი ისევ ფსიქიატრიული ჰოსპიტალის თემას უტრიალებდა.

- "ხომ ხედავთ, ექიმო, რა შერეკილია... შეუძლებელია გარეთ გამოაგდო. თუმცა სასარგებლო კია მისთვის დრო და დრო მაინც ჩაყლაპოს ჰაერი... ახ, დედილო როგორ გარგებდა!.. უარს ნუ ამბობ... შენთვის უკეთესია, დამიჯერე!"

ჩვენ მის გარეთ გამოტყუებას ვცდილობდით, გაქსუებული და მიუკარებელი დედაბერი კი თავს ჯიუტად აქნევდა.

- "არ უყვარს, ყურადღებას რომ აქცევენ... ურჩევნია აქვე კუთხეში მოისაქმოს... იყინება და ცეცხლსაც



არ ანთებს... შეუძლებელია, ექიმო, ასე ხომ არ დავტოვებთ ქალს".

თავს ვიკატუნებდი, თითქოს არაფერი მესმოდა. ბატონი ანრუი კი ბუხართან იდგა, ჩვენგან მოშორებით, არ ერეოდა საუბარში და არც სურდა გაეგო, ჩვენ რას გადავწყვეტდით...

დედაბერი თავისას გაიძახოდა:

- "დამიბრუნეთ, რაც მეკუთვნის, რომ წავიდე აქედან!.. თავი ხომ უნდა ვირჩინო! ბოლოს და ბოლოს თქვენი სალაპარაკო აღარ ვიქნები!.."

- "როგორ იცხოვრებ, დედილო? წელიწადში სამი ათასი ფრანკი გაგწვდება? ვნახოთ!.. ცხოვრება გაძვირდა მას შემდეგ, ბოლოჯერ რომ გამოძვერით თქვენი სოროდან!.. ხომ ასეა ექიმო, ურჩევნია მოწყალების დებთან გადავიდეს,





რასაც ჩვენ ვურჩევთ... კარგად მოუვლიან, კეთილშობილი ხალხია..."

ზიზღს ჰგვრიდა დედაბერს მათი ხსენება. – "მოწყალების დებთან?.. რა მინდა მოწყალების დებთან?.. ცხოვრებაში არ მქონია მათთან საქმე!.. იქნებ მღვდელსაც დამაჯახოთ!.. არ მეყოფა ფული, როგორც თქვენ ამბობთ, წავალ და ვიმუშავებ!.."

– "იმუშავებ? დედილო სად იმუშავებ? გესმის, ექიმო, რა აზრები აქვს? იმუშავებს! მის ასაკში, ოთხმოცი წლის ასაკში! რა სიგიჟეა! ვის სჭირდება ექიმო? დედილო, მთლად შეიშალე!.."

– "მაშ გიჟი ვარ და არავის ვჭირდები? სამაგიეროდ, შენნაირი კახპა ჭირდება ყველას!.."

– "გესმით, ექიმო, როგორ ბოდავს. მლანძღოს და კიდევ მე მოვუარო?"

მოხუცი ახლა მე მომადგა, როგორც ახალ საფრთხეს.

– "ამას ვილამ მოახსენა, რომ გიჟი ვარ? ჩემს თავში ზის, თუ თქვენსაში? მაშ საიდან გაიგო?.. მომშორდით აქედან, თქვენ გეუბნებით, გზა ნახეთ!.. გულს მიღონებთ, როგორც გრძელი ზამთარი, თუმცა თქვენ ზამთარზე უარესები ხართ! მომწყდით აქედან, ჯობია შვილიკოს მიმიხედოთ, აქ რომ მიწამლავთ სისხლს. მას ჩემზე მეტად ჭირდება ექიმი! კბილებიც დასცვივდა უკვე, თუმცა, როცა ჩემს ხელში იყო, მშვენიერი კბილები ჰქონდა. გასწით, მომწყდით, რომ გეუბნებით, თქვენ თავს მიხედეთ-მეთქი", – და კარი ცხვირწინ მოგვიჯახუნა.

დედა ანრუი ახლა თავის ბუნაგიდან გვითვალთვალებდა. ეზო გადავკვეთეთ და უკვე საკმაოდ შორს წასულებს მისი ხითხითი მოგვესმა. დაგვცინოდა. ამჯერადაც გადაგვირჩა.

უშედეგო იერიშიდან დაბრუნებულებს ბატონი ანრუი იქვე დაგვხვდა ბუხართან. მისი ცოლი ისევ გულს მიწვრილებდა ერთი და იმავე კითხვებით... პატარა თავი, ყავისფრად შეღებილი თმა და ეშმაკური გამომეტყველება ჰქონდა. ჟესტებით არ ლაპარაკობდა. ლაპარაკისას იდაყვებს ტანს არ აშორებდა. ცდილობდა ჩემი ვიზიტიდან რამე სარგებელი ენახა... ცხოვრება ძვირდება და ძვირდება... მოხუცის პენსია აღარ ყოფნით... თავადაც ასაკში შედიან... მობეზრდათ სულ იმის შიში, რომ მოხუცი უპატრონოდ არ მოკვდეს. არ ამოიბუგოს თავის რწყილიან-სიბინძურიანად... ნაცვლად იმისა, რომ რიგიან თავშესაფარში წავიდეს, სადაც მშვენივრად მოუვლიან...

თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს მეც ამ აზრს ვადექი და მათაც კეთილი თვალით დამიწყეს ყურება. მარწმუნებდნენ, რომ ჩემს ქებას მთელს უბანს მოსდებდნენ, თუკი შემებრალებოდნენ და შევძლებდი მომეშორებინა მათთვის მოხუცი... ეს ბეჩავი კი თავის ყოფას რატომლაც ვერ ელეოდა...



– "მერე გავაქირავებთ კიდეც ამ პავილიონს", – გამოთქვა აზრი ანაზდად გამოცოცხლებულმა ანრუიმ. ცოლმა უტაქტობისთვის ფეხი დააბიჯა მაგიდის ქვეშ. ანრუი ვერაფერს მიხვდა.

მანამ ცოლ-ქმარი კინკლაობდა ვითომდა ჩემდა ფარულად, მე უკვე წარმოვიდგინე, როგორ ჩავიჯიბავ ათასფრანკიანს მხოლოდ იმისათვის, თუკი დედაბერს ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში მიღების ცნობას მივცემ. ანრუები ხომ ამაზე ოცნებობდნენ...

როგორც ჩანს, ბაბერის დეიდამ ნდობით განაწყო ჩემს მიმართ ისინი და დაარწმუნა, რომ ჩემზე საწყალი ექიმი მთელ რანსიში არ მოიძებნება... და ჩემთან მორიგებაც ადვილია... ფლორიშონს კი როგორ შეკადრებდნენ ამას! ის ხომ პატიოსანია!

ამ ფიქრებში ვიყავი, დედაბერი რომ შემოვარდა ოთახში. საკვირველია, თითქოსდა იყნოსაო, რას ვუმზადებდით. კაბის კალთა ხელით ეჭირა. შემოვარდა თუ არა, ლანძღვა დაგვაყარა, განსაკუთრებით მე. მხოლოდ ამისთვის გამოვიდა თავის ბუნაგიდან.

– "თახსირო!" – მომახალა. – "წაეთრიე, შენ გეუბნები, მოშორდი აქედან! ძალიან გაგივიდა თავს!.. არ წავალ გიჟებთან!.. და მით უმეტეს, არც მოწყალების დებთან, უკვე გითხარი!... ჩემთან არაფერი გაგივა, იაფად მოსყიდულო!.. ჩემზე წინ ეს ვიგინდარები წავლენ, მოხუცი ქალის მძარცველები!.. და შენც, ნაძირალავ, მალე ციხეში ამოყოფ თავს!.."

ბედი არ გინდა! ერთი ხელის მოსმით შეიძლებოდა ჩამეჯიბა ათასი ფრანკი! მე კი აქ ყოფნის გასამრჯელოც არ მითხოვია!

დედაბერი ახლა ქოხის მოაჯირიდან მომძახოდა: "ნაძირალა! თახსირო!"

დიდხანს გაისმოდა სიბნელეში მისი ხმა. მაგრად გაწვიმდა! ნათურიდან ნათურამდე თითქმის სირბილით გადავედი. როგორც იქნა მივაღწიეს ფეტის მოედნის ტუალეტს. ესეც თავშესაფარია.

ფრანგულიდან თარგმნა

ლალი ლალიაშვილმა

ტექსტი გაფორმებულია

ტარდის ნახატებით

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფგანგ ბორხერტი

# საათი, რომელიც სამზარეულოში ეკიდა



იგი შორიდანვე შენიშნეს. მართალია, სახე მობერებოდა, მაგრამ ოც წელზე მეტის არ უნდა ყოფილიყო. გრძელ მერხზე ჩამომწკრივებულთ გვერდით მიუჯდა და მაშინვე აჩვენა ის, რაც ხელში ჩაებღუჯა.

"- ეს ის საათია, ჩვენს სამზარეულოში რომ ეკიდა, - თქვა მან და სათითაოდ შეავლო თვალი მზეს მიფიცხებულ დამსვენებლებს. - დიახ, ის არის, ვიპოვე. ერთადერთია, რაც გადარჩა". თან თეფშივით მრგვალი, თეთრი საათის ციფრებს ნაზად უცაცუნებდა ხელს.

- ახლა ეს აღარაფერი ღირს, აღარც ლამაზია. თეფშსა ჰგავს, თეთრ თეფშს, მაგრამ, ნახეთ რა ლამაზად მოჩანს ლურჯი ციფრები. ისრებიც გაუჩერდა. გაფუჭდა. განადგურდა. თუმცა დიდად არ შეცვლილა, მხოლოდ გაჩერდა. ეს საათი ერთადერთია, რაც გადარჩა, - ახლა ის ხმადაბლა ლუღლუღებდა, ისინი კი, გრძელ მერხზე ჩამორიგებულნი, ზედაც არ უყურებდნენ. ერთი მამაკაცი გულდასმით ათვალიერებდა საკუთარ ფეხსაცმელს, ქალი ეტლში მოკალათებულ პატარას უღიმოდა. ბოლოს მაინც ჰკითხა ვიღაცამ: - თქვენ რა, ყველაფერი დაკარგეთ?

- დიახ, - გამოცოცხლდა ახალგაზრდა, - წარმოიდგინეთ, სულ ყველაფერი, ესღა გადარჩა. საათი მაღლა ასწია და ისევ უჩვენა იქ მყოფთ.

- კი მაგრამ, ხომ აღარ მუშაობს! - წამოიძახა ქალმა.

- არა, არ მუშაობს. ვიცი, რომ გაფუჭდა, მაგრამ მაინც ისეთივეა, უწინ რომ იყო - თეთრ-ლურჯი... ყველაზე საინტერესო კი ჯერ არ მითქვამს. წარმოიდგინეთ, ის სამის ნახევარზე გაჩერდა! მაინცდამაინც სამის ნახევარზე! გსმენიათ ასეთი რამ?

- ესე იგი თქვენი სახლი ზუსტად სამის ნახევარზე აფეთქებულა, - დინჯად წამოიწყო ერთ-ერთმა მსმენელმა, - გამიგონია, აფეთქებისას გაჩენილი ჰაერის ტალღა საათს აჩერებს.

ის კი საათს ჩაშტერებოდა და უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა.

- არა, არა, ცდებით. ძალიანაც ცდებით. აფეთქება აქ არაფერ შუაშია. სამის ნახევარზე სულ სხვა რამ ხდებოდა. ის, რაც თქვენ ჯერ არ იცით. სასაცილოა, რომ მაინცდამაინც ამ დროს გაჩერდა და არა, ვთქვათ, ოთხის თხუთმეტ წუთზე, ანდა სულაც შვიდზე. სახლში მუდამ სამის ნახევარზე ვბრუნდებოდი. ცხადია, ღამეს ვგულისხმობ. თითქმის ყოველთვის სამის ნახევარზე! აი, სწორედ ესაა სასაცილო.

ახლა მას უკვე თვალს არიდებდნენ, ის კი საათს ათამაშებდა და თავისსას გაიძახოდა:

- სწორედ იმ დროს მომშივდებოდა ხოლმე. სამის ნახევარზე შევდიოდი სამზარეულოში და ისიც მაშინვე შემომყვებოდა. დედაჩემი. ძალიან ფრთხილად ვაღებდი კარს, მაგრამ მას მაინც ესმოდა. როცა ჩაბნელებულ სამზარეულოში საჭმელს ვეძებდი, უეცრად დამადგებოდა თავზე - ფეხშიშველი, შალის ჟაკეტზე წითელ მოსასხამმოგდებული და თავის მიერვე ანთებული შუქისგან თვალმოჭუტული.

- ისევ დაიგვიანე, - ამას მეტყოდა მხოლოდ და ვახშმის მზადებას შეუდგებოდა. სანამ შევექცეოდი, ფეხების გათბობას ცდილობდა. ღამით არასდროს იცვამდა ფეხსაცმელს, ჩვენთან კი ციოდა. ვიდრე არ დავნაყრდებოდი, გვერდიდან არ მცილდებოდა. მერე კი, უკვე ჩემს ოთახში სამზარეულოდან ჭურჭლის წკარუნი მესმოდა. ასე მეორდებოდა ყოველ ღამე. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი რამ იყო. სამის ნახევარზე მიმზადებდა ვახშამს, თან მხოლოდ ამას მეუბნებოდა: - ისევ დაიგვიანე. "ისევ დაიგვიანე" და მეტს არაფერს. მაშინ მეგონა, მუდამ ასე გაგრძელდებოდა.

წამით შეჩერდა და ჩუმად იკითხა: - ახლა რაღაა?

უაზროდ მიაჩერდა გასუსულებს. მერე ისევ საათს დახედა და ამოიოხრა:

- ახლა კი ვხვდები, რა იყო მაშინ: სამოთხე იყო, ნამდვილი სამოთხე.

დუმილი ქალმა დაარღვია:

- კი მაგრამ... თქვენი ოჯახი...

- მშობლებს გულისხმობთ? - საცოდავად გაიღიმა ახალგაზრდამ, - ისინიც გაქრნენ. წავიდნენ. ყველაფერი გაქრა, სუყველაფერი.

საათი მაღლა ასწია და ღიმილით ახედა. ხმას არავინ იღებდა, თვალს არიდებდნენ.

- აი ეს, ესღა გადარჩა. თანაც მაინცდამაინც სამის ნახევარზე გაჩერდა, ზუსტად სამის ნახევარზე.

გაჩუმდა. სახე მობერებოდა, მოტეხილიყო. ის კაცი კი, მის გვერდით რომ იჯდა, კვლავ თავის ფეხსაცმელს ჩაშტერებოდა, ვერ კი ხედავდა. სულ იმ სიტყვაზე ფიქრობდა, სულ ის სიტყვა უტრიალებდა თავში: "სამოთხე".

გერმანულიდან თარგმნა

ელენე ჯაფარიძემ



არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოსკარ უაილდის ეპიგრამები

შერიდან მორლი

უცნაურია, მაგრამ ჩემს ამქვეყნად მოვლინებას ოსკარ უაილდს უნდა ვუმადლოდე. მამაჩემი, რობერტ მორლი პირველი ინგლისელი მსახიობი იყო, რომელმაც ოსკარი განასახიერა ლონდონის სცენაზე და მერე, ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ პირველმა გააცოცხლა იგი ეკრანზე; დიდებაც ბროდვეის თეატრში შესრულებულმა ამავე როლმა მოუტანა. ამ საგასტროლო სპექტაკლში ლორდ ალფრედ დუგლასის როლს ახალგაზრდა მსახიობი ჯონ ბუქმასტერი ასრულებდა. ის იყო თეატრი სამშობლოს გზას უნდა დასდგომოდა, რომ ომიც დაიწყო. ბუქმასტერმა ინგლისში დაბრუნებას რატომღაც ამერიკაში დარჩენა და კანადელების მხარდამხარ ბრძოლა ამჯობინა. ამ ყმაწვილს ლონდონში და ჰყოლია და რობერტ მორლისთვის რაღაც საჩუქრები გამოუტანებია მასთან. რობერტი ჩამოსულა, ქალისთვის მიუგნია, ძღვენი გადაუცია და... ცოლადაც შეურთავს. ორიოდე წელიწადში კი თქვენი მონა-მორჩილი მოვლენია ქვეყანას.

ასე რომ, ოსკარ უაილდს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩემს ცხოვრებაში. ვერ დავიჩემებ მისი შემოქმედების ერთადერთი მკვლევარი ვარ-მეთქი, მაგრამ მართლაც პირველი ვიყავი, ვისაც მისი ბიოგრაფიის დაწერა სთხოვეს. ის იყო უარის თქმას ვაპირებდი, რომ გამომცემელმა პარიზში გადაღებული შესანიშნავი ფოტოსურათები მაჩვენა და მეც მყისვე დავთანხმდი. იქამდე ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ამ უბადლო დრამატურგმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ენითაუწერელ სიღარიბეში გაატარა, მარტოსულმა და დათრგუნულმა. ამ სურათებზე კი, სიკვდილამდე ექვსი თვით ადრე რომ გადაუღია, ისევ ის ძველი ოსკარია: პეწიანი, მორთულ-მოკაზმული, თავისი განუყრელი ოქროს საათით... და რაც მთავარია, ერთ-ერთ ფოტოზე ორი ტურფა მოცეკვავე უმშვენებს გვერდს ეიფელის კოშკის ფონზე ამაყად მომღიმარს. მართალია, მარტოობაში მიიცვალა, მაგრამ მაინც გამახარა იმის შეტყობამ, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ისევ ის ოსკარი რომ ყოფილა და არა შესაბრალისი დავრდომილი.

აქ თავს არ შეგაწყენთ მისი დაცემისა და განადგურების ისტორიით, უჩემოდაც მშვენივრად მოგეხსენებათ ყველაფერი, ისე კი, როცა დიდი სიფრთხილით ვარჩევდი რამდენიმეს მისი უამრავი ეპიგრამიდან, სულ იმას ვფიქრობდი, ეს კაცი ძალიან ადრე დაბადებულა-მეთქი. ჩვენს დროში მისგან სანაქებო ტელე-შოუ-წამყვანი დადგებოდა, მის შესანიშნავ სხარტულებს კი ხალისით დაუთმობდა ცალკე გვერდს ნებისმიერი პერიოდული გამოცემა.

იგი სწორედ იმ საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა, რომელსაც ძალუძდა მისთვის ბედნიერების მინიჭება, რომელშიც უკეთ გაუგებდნენ და... სამუშაოსაც გაუჩენდნენ. ოსკარი, უბრალოდ, იმ დროის მსხვერპლი აღმოჩნდა, რომელსაც ასე მწარედ გაუსწრო თავისდა სავალალოდ.

## ოსკარი ქალების (და მამაკაცების) შესახებ

ყველა ქალი სფინქსია, ოღონდ იდუმალებას მოკლებული.

ამერიკელი ქალი ლამაზია და მომხიბლავი. მე ის გონიერების თვალუწვდენელ უდაბნოში მოკეკლუცე ოაზისს მაგონებს, ნატიფსა და მიამიტს.

საკმარისია ამერიკელი ქალი ევროპაში აღმოჩნდეს და მაშინვე ქრონიკული სენით შეპყრობილს ემსგავსება. სუსტ ჯანმრთელობას, ალბათ, ევროპული დახვეწილობის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს.

ყველა ქალი საკუთარ დედას ჰგავს, არც ერთი მამაკაცი არ ემსგავსება დედას. აი, ქალებისა და მამაკაცების ტრაგედია!



არასდროს ენდოთ ქალს, რომელიც თავის ნამდვილ ასაკს გაგიმჟღავნებთ. ასეთი ქალი ნებისმიერი რამის მთქმელია.

ქალი სიყვარულისთვის შექმნილა და არა ამოსაცნობად.

ქალი ნებისმიერ მამაკაცს გაეკეკლუცება, ოღონდ კი სხვა ქალები ხედავდნენ ამას.

ქალებს ყველაფრის ამოცნობა ძალუძთ, გარდა თვალსაჩინოსი.

უშნო ქალისთვის ტირილი თავშესაფარია, ლამაზისთვის - განაჩენი.

თუ ნამდვილად გინდა ჩასწვდე იმას, რასაც ქალი გულისხმობს (რაც, სხვათა შორის, სახიფათოა), თვალმოუშორებლად უყურე, არკი უსმინო.

ლამაზი ქალისთვის სექსი გამოწვევაა, შეუხედავისთვის - თავდაცვა.

ერთობ მიმზიდველი ასაკია 35. უამრავმა ლონდონელმა ქალბატონმა იხმარა ჭკუა: 35-ის დარჩნენ მარად.

ქალი მუდამ უძღვნის მამაკაცს თავისი სიცოცხლის ოქროს, მაგრამ ვალის დაბრუნებასაც ითხოვს: თანდათანობით, წვრილი ხურდით.

ნამდვილ მამაკაცს მომავალი უნდა ჰქონდეს, ნამდვილ ქალს - წარსული.

თუ მამაკაცი ჯენტლმენია, მან საკმაოდ ბევრი რამ იცის ამქვეყნად, და თუ არ არის, ის მცირედიც ავნებს, რაც კი ოდესმე გაუგია.

მამაკაცს ასაკი ემატება, ღირსება - არა.

სამყარო მამაკაცთათვის შექმნილა და არამც და არამც ქალებისთვის.

## ოსკარი სიყვარულისა და ქორწინების შესახებ

ნიაგარას ჩანჩქერი სხვა არაფერია, თუ არ ძლიერი ნაკადი წყლისა, გზააბნეული რომ ეხეთქება უაზრო ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს. სწორედ მისი ხილვისას უნდა შემოიკრან თავში ხელი დაოჯახებულმა ამერიკელებმა.

მამაკაცს ნებისმიერი ქალი მიანიჭებს ბედნიერებას. ცხადია მაშინ, თუკი არ უყვარს.

ცოლიანი მამაკაცის ბედნიერება იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვინც მას ცოლად არ შეურთავს.

ძალიან ლამაზი ქალების ქმრები რატომღაც მუდამ კრიმინალურ სამყაროს მიეკუთვნებიან.

უამრავი ლონდონელი ქალბატონი ენდობა თანამეცხედრეს. მათი ამოცნობა ადვილია: სულ ერთთავად ბედნიერად იღიმებიან.

ოცწლიანი რომანი ქალს კედლებჩამოქცეულ შენობას ამსგავსებს, ოცწლიანი ოჯახური ცხოვრება - რაღაც საჯარო დაწესებულებას.

სამი ქალი მხიბლავდა მუდამ: დედოფალი ვიქტორია, სარა ბერნარი და ლილი ლენგთრი. დედოფლის დიდება მატყვევებდა, ბერნარის ხმა და ლილის ტანფეხი. ამ სამიდან ნებისმიერს სიხარულით შევირთავდი.

ყველა ქალის ტრაგედია ის არის მხოლოდ, რომ წარსული მუდამ მისი სატრფოა, მომავალი კი - უცილობლად ქმარი.

ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში სამი ადამიანი უკვე საზოგადოებაა, ორი - ჯერ არაფერი.

ქორწინების ურყევი საწინდარია ურთიერთგაუგებრობა.

ქვეყნად არაფერი შეედრება გათხოვილი ქალის ერთგულებას. ეს არის რაღაც, რის შესახებაც არაფერი იციან ცოლიანმა მამაკაცებმა.

მეორედ ისეთი ქალი თხოვდება, რომელიც პირველ ქმარს ვერ იტანდა. მეორედ ისეთი მამაკაცი ქორწინდება, რომელიც ჭკუას კარგავდა პირველი ცოლისთვის. ქალები ბედს ცდიან, მამაკაცები რისკზე მიდიან.

მამაკაცმა, რომელიც დაოჯახებას აპირებს, ან ყველაფერი უნდა იცოდეს ამქვეყნად, ანდა საერთოდ არაფერი.

მამაკაცს ცოლის მოყვანისაკენ დაღლილობა უბიძგებს, ქალს გათხოვებისკენ - ცნობისმოყვარეობა. ბოლოს კი იმედი ერთნაირად უცრუვდებათ.

## ოსკარი ამქვეყნიური ყოფის შესახებ

დემოკრატია - ხალხის დათრგუნვა ხალხის მიერ ხალხისავე საკეთილდღეოდ.

კოლუმბამდე ამერიკა მრავალჯერ აღმოაჩინეს, მაგრამ რატომღაც არ უნდოდათ გამოტყდომა.

მე თუ მკითხავთ, ამერიკა არ აღმოუჩენიათ; ის მხოლოდ იპოვეს.

თუ სადმე წააწყდით ყუთს წარწერით "ამერიკული მშრალი პროდუქტი", დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ყუთი არაფერს შეიცავს ამერიკული რომანის გარდა.

კარგი რამ არის განათლება. მაგრამ სულ მუდამ უნდა გვახსოვდეს: შეუძლებელია იმის სწავლება, რისი ცოდნაც ღირს.

ძალიან სამწუხაროა, ასე ცოტა უსარგებლო ინფორმაციას რომ გვაწვდიან.

უმეცრება იშვიათი ეგზოტიკური ხილია. ხელს შეახებ და მთელი ხიბლი უკვალოდ ქრება.

ერთადერთი რამ, რასაც ისტორია მოითხოვს ჩვენგან, მისი ხელახლა გადაწერაა.

გამოცდა გახლავთ ბრიყვების მიერ დასმული შეკითხვები, რომლებზეც ბრძენთ უჭირთ პასუხის გაცემა.

დიდი რაოდენობით მიღებული ალკოჰოლი თამამად ამოუდგება გვერდში საწამლავს.

შრომა მსმელთა კლასის ხვედრია.

მცირედი გულახდილობა სახიფათოა, ჭარბი - აშკარად საბედისწერო.

მეგობრის ჭირს ყველა გაიზიარებს, ლხინს - მხოლოდ ერთეულები.

უძრაობა უკანასკნელი ნავსაყუდელია გონებაშეზღუდულთათვის.

ცინიკოსი არის ადამიანი, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი, მაგრამ არ იცის რა ფასეულობას წარმოადგენს ეს ყველაფერი.

მოდურია ის ტანსაცმელი ჩვენ რომ გვაცვია; მოძველებული - რაშიც სხვები გამოწყობილან.

არც ერთი დიდი ხელოვანი არ ხედავს საგანს ისეთად, როგორიც არის ის სინამდვილეში. რომ დაენახა, ხელოვანიც არ იქნებოდა.

საზოგადოება დანაშაულს მოგიტევებს, ოცნებას - არა.

არ არსებობს ზნეობრივი და უზნეო წიგნები. წიგნი ან კარგია, ანდა ცუდი.

პუნქტუალობა დროის ქურდია.

სიმართლე იშვიათად არის სრული და არასდროს - მარტივი.

ცხოვრების წიგნი იწყება ქალ-ვაჟით წალკოტში და მთავრდება აპოკალიფსით.

კარგი ადამიანი კარგად ასრულებს თავის სიცოცხლეს, ცუდი კი - ცუდად. ამას გვასწავლის ლიტერატურა და სხვას არაფერს.

ჩვენ ყველანი მუხლამდე ტალახში ვდგავართ, მაგრამ ზოგი ხომ აჰყურებს ვარსკვლავებს ცაში.

გამოცდილება არის სახელი, რომელსაც ყველა ჩვენს შეცდომას ვარქმევთ.

ისეთი რამის შესახებ, რაც იმაზე უარესია, ვიდრე ამბობენ, საერთოდ არაფერს არ ამბობენ.

თავდაპირველად ბავშვებს მშობლები უყვართ, მოგვიანებით აკრიტიკებენ, პატიებით კი არასდროს პატიობენ.

მოხუცებს ყველაფრის სჯერათ, ხანდაზმულებს ყველაფერში ეჭვი ეპარებათ, ახალგაზრდებმა იციან ყველაფერი.

თუკი სიჭაბუკის დაბრუნება გსურთ, გაიმეორეთ ადრინდელი სიგიჟეები.

უძველესი ტრადიციის თანახმად, ამერიკა ახალგაზრდა სახელმწიფოა.

ჩვენს დროში ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ფული ყველაფერია. როცა მოხუცდებიან, დანამდვილებით ეცოდინებათ.

სჯობს არა გქონდეთ ხიბლი, ვიდრე რეგულარული შემოსავალი.

არცერთი ადამიანი არ არის ისეთი მდიდარი, საკუთარი წარსულის გამოსყიდვა რომ შეძლოს.



OSCAR WILDE

მტრების შერჩევისას ყოველთვის ფხიზლად ვერ იქნები კაცი.

ჩვენს დროში ყველა დიდ ადამიანს ჰყავს საკუთარი მოწაფეები. ბიოგრაფიას კი მუდამ იუდა უწერთ.

ერთი ცდომილება მეორეს იწვევს, მეორე მესამეს და ასე დაუსრულებლად.

ამქვეყნად ორი ტრაგედიაა: ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც სურს და მეორე, რაც სურს - ღებულობს.

ერთი მშობლის დაკარგვა უთუოდ უბედურებაა, ორივესი კი - დაუდევრობას ემსგავსება.

## ოსკარი ოსკარის შესახებ

უპრეტენზიო ადამიანი ვარ: მაკმაყოფილებს ყველაფერი საუკეთესო.

ყველაფერს გავუძლებ ცდუნების გარდა.

ჩემს საემიგრაციო ფურცელში ასეთი რამ ჩავწერე მხოლოდ: ასაკი - 19, პროფესია - გენიოსი, ქონება - ნიჭი.

მთელი ჩემი სიბრძნე ჩემს ცხოვრებაში ჩავაქსოვე, ჩემს ნაშრომებში კი - მხოლოდ ნიჭი.

აგურის კედელთან გასაუბრებას არაფერი მირჩევნია: ერთადერთია, რომელიც არ მეკამათება.

როცა ადამიანები ერთხმად მეთანხმებიან, ვიცი, რომ ვცდები.

ნახევარ მსოფლიოს არა სწამს ღმერთი, მეორე ნახევარს ჩემში ეპარება ეჭვი.

როცა მაქებენ, დავირცხვენ ხოლმე; როცა მლანძღავენ მიხარია: ეს იმას ნიშნავს, რომ ციდან ვარსკვლავი მომიწყვეტია.

სიკვდილიც ისეთივე მექნება, როგორიც სიცოცხლე: იმაზე მეტის დახარჯვა მომიწევს, რაც მაქვს.

ახალგაზრდობის დასაბრუნებლად ყველაფერს ვილონებ ამქვეყნად; მხოლოდ ვარჯიშს, ადრე ადგომას და დადინჯებას ვერ შეგპირდებით.

თუკი ასე ეპყრობა ტუსაღებს დედოფალი ვიქტორია, ღირსი არ არის მათი ყოლისა.

ჩემს სიცოცხლეში აღარ შევიძენ ახალ მეგობრებს, თუმც ვიმედოვნებ სიკვდილის შემდეგ მოვიპოვე რამდენიმე.

ინგლისურიდან თარგმნა **ასმათ ლეკიაშვილმა**

პარილი



ოსკარ უაილდის საფლავი პერ ლაშეზზე



ჟილ ლიპოვეცკი

# იუმორისტული საზოგადოება



სატირის ეპოქა თავისი ბოროტი სიცილით დასრულებულია. ყოველგვარ პუბლიკაციებში, მოდაში, ნაკეთობებში, მულტფილმებში, კომიქსებში ვხედავთ, რომ სიცილმა დაკარგა სარკასტულობა და გასართობად იქცა. "ახალი" იუმორი აღარ არის უარმყოფელი. საზოგადოების დამცინავი გაკიცხვის ნაცვლად, რომელიც ურყევ ფასეულობებს ემყარებოდა, გაჩნდა პოზიტიური და ძალდაუტანებელი იუმორი, ერთგვარი თინეიჯერული კომიზმი, რომლის საფუძველიც უწყინარი, ყოვლად უპრეტენზიო ახირებულობაა. პუბლიკაციების თუ მოდის იუმორი მსხვერპლს არ იწირავს, არავის ამასხრებს, აკრიტიკებს, ის ქმნის ეიფორიის, კეთილი ღიმილის და სიხარულის ატმოსფეროს. უბრალო ხალხის იუმორი აღარ ეფუძნება ფარულ გაბოროტებას, იგი სულაც არ არის პესიმიზმის და სასოწარკვეთის ნიღაბი. თანამედროვე იუმორი სამყაროს ნათელი ფერებით გამოსახვას ესწრაფის...

"ადამიანთა მოთვინიერების" იმ შეუქცევადი პროცესის კვალდაკვალ, რომელზეც ტოკვილი ლაპარაკობდა, ახლა კომიკური, წარსულისგან განსხვავებით, შეუთავსებელია სასტიკ გასართობებთან: აღარავინ იცინის, როცა ხედავს, როგორ წვავენ კატებს - ბავშვებსაც კი აღარ ახალისებთ ასეთი "გართობა", რომელიც დამახასიათებელი იყო წინა ცივილიზაციებისთვის. იუმორი "ჭკვიანდება" და უფრო კეთილი ხდება: საზოგადოებაში თავს იჩენს მოყვასის წინააღმდეგ მიმართული სიცილის დაგმობის ტენდენცია. მოყვასი აღარ არის სარკაზმის გამორჩეული სამიზნე, ჩვენ ახლა გაცილებით იშვიათად დავცინით სხვა ადამიანების ნაკლს - XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მეგობრები, მეზობლები, მათი გასაჭირი და არანორმალური ქცევა ხუმრობების უცვლელი თემა იყო.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ იუმორისტულ საზოგადოებაში ქრება სიცილი: პირველად ამოქმედდა მექანიზმი, რომელიც ახშობს ჩვენს ჩვევას, დავცინოთ ადამიანებს... თავისთავში ჩაკეტილ პოსტმოდერნისტულ ინდივიდს სულ უფრო უჭირს იგრძნოს თავდავიწყება და აღფრთოვანება, მიეცეს აწყვეტილ მხიარულებას. სიცილის აფეთქებები "ბუნდოვანი ღიმილით" იცვლება. ცივილიზაცია თავის საქმეს აკეთებს, ნარცისების საზოგადოებას ქმნის, რომელთათვისაც უცხოა თავშეუკავებელი სიცილი, მაგრამ ეს ცივილიზაცია უხვად შეიცავს კომიკურ ელემენტებს...

იუმორის ფენომენი პერსონალიზაციის პროცესის ერთ-ერთი ნათელი მხარეა და განუყოფელია მოხმარების ეპოქისგან. სწორედ მოთხოვნილება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ბუმმა და ამით განპირობებულმა ჰედონისტურმა კულტურამ გახადა შესაძლებელი იუმორით ისეთი გატაცება, რომ მან ურთიერთობის ცერემონიულ ფორმათა დეგრადაციამდე მიგვიყვანა. საზოგადოება, რომლის მთავარი ფასეულობაც საყოველთაო ბედნიერებაა, იძულებულია ფართო მასშტაბით აწარმოოს და მოიხმაროს ამ ახალ ეთოსთან მისადაგებული სიმბოლოები, მაგალითად, მხიარული, ხალისიანი საინფორმაციო ცნობები - ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჯილდოს სახით გადაეცეს ხალხს. იუმორისტული კოდი მასობრივი ჰედონიზმის "სულიერი არომატია".

ჩვენს დროში იუმორს სურს "ბუნებრივი" და მატონიზებელი იყოს. იუმორისტული განწყობა აღარ ასოცირდება ტაქტთან, მანერების ბურჟუაზიულ მოხდენილობასთან, ის სარგებლობს ქუჩის ენით, მეტყველებს ფამილარული და სადა ტონით. ეს განწყობა, რომელიც არ გვევლინება კულტურის და კეთილშობილების მაჩვენებლად, დახვეწილობას და რესპექტაბელობას უკარგავს გარდასული ეპოქის სიმბოლოებს, არღვევს იერარქიული უთანასწორობის წესრიგს ძალდაუტანებლობის დამკვიდრების სახელით, ამიერიდან კულტურული ფასეულობის რანგში რომ არის აყვანილი. იუმორი მუშაობს ამაღლებული ცნებების გაუბრალოებაზე, სიმძიმეს და სიდარბაისლეს ჩამოაცლის მათ. იუმორი დემოკრატიზაციის ჭეშმარიტი ნიშანია. დემოკრატიზაცია აუფასურებს მკაცრ ფორმებს. სპონტანურობის კულტურა, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება ცოცხალი იუმორია, ისტორიულად შესაძლებელი გახდა მხოლოდ პერსონალიზებულ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლების ინფლაციონისტური იდეალის წყალობით.

იუმორი ასრულებს ორგვარ დემოკრატიულ ამოცანას: იგი ინდივიდს საშუალებას აძლევს თუნდაც მცირე ხნით დაივიწყოს ცხოვრების უსიამოვნო რეალობანი, პირობითობები და ლაღად გამოხატოს თავისი აზროვნების თავისუფლება. ამავე დროს იუმორი ხელს უშლის ინდივიდს მეტისმეტად სერიოზულად აღიქვას თავისთავი, წარმოიდგინოს, რომ ყველაზე მაღლა დგას, იყოს ქედმაღალი, იმპულსური და მკვეთრი. ეს მოასწავებს ანთროპოლოგიურ ცვლილებას, შემწყნარებელი პიროვნების დაბადებას, რომელსაც არა აქვს დიდი პრეტენზიები, გადამეტებულად არ აფასებს საკუთარ თავს, არ გამოირჩევა შეხედულებათა სიხისტით.

ახლა ყველაზე სერიოზულს, განსაკუთრებით ყველაზე დიდებულს პირველ რიგში ეძლევა კომიკური იერი. რას შეუძლია თავიდან აირიდოს ასეთი ხვედრი მაშინ, როცა თვით პოლიტიკური დაპირისპირება - მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაყოფა - ბრძოლის პაროდირებად იქცევა. რაც უფრო თვალსაჩინოა პოლიტიკური ბრძოლის დაცლა პრინციპული მოტივებისგან, მით უფრო მეტად ემსგავსება პოლიტიკური სცენა სტრიპტიზს კეთილი ზრახვების, პატიოსნების, პასუხისმგებლობის დემონსტრირებით. პოლიტიკის ავტონომიის უმაღლესი სტადიაა არა მასების რადიკალური დეპოლიტიზაცია, არამედ მისი გადაქცევა მასობრივ გასართობად, ბურლესკად. ჩვენს დროში იუმორი იჭრება ცხოვრების ყველაზე "ზედა" სფეროებში, ვლინდება როგორც გარდაუვალობა, რომელიც დამოუკიდებელია ისტორიულ აქტიორთა სურვილების და საბოლოო მიზნებისგან. იუმორი ბედისწერად იქცა.

იმ პირობებში, როცა კერძო ინტერესები ძალიან მრავალნაირი და ურთიერთშეუთანხმებელია, როცა გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭებათ ყოველგვარ უმცირესობებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებს ქმნიან (მარტოხელა მამები, ლესბიანელი ტოქსიკომანები, აგორაფობთა და კლაუსტროფობთა ასოციაციები...), სოციალური



პრეტენზიების სფერო იუმორისტულ შეფერილობას იძენს. სოციალურ ფენებად დაყოფას აღარ ახლავს ტრაგიზმი.

თუ, ერთი მხრივ, ათასგვარ ჯგუფებად დაქუცმაცებას კომიზმის ელემენტი შეაქვს სოციალურ ცხოვრებაში, მეორე მხრივ, ჩვენი დროისთვის დამახასიათებელ ჰიპერინდივიდუალიზმსაც თან სდევს კომიკურობა. პერსონალიზების ძალით თითოეული ადამიანი მეორისთვის რაღაც უცნაურ, გაუგებარ არსებად იქცევა, რომელიც ამავე დროს მოკლებულია იდუმალებას და არ აღძრავს შიშს. იუმორისტული თანაცხოვრება - აი, რისკენ მოგვიწოდებს პერსონალიზებული სამყარო. უცნობი ინდივიდი აღარ ახდენს ჩვენს შოკირებას, ორიგინალობამ დაკარგა თავისი მაპროვოცირებელი ძალა. რაღა რჩება? მხოლოდ სასაცილო სიუცხოვე სამყაროსი, სადაც ყველაფერი ნებადართულია, სადაც ყველა რეალისტურად ხედავს თავისთავს, - სამყაროსი, რომელიც უბრალოდ წამიერ ღიმილს იწვევს.

სხვა ადამიანები ახლა ჩვენი მხიარული ცნობისმოყვარეობის ობიექტები არიან. ყოველი ჩვენგანი განწირულია, მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვების თვალში საკვირველი თუ ექსცენტრული არსება იყოს. მიმდინარეობს საბოლოო დესაკრალიზაცია: პიროვნებათაშორისი ურთიერთობებიდან ქრება სერიოზულობა, რომელიც დასაბამიდან არსებითი იყო მათში, ქრება იმ პროცესის ზემოქმედებით, ყოველგვარი კერპები რომ დაამხო. ჩვენ კიდევ ერთი დარტყმა მოგვაყენეს: მოყვასის თვალში სასაცილოები ვართ. ეს არის ფასეულობათა ისეთივე განიავება, როგორიც არაცნობიერის მიზეზით მოხდა - ინდივიდი გაძარცულია, როცა საქმე სხვების მიერ მის აღქმას ეხება. პერსონალიზაციის პროცესში საკმარისი არ აღმოჩნდა ფსიქოანალიზის მიერ ჩვენი "მე"-ს შესახებ ჩვენივე წარმოდგენის დანგრევა, ნიცშეს სიტყვით, გაუფასურება. ამავე პროცესმა გამოიწვია ადამიანის შესახებ სხვების წარმოდგენის დეგრადირება, მან ადამიანი სხვა ადამიანების თვალში სასაცილო სათამაშოდ, მარიონეტად აქცია.

პუბლიკაცია მოამზადა
გია ალექსიძემ



არილი

სერგეი ავერინცევი*

# ეპოქის სულისა და იუმორის შესახებ



ვინც ვენაში ყოფილა, ეხსომება, რომ ძველი ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, ძველ საუნივერსიტეტო რაიონში, იეზუიტთა ტაძრის სიახლოვეს ერთი ბაროკოს ხანის შენობა დგას. იგი XVIII საუკუნეში მოუხატავთ, ფრესკებზე ღრუბლებზე შემომსხდარი, მზის სხივებში გახვეული მეცნიერებისა და სიქველეების ალეგორიული ფიგურებია გამოხატული. ოდესღაც აქ უნივერსიტეტის რეზიდენცია იყო, რომელმაც ფრანც იოზეფის დროს რინგზე გადაინაცვლა; ახლა კი იქ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიაა განთავსებული და სწორედ იქ გაიმართა 1995 წელს სამდღიანი საჯარო ლექციების ციკლი. პირველი დღე ფილოსოფიურ პრობლემებს ეხებოდა (ამ სიტყვის ძალზე ფართო გაგებით); მეორე - თეოლოგიურ თემებს; მესამე კი პოლიტიკურს. უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე წარმატებული მეორე, თეოლოგიური დღე მეჩვენა (ძირითადად ი.ბ.მეტცის მოხსენების წყალობით); მაგრამ თავად მე პირველ დღეს მომიწია ლექციის წაკითხვა.

ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე ორი მიზეზის გამო ვერ ვიტყოდი უარს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იდეა ვოლფგანგ კრაუსს ეკუთვნოდა, საოცრად კეთილ და გულთბილ ადამიანს, ვისაც მე უზარმაზარ პატივს ვცემ (კრაუსი ესეისტური პროზის რამდენიმე კრებულის ავტორი იყო და ვენის მწერალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა; სამწუხაროდ, იგი რამდენიმე წელია, რაც გარდაიცვალა) და მეორეც - საოცრად მიზიდავდა ბაროკალურ დარბაზში მოხსენების წაკითხვა.

როცა საუბარი დავამთავრე და მასთან დაკავშირებული მცირე დისკუსიაც დასრულდა, დარბაზში პროფესიონალი ფემინისტი შემოვიდა, მიკროფონთან მიიჭრა და განაცხადა: "მოხსენებას ვერ დავესწარი, იგი მე არ მაინტერესებს. მხოლოდ ერთი რამაა ჩემთვის მნიშვნელოვანი: პრეზიდიუმში მამაკაცი მეტია, ვიდრე ქალიო". მიკროფონში არა, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა შევნიშნე: "ჩემი გამოსვლისთვის უკეთეს ილუსტრაციას ვერც ინატრებდა-მეთქი კაცი!" ისინი, ვინც წინა რიგებში ისხდნენ, გაიგონეს ნათქვამი და მე მგონი, გაეღიმათ კიდეც...

მოხსენება ჟურნალ "Conturen. Das Magazin zur Zeit"-ში გამოქვეყნდა (1997, N1, გვ.56-60).

ყველამ ვიცით, რომ არც მაგნიტი და არც დენის წყარო არ არსებობს ურთიერთშეფარდებულ პოლუსთა დაპირისპირების გარეშე. დადებითი პოლუსი მყისიერად ქრება, თუკი უარყოფითს მოვაცილებთ და პირიქით. მხოლოდ დაპირისპირებულობიდან, პოლარულობიდან, დაძაბულობიდან იშვება ენერგიათა თამაში. ოდესღაც ამას გვასწავლიდნენ ჰერაკლიტე და ლაო-ძი. ამასვე გვაუწყებენ სიბრძნის ისეთი ფორმულები, როგორიცაა, მაგალითად, polemos panton men pater esti ("ომი ყველაფრის მამაა" - ძვ.ბერძნ.) და ინ - იანი.

მე ნამდვილად არ ვაპირებ იუმორის ახალი - მეასე თუ მეათასე? - დეფინიცია შემოგთავაზოთ. ჩემი არგუმენტაცია ამ ფენომენის განსაზღვრებას კი არ ცდილობს (არადა, ესეც ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, როგორც "მოცინარი ცხოველისთვის" - animal riders), არამედ მის წანამძღვრებს უტრიალებს. ეს წანამძღვარი ისევე მართებულია, როგორც მაგნიტის ან დენის შემთხვევაში. არ არსებობს და შეუძლებელია არსებობდეს იუმორი ურთიერთშეფარდებულ პოლუსთა დაპირისპირების გარეშე, კონსერვატულ ღირებულებასა და ამბოხს, წესრიგსა და გამონაკლისს, ნორმასა და პრაგმატიკას, მემკვიდრეობით მიღებული ეთიკის სტაბილურ ტაბუსა და კონკრეტულ, ერთჯერად, რეალურ უფლებებს შორის არსებული კონტრასტის გარეშე; თანაც, აუცილებელია, რომ დაპირისპირება მწვავედ იგრძნობოდეს, ცრემლებამდეც მივყავდეთ, მაგრამ იგი ხომ გვაცინებს კიდეც - სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა იუმორი. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანი იმდენადაა მიდრეკილი იუმორისკენ, რამდენადაც შესწევს უნარი, დაიცვას აღთქმები და აკრძალვები.

შემთხვევითი არაა, რომ ადამიანური იუმორის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს კლერიკალური ანეკდოტები. ფრანსუა რაბლეც ხომ სასულიერო პირი იყო; იგი ყველაზე კონსერვატული ტაბუების სიახლოვეს აცნობიერებდა თავის არსებას, ხშირად ყვინთავდა სიწმინდის მდორე ნაკადებში და ამიტომაც მისთვის განსაკუთრებულად სასიკეთო გახდა იუმორთან დამოკიდებულება. და სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ კლერიკალური ანეკდოტების ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული ამა თუ იმ ერის, ან ადამიანთა ჯგუფის რეალურ დაინტერესებაზე რელიგიური მატერიებით. კათოლიკურ სამყაროში გამორჩეულად საინტერესოა, მაგალითად, ირლანდიელების ან პოლონელების ხუმრობები... (აი, ირლანდიელი ქალბატონი ეკლესიის კიბეებზე ჩამოდის ალსარებისა და ზიარების შემდეგ, მას უეცრად თავს დაესხმება ერთი კაპასი ქალი, ვთქვათ, მეზობელი ან ვინმე მოსარჩელე, და ქოქოლას აყრის ახლადნაზიარებ ქალბატონს. ის კი პასუხობს: "ცუდია, მადლცხებულს რომ წამასწარი, მაგრამ გახსოვდეს, ყოველთვის ამ მადლით ცხებული როდი ვიქნები!" ამ ანეკდოტის სუბსტანციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კათოლიკური ტერმინი "მადლცხებული").

---

** სერგეი ავერინცევი (დ.1937) - ცნობილი რუსი ფილოლოგი, კულტუროლოგი და მთარგმნელი; მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვენის უნივერსიტეტების პროფესორი).*

ადოგმატურ ქრისტიანობას ძალუძს, ჭეშმარიტ ზნეობრივ სიმაღლეს ეზიაროს. ერთადერთი, რაც მას არ ეხერხება - იუმორია, თანაც მთელი თავისი არსებით უპირისპირდება მას. სიცილის, პარადოქსის, თამამი, მკრეხელობის ზღვარზე მოთამაშე აზრების საძიებლად დოგმის რომელიმე ძველმოდურ დამცველებს უნდა მივაკითხოთ: ვთქვათ, აბრაჰამ ა სანკტა კლარას-ნაირ მქადაგებლებს ბაროკოს ეპოქიდან, ან უფრო აქეთ, ლეონ ბლუას, ჩესტერტონს. ყველაზე თავზეხელაღებული ხუმრობები მთელი რუსული კულტურის ისტორიაში ვლადიმირ სოლოვიოვს ეკუთვნის - მისტიკოსს, ვიზიონერს, ასკეტს. მას მართლაც შეეძლო გადამდები, გულიანი სიცილი სწორედ იმიტომ, რომ აბსოლუტური სერიოზულობაც არ იყო ამ ადამიანისთვის უცხო. გაბედულება რომ გაბედულებად დარჩეს და არა სიმულაციად, იუმორი განუწყვეტლივ უნდა გრძნობდეს თავის მეზობლად ასევე ჭეშმარიტ, მკვეთრ, დაუნდობელ სერიოზულობას.

ეს რაც შეეხება კლერიკალურ გონებამახვილობას. შემდგომ ამისა, ებრაულ იუმორს შევეხები. ნუთუ ეს შესანიშნავი ფენომენი იარსებებდა ღვთის რჩეული ერის საკრალური იდეის გარეშე? აი, ციტატა "დოქტორ ფაუსტუსიდან": "მე, როგორც იცით, ებრაელი ვარ. ფიტელბერგი - არქიებრაული გვარია. ძველი აღთქმა სისხლში მაქვს გამჯდარი - და იგი არანაკლებ სერიოზული რამეა, ვიდრე გერმანული არსი", - ასე ლაპარაკობს თომას მანის ეს პერსონაჟი, ოღონდ "გერმანული არსის" ნაცვლად ჩვენ კონტექსტში რაღაც "კლერიკალური არსის" მაგვარი მინდა წარმოვიდგინო. ბიბლიურ პერსპექტივაში ებრაელები სწორედ წმინდა ხალხად აღიქმება; ამიტომაც სულაც არ მეჩვენება უაზრობად, რომ ჩვენს კლასიფიკაციაში ებრაული იუმორი კლერიკალურთან გავაერთიანოთ. ყველაზე მახვილი ის ხუმრობებია, რომლებიც ებრაელთა და ქრისტიანთა დაპირისპირებას ეძღვნება. ერთი მაგალითი: ებრაელი კათოლიკე მღვდელს ეხუმრება, აჯავრებს, სხვადასხვა უხერხულ კითხვას აყრის და ბოლოს ეუბნება - რომც გაიჭაჭოთ, პაპის წოდებას მაინც ვერ ასცდებით, ერთი ჩვენებური კაცი კი უკვე ღმერთი გახდა, მაშ!

ჭეშმარიტად მახვილი პოლიტიკური იუმორის არსი, პირდაპირ თუ ირიბად, ყოველთვის კონფორმიზმისა და პროტესტის დაპირისპირებას უკავშირდება. საკმარისად ხარისხიანი იუმორის დამკვიდრებისთვის ეს დაპირისპირება საკმარისზე მეტად დამაჯერებელი, ნამდვილი და სერიოზული უნდა იყოს. ნებისმიერ ტოტალიტარულ საზოგადოებაში მისი სერიოზულობა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მომაკვდინებელი სერიოზულობა იყო. ჩემს რუსეთში, როგორც სხვა სატელიტი სახელმწიფოების მთელ სივრცეზე, სტალინისა და შემდეგ ბრეჟნევის წყობამ პოლიტიკური ანეკდოტის არნახული აყვავება გამოიწვია. ვერ წარმოიდგინეთ, რა დიადი ხდება ეს ხელოვნება, როცა იგი ინდივიდს ერთადერთ შანსს აძლევს გადარჩენისთვის, რათა არ გაიგუდოს ამ ჭაობში! რა თქმა უნდა, უნდა ვისურვოთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში აღარ იყოს იუმორის აყვავების ამგვარი ფაქტები, მაგრამ დღევანდელი სიტუაცია, სწორედ დემოკრატიულ და "განვითარებულ" ქვეყნებში, როლების განაწილებას "ფილისტერსა" და "მეამბოხეს" შორის პირობითობად აქცევს, საეჭვოსა და მოჩვენებითს ხდის. ეს ვითარება თავის ერთ ლექსში რუსმა პოეტმა, ვიაჩესლავ ივანოვმა იწინასწარმეტყველა 1944 წელს:

...Теперь один запас понятий,
Один разменочный язык
Равняют всех в гражданстве братий;
Обличья заменил ярлык.
Бьют тем же шаром те же кегли
Бунтарь, епископ и король...

ნიჰილისტი აღარაა მეამბოხე, იგი ცინიკოსიც კი არაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგანაც იგი აღარ იბრძვის "ყველას წინააღმდეგ". მეამბოხეობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, მაგალითად, 1968 წლის სორბონელი სტუდენტების იდეოლოგიის კომპონენტები, political correctness-ის პირობებში, დღეს გაბატონებულ trend-ად იქცა. ყველა სავალდებულო ტაბუს ახსნა, განსაკუთრებით სექსუალურ სფეროში, ვულგარული ფემინიზმი, რომელსაც de facto ცდილობს ქალში სწორედ შემოქმედებითი საწყისი ჩაახშოს და ანგრევს დედობისადმი პატივისცემის ტრადიციას, ყველა კულტურული იერარქიის დემონტაჟი და სახელგანთქმული ანტიელიტისტური პრინციპი "შენ არაფრით მჯობიხარ", თავმომწონე უვიცობის გამარჯვება "პაიდეიაზე" - ყველაფერი ეს, ფლობერის ყაიდაზე რომ ვთქვათ, "ანბანურ ჭეშმარიტებათა" სფეროს ეკუთვნის, ისინი აქსიომებს წარმოადგენენ, რომელთაც ავტომატურად და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ვიღებთ. თუმცა ტაბუს ახსნის ეპოქაში ჯერ კიდევ რჩება ერთი ტაბუ, ჩვენ გვეკრძალება ეჭვი შევიტანოთ ამ აქსიომათა ჭეშმარიტებაში. რა თქმა უნდა, ზემოთაღწერილი იდეოლოგიის დამცველები დღესაც ძველებურად იღებენ პათეტიკურ პოზებს და ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ისინი ჯერ კიდევ განწირულნი არიან მეამბოხეთა მძიმე უღელი ზიდონ. მაგრამ ამ წირპლიან ტონში გაბატონებული ტრენდის სერიოზულობა კი არ გამოსჭვივის, არამედ ის, რომ მას საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, რა არის იუმორი. საბჭოთა წლებში ყველა ნაბიჯი, რომელიც სხვებისგან განგასხვავებდა, რეალურ რისკთან, რეალურ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული და სწორედ ამ გამოცდილებამ აგვიკრძალა ჩვენ თამაშები, სადაც წაშლილია ზღვარი ნამდვილ და ნაკეთებ სერიოზულობას შორის.

ახლა რაც შეეხება ეროტიულ ხუმრობებს, ამ უძველეს და ყველაზე უფრო ზოგადსაკაცობრიო სახეობას; უნდა ითქვას, რომ ეს ხუმრობები იმითაა განპირობებული, რომ სქესი ყოველთვის იყო მასტრუქტურირებელი ტაბუს პრივილეგირებული ობიექტი. XX საუკუნის რუსი მღვდელი და ფილოსოფოსი პაველ ფლორენსკი იმ აზრზე იდგა, რომ აკრძალვათა სიმკაცრე და მრავალფეროვნება არასდიდებით არ მიანიშნებს სქესის მდაბალ, რელიგიური თვალსაზრისით არასრულფასოვან ბუნებაზე, მაგრამ პირიქით, მის საკრალურ ღირსებას აღნიშნავს. ყველაფერი საკულტო ხომ მკაცრი ტაბუთია შემოსაზღვრული. ახლა ყველა ტაბუს უარყოფენ. ეროტიკული იუმორის კულტურისთვის კი ეს, უბრალოდ, კატასტროფა იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ დღევანდელმა სექსუალურმა რევოლუციამ და "სექსუალურმა განმანათლებლობამ" შეუძლებელი გახადონ უმანკოების მაღალი პოეზიაც - ვინ იცის, ვინ იცის, არც ვარ დარწმუნებული ზემოთქმულში, რადგანაც, ნებისმიერი ნამდვილი პოეზია, როგორც ნამდვილი ქრისტიანული სიწმინდე, თავისი არსით დროის სულის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია, მისი უღლისგან გათავისუფლების ლტოლვას წარმოადგენს, რომელიც e contrario ხორცი-



ელდება; მაგრამ ახლა მე სხვა თემაზე ვსაუბრობ. მინდოდა სხვა რამისთვის გამესვა ხაზი: რაღაც "დეკამერონის" ან "გარგანტუას" მაგვარი, ანუ უცერემონიო სექსუალური ხუმრობის მაგალითები, სექსუალური რევოლუციით განპირობებულ ახალ კონტექსტში სრულიად წარმოუდგენელი და განუმეორებელი გახდება. ნებისმიერი სახის იუმორი აქ კარგავს საგანსა და საფუძველს. Lugete o Veneres Cupidinesque! "იტირეთ, ვენერებო და კუპიდონებო!" - როგორც დიდმა კატულუსმა თქვა.

გენიალური ეროტიკის უძველესი ტრადიცია დასასრულს მიუახლოვდა. სექსუალურმა რევოლუციამ სრულად აჩვენა თავისი არსი: ესაა რევოლუცია ეროსის უფლებების წინააღმდეგ. ცრუ ნებადართულობა - "აკრძალვა აკრძალულია!" როგორც წერდნენ სორბონაში 1968 წელს - ერთ ფარულ აკრძალვას გულისხმობს და იგი ძალზე მნიშვნელოვან ტაბუს წარმოადგენს: ეროსს აეკრძალა საზრისის ქონა, მას ყველანაირი უფლება წაართვეს. ეროსის საზრისზე კი აბსოლუტურადაა დამოკიდებული ეროსზე მიმართული სიცილის შესაძლებლობაც.

მოდით შევაჯამოთ: თუკი იუმორისა და კომიკურის დიალექტიკურ წანამძღვარს დაუნდობელი, გაუხედნავი სერიოზულობა წარმოადგენდა, დღეს გაბატონებული, ტიპიური, მონოტონური, ყველას მიერ აღიარებული ფრივოლურობა (რომელიც არავის აგდებს შოკში, არც აკვირვებს და არც აღარავის ყურადღებას იმსახურებს) თავისი რუხი განურჩევლობით, იუმორის აღსასრულს მოასწავებს. ადამიანი საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას - 1) იცხოვროს იუმორის გარეშე, ან 2) იყოს სერიოზული. მესამე გზა არ არსებობს. რა თქმა უნდა, იდეალებისა და ღირებულებებისადმი სერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერ დროში ქმნის პრობლემებს, რომელსაც მეტ-ნაკლებად "ტრავმული" შედეგები მოჰყვება. ჩვენი თანამედროვენი უსიტყვოდ აღიარებენ იმ დებულებას, რომ ე.წ. ეგზისტენციალური, სულის პრობლემები ფსიქიკის ჭრილში უნდა განვიხილოთ და ამისთვის ფსიქოანალიზსა და ფსიქოთერაპიას მიმართავენ. უდიდეს პატივს ვცემ დიდ ვენელს, ზიგმუნდ ფროიდს - მაგრამ, ღვთის გულისათვის, ნუ მივცემთ მის ურიცხვ მიმდევრებს ბოლო სიტყვის უფლებას ეგზისტენციალურ საკითხებში! როგორც ოდესღაც რაინერ მარია რილკემ თქვა: "ეშმათა გამოდევნისას, ისინი ანგელოსებსაც მიფრთხობენ და დევნიან". სამწუხაროა, რომ ამ ანგელოსთა შორის, ვისაც დღეს საფრთხე ემუქრება, იუმორის სათაყვანებელი ანგელოსიც აღმოჩნდა; ეს გამოცდილებით ვიცით. ძალზე მყუდრო და უპრობლემო, ერთი სიტყვით კი უსატკივარო ცხოვრება მნიშვნელობასაც კარგავს და ამის გამო თავად ცხოვრებაც აღარ ღირს - არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ, Bios ou biotos.

თარგმნა გიორგი ფაჩუაშვილმა




ზურაბ ქიაბერაშვილი

# "ნუ ვითხოვთ ადამიანთა უფლებების დაცვას - მოვითხოვოთ ადამიანთა დაცვა"

## დაგვიანებული წერილი "არილს"

"ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ კაცი, რომელიც პოლიტიკისადმი არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებს, მას მხოლოდ საკუთარი საქმე ადარდებს. ჩვენ ვიტყვით: მას საერთოდ არაფერი ადარდებს"

პერიკლეს სიტყვა
თუკიდიდე "პელოპონესის ომი"

"ყველას და, პირველ რიგში, მთავრობას, აწყობს, რომ ჩვენ პარტია შევქმნათ და გამოვაცხადოთ: "აი, ჩვენი ხალხი, ჩვენი მიზნები და ამ მიზნებს ასე და ასე მივაღწევთ"

დანიელ კონ-ბენდიტი
პარიზის 1968 წლის მაისის
მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი

ვაკვირდები: "არილის" ლიტერატორი მკითხველი სულ იმის ხაზგასმაშია, როგორ კარგად შუქდება მასში პოლიტიკა (მადლობა ია ანთაძეს). პოლიტიკაში ჩართულთათვის კი "არილი" ლიტერატურული თავშესაფარია.

და ამ დროს, სწორედ ჩვენს საყვარელ "არილს" დავუგვიანე წერილის მიწერა. "წლების მანძილზე არ გწერდი, რადგან იყო ეჭვი, რომ ჩემს წერილებს ვიღაც კითხულობს", - თავად მაშველებს გასამართლებელ ფრაზებს "არილი". ზვიად რატიანი წერილს წერს საიდუმლო დედას.

ახლა, როგორც იქნა, დავდექი კომპიუტერთან. ისიც იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ არ დავაღალატო მალხაზ ხარბედია, რომელსაც, ბოლოს 11 ივლისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე, ადმინისტრაციული შენობის წინ გამართულ აქციაზე შევხვდი.

იქ იდგა საზოგადოება, ე.წ. სამოქალაქო, და წინა ღამით, "ღამის მოამბეში" ერთი ახალგაზრდის მიერ ჩადენილ საქციელს ზოგადი და, რაც მთავარია, შემაშფოთებელი ტენდენციის გამოვლინებად რაცხდა. ამ საზოგადოებას პერიკლესავით ეგრძნო, რომ "მხოლოდ საკუთარი საქმე", "შინაგანი ემიგრაცია" და მსგავსი ფრაზეოლოგია საქმეს ვერ შველის. მაგრამ ამ ხალხს, კონ-ბენდიტის მსგავსად, არც პარტიულ დისკუსიასა და კინკლაობაში ჩართვა ეწადა.

ისინი იყვნენ პოლიტიკაში და არც იყვნენ მასში.

მე და მახომ კი "არილის" 14 ივნისის ნომერში (აი ის, გემის საჭე და მშვენიერი ქალბატონის, ელიზაბეტ ბიშოპის პორტრეტი რომ ახატია) გამოქვეყნებული "ამბოხისთვისაც" მოვიცალეთ ორიოდ წუთით. პრაქტიკული ამბოხის შუაგულში თეორიულ ამბოხზე ვიბჭეთ ორ-

მა - პოლიტიკასა და პოლიტიკის გარეთ მყოფებმა და დავადგინეთ: "ამბოხით" (ამ შემთხვევაში, "არილურ"-თეორიული) ჩემი მოხიბვლა თავად "არილისთვისაც" მეცნობებინა.

ამ წუთას ამას ვცდილობ. არადა დამაგვიანდა. არაფერ შუაშია ეს რამდენიმე დღე, რომელიც ისე გავიდა, რომ Mailbox-მა სახელად kharbedia@yahoo.com ვერაფრით ამცნო თავის პატრონს New Message zurabtch@hotmail.com-საგან.

თუმცა ეს დაგვიანება უმნიშვნელო ჩანს იმასთან შედარებით, რაც დღეს ყველას უნდა გვაწუხებდეს.

"უნდა ამერჩია: ან პროტესტი განმეცხადებინა ან დავდუმებულიყავი. დუმილი ნიშნავდა იმ ქმედებათა მოწონებას, რომელთაც არ ვიწონებდი. სხვაგვარად, დუმილი ჩემთვის ტყუილის თქმას ნიშნავდა. მგონია, რომ ჩემი საქციელი სწორი იყო, თუმცა ჩემთვის ეს იყო ერთადერთი შესაძლო ვარიანტიც", - იტყვის მსოფლიოში ყველაზე ეუმანური სასამართლოს წინაშე ლარისა ბოგორაზი, რომელიც 1968 წლის 25 აგვისტოს, პრაღაში საბჭოთა დარების შეყვანისადმი პროტესტის ნიშნად, კიდევ 7 ადამიანთან ერთად წითელ მოედანზე გამოვიდა. მათმა აქციამ სულ 10 წუთს გასტანა, მაგრამ მოასწრეს.

ჩვენ კი დაგვაგვიანდა, რადგან ჩვენი საქციელი არასოდეს გამხდარა ჩვენთვის "ერთადერთი შესაძლო ვარიანტი". როცა საჭიროა, დუმილს ვაგვიანებთ, როცა აუცილებელი - ხმაურს. ეეგელი კი დიუტად, იმეორებს, რომ "თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა". თავისუფლება დავა(ნა)გვიანეთ.

"განაჩენის შინაარსი ჩემთვის ცნობილია. ეს ჩემთვის მანამდეც ცნობილი იყო, სანამ წითელ მოედანზე გავიდოდი", - დაუდასტურებს ლარისა ბოგორაზს პათოსს პაველ ლიტვინოვი, ხოლო ვლადიმირ დრემლიუგა იქვე, სასამართლო პროცესზე, დანარჩენებს პაპიროსის თითო ღერსა და შაქრის ნატეხს ჩამოურიგებს და იტყვის: "მთელი შეგნებული ცხოვრება მსურდა, ვყოფილიყავი მოქალაქე, ე.ი. ადამიანი, რომელსაც მშვიდად და ამაყად შეეძლებოდა საკუთარი აზრების გამოთქმა. 10 წუთის განმავლობაში მე ვიყავი მოქალაქე. მე ვიცი, ჩემი ხმა დისონანსად გაიჟღერებს საერთო დუმილის ფონზე, დუმილისა, რომლის სახელიც "პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის საერთო სახალხო მხარდაჭერაა". მიხარია, რომ ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც ჩემთან ერთად გაბედა პროტესტის გამოთქმა. მაგრამ ისინი რომც არ ყოფილიყვნენ, მე მარტო გავიდოდი წითელ მოედანზე".

ჩვენთან, თავისუფლების მოედანზე არავინ გადის მარტო.

სად იყვნენ ეს ადამიანები? სად იყვნენ ისინი? პოლიტიკაში? პოლიტიკის გარეთ? საერთოდ, პოლიტიკურობა-არაპოლიტიკურობის მიღმა? ისინი წითელ მოედანზე იყვნენ 10 წუთით და გადასახლებაში 10-10 წლით. ეს არის ყველაფერი, რაც მათ შესახებ დღეს შეიძლება ითქვას.

"ის სამყარო, რომელშიც ჩვენ 1968-ში დემონსტრაციაზე გავედით, უფრო შავ-თეთრი იყო და ამიტომაც, ბევრად იოლიც. ხელისუფლება მოქალაქეებს, დიახაც, აზომბდა, თავისუფლებას მართმევდა, მაგრამ ჩემზე რეაგირებდა კიდეც. უკანონოდ დამიჭირეს, გამასამართლეს და გადამასახლეს. უკანონოდ - მაგრამ ეს მაინც რეაქცია იყო. ახლა კი, შემიძლია დემონსტრაციაზე წავიდე, პიკეტირება მოვაწყო - ყველას ფეხებზე ეკიდია", - ამ სიტყვებს ლარისა ბოგორაზი, ადამიანთა უფლებების უკვე მსოფლიოში აღიარებული დამცველი 1998 წლის აგვისტოში, "იტოგისთვის" მიცემულ ინტერვიუში იტყვის.

ჩვენც - მალხაზ ხარბედიაც, მეც და ერთი ორმოცდაათიოდე ადამიანიც - დავდექით, დავეკიდეთ ყველას ფეხებზე, გავშალეთ პლაკატები, ვთქვით მგზნებარე სიტყვები, მოვიწონეთ ერთი და დავგმეთ მეორე და წავედით. წავედით სახლებში. დავიშალეთ.მართლაც დავიშალეთ. არა მხოლოდ, როგორც აქცია, არამედ როგორც საზოგადოებაც. და არა მხოლოდ როგორც სამოქალაქო, არამედ საზოგადოება საერთოდ. ეს ჩვენი დაგვიანების ბრალია. ჩემი ბრალიც, ალბათ, იმაშია, რომ დროზე ვერ მივწერე წერილი "არილს". ამ წერილს არ ვგულისხმობ. ლიტერატურა მხოლოდ დროებითაა კარგი თავშესაფარი.

"ესპანეთს სამოქალაქო ომი სჭირდება - სამოქალაქო, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ანუ უიარაღო, დარებისა და ბომბების გარეშე", - მიგელ დე უნამუნოს, რაც უფრო მეტს ცოცხლობდა, მით უფრო უინტერესოდ ეჩვენებოდა, იდეები და მით უფრო საინტერესოდ - ადამიანები: "როცა ადამიანს ვუსმენ, თვალებში ვუყურებ და ხშირად არც მესმის, რას ლაპარაკობს იგი. როცა თავად ვსაუბრობ, მაშინაც თვალებში ვუყურებ ადამიანს, რათა ვიგრძნო, ესმის თუ არა მას ჩემი. ჩემი, და არა ჩემი სიტყვების".

ჩვენ არც ჩვენივე სიტყვების გვესმოდა, რადგან დავაგვიანეთ.

ვიქექები გაზეთ "საქართველოს გაზეთის" ნომრებში. 1998 წლის 21 აგვისტოს ნომერი. "ჩვენ გვჭირდება 1968. უფრო სწორად, ჩვენ გვჭირდება სვლა სიმართლისაკენ, რომელსაც 30 წლის წინანდელ პრაღაში პოლიტიკის ენაზე - პლურალიზმი და ცენზურის აკრძალვა, ეკონომიკის ენაზე - რეფორმები, ხოლო უბრალო, ადამიანურ ენაზე თავისუფლება ერქვა".

და აქ ისმება ჩვენი მთავარი კითხვა: რატომ მხოლოდ პარიზში და რატომ მხოლოდ პრაღაში? რატომ მხოლოდ იქ და არა აქ? მაგრამ კითხვები კიდევ უფრო დაგვიანებულია, თუ მათზე პასუხი არსებობს.

მაგრამ მაინც, ნუ შევეცდებით, მოვძებნოთ პასუხები. შევეცადოთ, ვიპოვოთ რეალობა. შევეცადოთ, საკუთარ თავს მოვთხოვოთ შეუძლებელი. შევეცადოთ, მოვძებნოთ კითხვები.

სად არის "არილში" - თუკი იგი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალია - ზღვარი "საზოგადოებრივსა" და "ლიტერატურულს" შორის? ვინ არის ჟორჟ ბატაი, რეალისტებად ყოფნასა და შეუძლებლის მოთხოვნას რომ გვთხოვს, ლიტერატორი თუ პოლიტიკოსი? ან მალხაზ ხარბედია ვინლაა, საზოგადოებრივი ამბოხის ამბებს ლიტერატურულად რომ გვაჩეჩებს იმავე დასახელების სათაურით "ამბოხი"?

და პასუხის გამცემი ვინლაა?

ნუ ეცდებით მითხრათ, რომ ავტორი მოკვდა. მითხარით, რატომ. რატომ გაისმის ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოთხოვნა, რომ პოლიტიკამ თავი დაგვანებოს. ეს ხომ შეუძლებელია, რადგან ამგვარი მოთხოვნა უკვე თავად არის პოლიტიკა, რადგან საზღვარს პოლიტიკა არ ადგენს. იგი ლახავს მას. საზღვრებიც მკვდარმა ავტორებმა წაშალეს. "შინაგანი ემიგრაცია" კი დუმილისაკენ გვიბიძგებს, რათა არათუ სამუდამო, დროებითი თავშესაფარიც შეუმჩნევლად, წყნარად დავთმოთ და გარეგან ემიგრაციაში წავიდეთ.

მოქმედება - აი, რისი გვეშინია. პოლიტიკა - აი, რას ვუფრთხით. მაშინ, როცა ბოლომდე თავდახრილები ვცდილობთ მივფორთხდეთ პოლიტიკის ფეხებთან, რომელზეც ვეკიდებით, როცა პოლიტიკის წინააღმდეგ ვილაშქრებთ.

ნუ ვითხოვთ ადამიანთა უფლებების დაცვას - მოვითხოვოთ ადამიანთა დაცვა.

ნუ ვითხოვთ ფრენის უფლებას. მიგელ დე უნამუნოს კვალად მოვითხოვოთ ფრთები.

დავანებოთ თავი მორალურობას. ჩვენ ხომ მხოლოდ იმიტომ არ ვეფლობით კორუფციის ჭაობში, რომ ლიტერატორის ნაშიმშილევი "იმიდი" და ინფლაციით გაცამტვერებული "სოციალური კაპიტალი" ჩვენი ბიოგრაფიის საკმაოდ დიდი ნაწილია და გვენანება მისი ასე იაფად გაყიდვა.

მალხაზ ხარბედია, ვარ რეალისტი და გთხოვ შეუძლებელს:

დამიწერე "არილში" "ქართული ამბოხი" და მომიყევი ქართველი კონ-ბენდიტის შესახებ, თუ ბიჭი ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარი

საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა კიდევ ერთხელ - ამჯერად, საშემოდგომო სესიისთვის - გადაიდო. ამით დადასტურდა, რომ მინისტრთა კაბინეტის მომხრეებმა შუალედური მარცხი განიცადეს. თუმცა, საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ვერც მოიხსნება, ვიდრე საბოლოოდ არ გაეცემა პასუხი შეკითხვას: გახდება თუ არა ზურაბ ჟვანია საქართველოს პრემიერმინისტრი?

○ ○ ○

ამ საკითხის ბედი დიდწილად იქნება დამოკიდებული პრეზიდენტის ნებაზე და კიდევ ერთ "აიწონა-დაიწონა" ფაქტორზე: რა ძალები მოიყრის თავს ჟვანიას ირგვლივ და რა ძალები განლაგდება მის პირისპირ.

აქ, ალბათ, საჭიროა ერთი განმარტება: თუკი საკონსტიტუციო ცვლილებებმა მთლიანად უნდა შეცვალოს ქვეყნის მმართველობითი სისტემა, რამდენად მართებულია ყურადღების გამახვილება ერთ პიროვნებაზე - ზურაბ ჟვანიაზე?

საქმე ისაა, რომ ჩვენს რეალობაში ჟვანია არ არის მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერმინისტრობის კანდიდატი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი პროდასავლური ლიდერია. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ზურაბ ჟვანიამ წლების განმავლობაში გამოიყენა სწორედ იმისათვის, რომ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებულიყო პროდასავლური ლიდერის ფუნქციით.

ამიტომ, დღეს ჟვანიას წინააღმდეგ განლაგდნენ ძალები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგებიან მას პიროვნულად, და, მეორე მხრივ, უპირისპირდებიან და აკნინებენ თავად პროდასავლური ლიდერის ფუნქციას.

ზუსტად ამგვარადვე განლაგდნენ ძალები ჟვანიას გვერდით: ერთი მხრივ, ადამიანები, რომლებიც მას ენდობიან პიროვნულად და, მეორე მხრივ, ძალები, რომლებსაც ეძვირფასებათ პროდასავლური ლიდერის ფუნქცია (და მზად არიან, გააძლიერონ ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც შეძლებს, ღირსებით ატაროს ეს ფუნქცია).

სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, როდესაც პრეზიდენტმა პრემიერმინისტრის პოსტზე ზურაბ ჟვანიას კანდიდატურა დაასახელა, დიდი სიზუსტით შეიძლებოდა იმ ძალების განსაზღვრა, რომლებიც აღმოჩნდებოდნენ ჟვანიას პირისპირ ან მის გვერდით.

დღეს უკვე ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება ამ ძალების ჩამოთვლა.

○ ○ ○

მთავარი სეგმენტი, რომელიც ზურაბ ჟვანიას აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლას ეწინააღმდეგება, - ეს არის სახელმწიფო კანცელარიის გავლენიან მოხელეთა ჯგუფი და მათი დასაყრდენი ძალები მთავრობაში.

ბუნებრივია, მინისტრთა კაბინეტის შექმნა დიდწილად შეცვლის აქცენტებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მთლიანად შეცვლის კანცელარიაში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ წესრიგს.

პარლამენტი და კანცელარია, მათი არსიდან გამომდინარე, თავისთავად მოიაზრება ერთმანეთთან დაპირისპირებულ სახელისუფლო ცენტრებად. რამდენადაც პარლამენტი გახსნილი სივრცეა, იმდენად კანცელარია - ჩაკეტილი. რამდენადაც პარლამენტის თითოეული წევრი ერთმანეთის თანასწორია, - იმდენად კანცელარია იერარქიული პრინციპითაა მოწყობილი: პარლამენტი არჩევითი ორგანოა, კანცელარიაში კი ყველა თანამდებობის პირი ინიშნება (პრეზიდენტის გარდა). პარლამენტში თავმჯდომარეც კი რიგითი დეპუტატია, კანცელარიაში კი ყველა ვიღაცის უფროსია და, თავის მხრივ, საკუთარი უფროსიც ჰყავს.

ამ იერარქიულ წესრიგში, ბოლო ერთი წელიწადია, ჩათრეული აღმოჩნდა საზოგადოების ყველაზე აქტიური და მებრძოლი ნაწილი - ჟურნალისტთა კორპუსიც კი: პრეზიდენტის პრესსამსახურმა საკუთარ თავს უფლება მისცა, ჟურნალისები რანგებად დაეყო და ინფორმაციასთან მისასვლელ გზებზე ერთი ნაწილისთვის მწვანე შუქი აენთო, მეორე ნაწილისთვის კი - წითელი (რაც ბოლო წლებში დემოკრატიის წინააღმდეგ გადადგმულ ერთ-ერთ ყველაზე თამამ ნაბიჯად უნდა შეფასდეს).

რამდენადაც პარლამენტი ორიენტირებულია ევროპულ კანონმდებლობაზე და მასთან ჰარმონიზაციისთვის საჭირო გარდაქმნებზე, იმდენად კანცელარია უძრაობის და დღევანდელი რეალობის უცვლელად შენარჩუნების გარანტია.

ამ ფაქტორებიდან გამომდინარე,. კანცელარიაში ჟვანია ბუნებრივად აღიქმება, როგორც უცხო, დამანგრეველი, დესტრუქციული ელემენტი, რომლის შემოჭრის მცდელობა ნებისმიერი გზით უნდა აღიკვეთოს.

○ ○ ○

სწორედ იმის გამო, რომ კანცელარია ჩაკეტილი, არაგამჭვირვალე სივრცეა, მისი წარმომადგენლების მიერ გადადგმული ნაბიჯებიც საზოგადოებრივი მზერის მიღმაა. ჩვენ არ ვიცით, როგორ იბრძვის აღმასრულებელი ხელისუფლების ციტადელი თავისი წესრიგის შესანარჩუნებლად და ჟვანიასგან თავის დასაცავად. სამაგიეროდ, ეს მშვენივრად იციან თავად კანცელარიის გავლენიანმა მოხელეებმა და ყველაზე უკეთ იცის პრეზიდენტმა.

უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საჯარო ხასიათი მიანიჭა საზოგადოებისთვის უხილავ დაპირისპირებას, როდესაც 9 ივლისს "დილის გაზეთში" გამოაქვეყნა წერილი: **"ედუარდ შევარდნაძე პოლიტიკურ დროსა და სივრცეში"**.

სტატიის დედააზრი ისაა, რომ ედუარდ შევარდნაძე თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ შეცვლილა და რომ იგი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროსაც ისეთივე შემოქმედი, ძიებისა და გარდაქმნისკენ მიდრეკილი პიროვნება იყო, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას და დღეს. სტატიის ავტორი ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას განიხილავს, როგორც ერთ აღმავალ ვექტორს: ფოთის ექსპერიმენტიდან, 14 აპრილისა და ბერლინის კედლის გავლით - ევრაზიულ დერეფნამდე. სტატიის სულისკვეთებიდან გამომდინარე, დასკვნაც ლოგიკურია: "საქვეყნო ინტერესების თვალსაზრისით, გაუმართლებელია პოსტშევარდნაძისეული ეპოქის ხელოვნური დაჩქარება". სტატიაში ამ "დამაჩქარებლებზე" მინიშნებითაც არაფერი წერია, მაგრამ გამგები გაიგებს. რადგან, მაგალითად, "ახლი თაობისა" და "ასავალ-დასავალის" მკითხველებს ყოველ ცისმარე დღე უმეორებენ (გამეორება ცოდნის დედაა!), თუ ვინ აპირებს ყველაზე ახლოს მიჩოჩებას პრეზიდენტის სავარძელთან, ვის ღალატობს ახალგაზრდული სულსწრაფობით მოთმინება და ვის ეჩქარება ამ სავარძლის დაპატრონება - რა თქმა უნდა, ზურაბ ჟვანიას.

ამ საგაზეთო პუბლიკაციის გარდა, რომელიც მის ავტორს პრეზიდენტის გვერდით მიუჩენს ადგილს, მოუთმენლებს კი პრეზიდენტის პირისპირ, - კანცელარია ჟვანიას გაპრემიერების წინააღმდეგ თითქმის მთლიანად უხილავი მეთოდებით მუშაობს.

○ ○ ○

თუმცა, კანცელარიის მეორე გაელვებად და ერთგვარ მოსალოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ ბადრი ხატიძის დამეგობრება საპარლამენტო ოპოზიციასთან.

საპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ის ძალაა, რომელიც კანცელარიის შემდეგ აგრძელებს და ამაგრებს ალყას ჟვანიას წინააღმდეგ. ასე რომ, კანცელარიის ერთ-ერთი ბურჯის - ბადრი ხატიძისა და ოპოზიციის ურთიერთგაგება თვითმმართველობის საკითხებზე და, შესაბამისად, უმრავლესობის დაბნეულობა ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხებთან დაკავშირებით - ნამდვილად ლოგიკურად გამოიყურება.

საერთოდ, პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა: ადრე თუ გვიან, პარლამენტმა უნდა განიხილოს საკონსტიტუციო ცვლილებები. რატომ მსჯელობენ პოლიტიკოსები მუდმივად სხვა საკითხებზე და არ მსჯელობენ ყველაზე მთავარზე?

ოპოზიციას ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემული აქვს: თუ დანარჩენზე შევთანხმდებით, შემდეგ ვიმსჯელებთ საკონსტიტუციო ცვლილებებზე; თუ ვერ შევთანხმდებით, მინისტრთა კაბინეტის საკითხის განხილვაში არ ჩავერევით.

რატომ? იმიტომ, რომ თვითმმართველობის და საარჩევნო საკითხები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობას და ჟვანიას გაპრემიერებას, თუ სხვა რამ მიზეზის გამო?

ცხადია, სხვა რამ მიზეზის გამო.

საქმე ისაა, რომ საარჩევნო კოდექსისა და თვითმმართველობის კანონის მისაღებად საკმარისია 118 ხმა; ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებებს 157 ხმა სჭირდება. უმრავლესობას 118 ხმა აქვს, მაგრამ 157 ხმა მას არ გააჩნია. ასე რომ, თუ უმრავლესობას სურს, ოპოზიციისგან მიიღოს ის ხმები, რომელიც სჭირდება ჟვანიას გასაპრემიერებლად, მან უნდა დაუთმოს ოპოზიციას სწორედ იმ საკითხებში, რომელთა გადასაწყვეტად უმრავლესობას საკუთარი ხმებიც ყოფნის.

საბოლოოდ, ჟვანიას გადასვლას აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ალბათ, დიდწილად ეს ფაქტორი გადაწყვეტს: მიიღებს თუ არა ოპოზიციის თუნდაც ნაწილი საკმარის კომპენსაციას იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს საკონსტიტუციო ცვლილებებს.

კარგა ხანია, საპარლამენტო კულუარებში საუბრობენ, რომ უმრავლესობასა და ზოგიერთ ოპოზიციურ ფრაქციას შორის საერთო ენა გამონახულია. უბრალოდ, საჭიროა დრო იმისათვის, რომ ოპოზიციის ნაწილის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერა შესაბამისად "გაფორმდეს". ბოლო პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების ერთი ძირითადი ნაკადი სწორედ ამ "გაფორმებას" ემსახურებოდა.

○ ○ ○

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ "აღორძინება", "სოციალისტები", "ახალი მემარჯვენეები" და "ოცდამეერთე საუკუნის" დიდი ნაწილი არც ერთი პირობით არ დაუჭერდა მხარს საკონსტიტუციო ცვლილებებს. ხოლო "ტრადიციონალისტები" და "მრეწველები" უმრავლესობისთვის უიმედონი არ იყვნენ. მაგრამ როგორ უნდა ეთქვათ მათ უარი ოპოზიციის ერთიანობის პრინციპზე, რისი დაურღვევლობის პირობაც მრავალჯერ დაიდო?

თუ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა საშემოდგომო სესიისთვის გადაიდო, მნიშვნელობას დაკარგავს ის დრამატურგიული ხაზი, რომელიც აშკარად ვითარდებოდა ბოლო კვირების განმავლობაში. კერძოდ, მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის დაყოფაში გადამწყვეტი როლი უნებლიეთ შეესრულებინათ იმ ძალებს, რომლებიც განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საკონსტიტუციო ცვლილებებს.

კერძოდ: ბადრი ხატიძის ჩარევამ თვითმმართველობის კანონმდებლობის გაკეთილშობილებაში ფრაქცია "ტრადიციონალისტების" უკმაყოფილება გამოიწვია. ხატიძის აქტიურობამ სერიოზული საბაბი გააჩინა ოპოზიციის გასახლეჩად, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, ტრადიციონალისტები თავის (და ჟვანიას) სასარგებლოდ გამოიყენებდნენ.

გარდა ამისა, ჟვანიას გაპრემიერებისთვის, შესაძლოა, ასევე უნებლიეთ ხელი წაეკრათ "ახლებს" და, აი, როგორ: დავით გამყრელიძემ, ლევან გაჩეჩილაძემ და, განსაკუთრებით, ფიქრია ჩიხრაძემ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმედ მიიჩნიეს საარჩევნო ადმინისტრაციაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. თუ მართლაც მოხერხდება და ცენტრალური საარჩევნო კომისია არასამთავრობოებით დაკომპლექტდება, საზოგადოებამ მადლობა სწორედ ამ ადამიანებს უნდა უთხრას: მათი მხარდაჭერის გარეშე პარლამენტის თავმჯდომარის ეს იდეა კარგა ხანს დარჩებოდა განუხორციელებელი.

ეს მედლის ერთი მხარეა; მეორე მხრივ კი, ცნობილია, რომ არასამთავრობო სექტორს სრულ უნდობლობას უცხადებს ასლან აბაშიძე. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციაში გაჩნდა საბაბი მორიგი განხეთქილებისთვის: თუ ვინმე ჟვანიას მხარდაჭერას მოისურვებდა, იგი საბაბად გამოიყენებდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას და ჯერ სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოძებნიდა საერთო ენას უმრავლესობასთან, მოგვიანებით კი საკონსტიტუციო ცვლილებებსაც დაუჭერდა მხარს. საინტერესოა, რომ ეს ძალა არ იქნებოდა "ახლების" ფრაქცია, რომელიც მართლაც ენდობა არასამთავრობო სექტორს; სამაგიეროდ, შესაძლოა, ეს ძალა ყოფილიყო რომელიმე სხვა ფრაქცია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დიდი ნდობით არ გამოირჩევა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განსახილველ საკითხთა მთავარი ღერძი საკონსტიტუციო ცვლილებებია და ყველაფერი დანარჩენი მის ირგვლივ ტრიალებს.

მოკლედ, ოპოზიციაში ძალთა გამიჯვნა-გადალაგების კონტურები გამოჩნდა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა, რომ 157 ხმის მოგროვება უმრავლესობას გარანტირებული ჰქონდა.

○ ○ ○

"ტრადიციონალისტებისა" და "მრეწველების" მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, ძალთა დღევანდელი განლაგების პირობებში, საჭირო ხმების მოგროვება ჟვანიასთვის, შესაძლოა, პრობლემური აღმოჩნდეს. ამის მიზეზია კრიტიკული განწყობა თავად უმრავლესობის წიაღში. აი, როგორ ხედავს მოსალოდნელ პროცესებს უმრავლესობის ლიდერი ნიკო ლეკიშვილი ("რეზონანსი", 5 ივლისი): "მინისტრთა კაბინეტის საკითხი ძალიან დიდ წინააღმდეგობას აწყდება და ამ წუთში მისი მიღების საშუალება ნამდვილად არ არის... მგონი, კენჭისყრა არანაირ შედეგს არ მოგვცემს... ოპოზიციას აქვს თავისი დამოკიდებულება და არ აპირებს, მხარი დაუჭიროს პროექტს, რაც უკვე საკმარისია იმისათვის, რომ პროექტი ვერ გავიდეს... უმრავლესობაშიც არის კატეგორია, განსაკუთრებით, მაჟორიტარ დეპუტატებში, რომლებიც არ არიან თანახმა შემოთავაზებული ვარიანტის მიღებაზე... ის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდება, არ არის უბრალო რამე..."

რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან პარლამენტის თავმჯდომარისა და უმრავლესობის ლიდერის პოზიციები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით? პოზიციათა აცდენა მით უმეტეს მოულოდნელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტის მომავალ თავმჯდომარედ ბევრს სწორედ ნიკო ლეკიშვილი წარმოუდგენია.

თუმცა, თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალს პოლიტიკურ პროცესს და ამ პროცესში პოლიტიკური ფიგურების აქტიურობის ხარისხს, დავინახავთ, რომ ბოლოხანს განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ედვარდ სურმანიძეზე. იგი სხვებზე ხშირად არის ფრონტის წინა ხაზზე და ჟვანიასთვის საიმედო თანამებრძოლია. შესაბამისად, სატელევიზიო დებატებში ოპოზიცია მას მეტად უდიერად ეპყრობა და საგანგებოდ მუშაობს სურმანიძის ავტორიტეტის დაკნინებაზე.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: ასლან აბაშიძე, რომელიც არასოდეს დაუშვებდა ედვარდ სურმანიძის არჩევას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე, დღეს ველარ აკონტროლებს ცენტრში მიმდინარე მოვლენებს. მან, საკუთარი აგრესიული პოლიტიკით, მთლიანად დაკარგა ზემოქმედების ბერკეტები ზოგადად პარლამენტზე და, კერძოდ, ზურაბ ჟვანიაზე. არ არის გამორიცხული, ჟვანიამ ეს რეალობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მხარი ედვარდ სურმანიძეს დაუჭიროს.

ასე რომ, დასაშვებია, ბატონი ნიკო ლეკიშვილის პესიმიზმი ირიბად გამოხატავდეს მის შინაგან პროტესტს ვითარების ამგვარად შემოტრიალების გამო. მაგრამ ნიკო ლეკიშვილის პოზიცია უმნიშვნელო არ არის და მისი პოზიციის წონას მისივე თანამოაზრეების ხმები განსაზღვრავს. მოსალოდნელი საკონსტიტუციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებების მიმართ უმრავლესობის ლიდერის უარყოფითი დამოკიდებულება ქმნის იმ რეალობას, რომ ოპოზიციის მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, 157 ხმა ვერ მოგროვდეს - თავად უმრავლესობაში არსებული წინააღმდეგობების გამო.

○ ○ ○

ზურაბ ჟვანიას ირგვლივ შემომტკიცებული ალყის ჩამკეტი, ანუ ყველაზე უკეთ გამაგრებული სეგმენტი, ცხადია, ასლან აბაშიძე და მისი გავლენის სივრცეა.

ჯერ კიდევ 1997 წლის ოქტომბერში ბათუმის ყოფილმა მერმა თამაზ ხარაზმა სკანდალურად ცნობილ სატელევიზიო ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარე ტერორისტად გამოაცხადა.

მაშინ ჟვანიამ ამგვარი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირა: **"მჯერა, რომ ეს პროვოკაცია საქართველოს მტრებმა დაგეგმეს, მაგრამ არ მჯერა, რომ ამის უკან ასლან აბაშიძე დგას."** თავად ასლან აბაშიძემ კი განმარტა: **"არ მჯერა, რომ ზურაბ ჟვანია შეთქმულებას მიწყობდა, მაგრამ მჯერა, რომ თამაზ ხარაზი ტყუილს არ ამბობს."**

დღეს "მჯერა-არმჯერას" თამაში დასრულებულია და უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ ასლან აბაშიძისა და ზურაბ ჟვანიას ადგილი ერთ პოლიტიკურ სივრცეში არ არის. იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პრემიერმინისტრის პოსტზე ზურაბ ჟვანიას კანდიდატურა დაასახელა, ასლან აბაშიძესა და ცენტრს შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბება და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გაირკვევა, ვინ დარჩება გამარჯვებული.

ასლან აბაშიძეს, შესაძლოა, ყველაზე ნაკლები პრეტენზია ჰქონდეს ჟვანიას პიროვნების მიმართ. იგი ემტერება დასავლური ორიენტაციის ლიდერის ფუნქციას და ერთნაირად დაუპირისპირდება ნებისმიერ ადამიანს, ვინც კი ამ ფუნქციის მატარებელი აღმოჩნდება ("ახლებისგან" განსხვავებით, რომლებიც დასავლური ორიენტაციის ლიდერს კი არ ებრძვიან, არამედ - პიროვნულად ჟვანიას). ამიტომ, ის შეურაცხმყოფელი ფრაზები, რაც მაყურებელმა ასლან აბაშიძისგან მოისმინა აჭარის ტელევიზიით, საერთო მეთოდოლოგიის ერთი უმნიშვნელო ნაწილია. უფრო მნიშვნელოვანია სხვა პროცესი: თავდაპირველად ასლან აბაშიძემ პრეზიდენტისგან მოითხოვა, რომ მან საკუთრივ დაიქვემდებაროს ძალოვანი მინისტრები, შემდეგ არ გადმორიცხა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი თანხა, ბოლოს კი მთლიანად შეცვალა აჭარის ავტონომიის მმართველობითი სისტემა. ასლან აბაშიძის საკმაოდ თამამ ნაბიჯებში პირდაპირ იკითხება მუქარა პრეზიდენტის მიმართ: აჭარის ლიდერი უკან არ დაიხევს, ამიტომ, ჯობს, მის პოზიციას ანგარიში გაუწიონ.

ასლან აბაშიძის მიზანი ნათელია: იგი ყოველმხრივ ცდილობს და მომავალშიც ეცდება, ხელი შეუშალოს ჟვანიას სახელისუფლო კარიერას; განსაკუთრებით - მის ხელში აღმასრულებელი ბერკეტების თავმოყრას.

○ ○ ○

რითი და როდის შეიძლება დასრულდეს დაპირისპირების ამჟამინდელი ეტაპი?

ერთ მხარეს არის კანცელარიის გავლენიანი ჯგუფი, საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი და ასლან აბაშიძე. მეორე მხარეს - ზურაბ ჟვანია - გაბზარული უმრავლესობით და ოპოზიციასთან საერთო ინტერესების გამოძებნის სათუო პერსპექტივით.

სეფე სიტყვას, როგორც ყოველთვის, ედუარდ შევარდნაძე იტყვის. ჯერჯერობით, მისი პოზიცია ბურუსით არის მოცული. მოვლენების განვითარება კი ორ სცენარს ვერ ასცდება.

პირველი სცენარი: საქართველოს პრეზიდენტი დაუთმობს აჭარის ლიდერს, რომელიც ყოველი ახალი ნაბიჯით ადასტურებს, რომ მისგან დანდობა არ იქნება. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებები არ განხორციელდება და გამარჯვებული კიდევ ერთხელ დარჩება ასლან აბაშიძე.

დღეს, როდესაც ცხადდება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა საშემოდგომოდ გადაიდო, შეიძლება თუ არა, ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს სცენარი ამოქმედდა?

ალბათ, არა. რადგან ედუარდ შევარდნაძეს არ გამოუცხადებია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები პოლიტიკური დღის წესრიგიდან მოიხსნა და რომ ზურაბ ჟვანია აღარ არის პრემიერმინისტრობის კანდიდატი. საფიქრებელია, რომ თუ პირველი სცენარი ამოქმედდება და საბოლოოდ გამოირიცხება მეორე სცენარი, პრეზიდენტს სერიოზული პრობლემები შეექმნება პარლამენტის თავმჯდომარისგან და მისი თანამოაზრეებისგან. რეფორმატორებმა ერთხელ უკვე დათმეს პოზიციები, როდესაც 1998 წლის ზაფხულში, ცენტრსა და აჭარის ხელისუფლებას შორის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, სამი წლით თაროზე შემოდეს მინისტრთა კაბინეტის შექმნის საკითხი. სამი წლის შემდეგ მორიგი უვადო დათმობა, ალბათ, საბოლოო წაგების ტოლფასად შეფასდება, რაც, შესაძლოა, პოლიტიკური სკანდალით დასრულდეს.

ამიტომ, არ არის გამორიცხული, მეორე სცენარი ამოქმედდეს: პრეზიდენტმა, ბოლოს და ბოლოს, ახლა ან საშემოდგომო სესიაზე, პარლამენტის თავმჯდომარეს დაუთმოს და ღიად ან ფარულად სწორედ მას დაუჭიროს მხარი.

ამ შემთხვევაში, ცენტრი იძულებული შეიქნება, შეეგუოს აჭარის ხელისუფლებასთან ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას, რაც, აგრეთვე შეიძლება პოლიტიკურ სკანდალში გადაიზარდოს.

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძე მძიმე არჩევანის წინაშე დგას. ჯერჯერობით, ამოუცნობია, როგორი იქნება საბოლოო ვერდიქტი. და ბოლო დღეებში კიდევ ერთი უპასუხო შეკითხვა ჩნდება: როდის დადგება საბოლოო ვერდიქტის გამოცხადების დრო? ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, რომ აჭარის ლიდერის იმედზე, კანცელარიის გავლენიანი ძალები გულზე ხელს არ დაიკრეფენ და, პირიქით, გამარჯვების შანსის გაჩენასთან ერთად, მკლავებს კიდევ მეტად დაიკაპიწებენ.

აქ უსათუოდ უნდა დავუბრუნდეთ უმრავლესობის ლიდერის პოზიციას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, - რადგან ბატონი ნიკო ლეკიშვილის პესიმიზმში ორივე სცენარის ნიშნები შეიძლება იკითხებოდეს. ერთი მხრივ, შესაძლოა, უმრავლესობის ლიდერი გამოხატავდეს პრეზიდენტის განწყობას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები და მინისტრთა კაბინეტის შექმნა არ ღირს ურთიერთობის შემდგომ დაძაბვად აჭარის ხელმძღვანელობასთან. ეს - პირველი სცენარის ფარგლებში. მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, ბატონი ნიკოს ფარული განაწყენება გამოწვეული იყოს სწორედ მეორე სცენარის სავარაუდო ამოქმედებით: ჟვანიას შესაძლო გაპრემიერებით და მის ადგილზე ედვარდ სურმანიძის დატოვების განზრახვით.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოვლენების განვითარება ამ ორ სცენარს ვერ ასცდება. ამჯერად, საკითხის განხილვა გადაიდო და სასწორის პინა პირველი სცენარისკენ გადაიხარა. საფიქრებელია, რომ ჟვანიას კენჭისყრაზე უარი საკუთარი ნებით არ უთქვამს, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე აშკარად ემზადებოდა ამ საკითხის მოსაგებად. თითქმის უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ საქმეში პრეზიდენტის რჩევა და მისივე არგუმენტაცია ჩაერთო.

ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, რადგან ათვლის წერტილად კვლავ პოლიტიკური ორიენტაციების ჭიდილი რჩება. ამ ორთაბრძოლის დასრულების ერთადერთი პირობა კი რომელიმე მხარის საბოლოო და შეუქცევადი გამარჯვებაა.

***P.S.* ჟურნალის ბეჭდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, წერილი დაიწერა ორშაბათს, 23 ივლისს. საფიქრებელია, რომ მოვლენების განვითარება უახლოესი დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად ვერ ასცდება სტატიაში მონიშნულ ჩარჩოს.**

არილი



დილიდან დაღამებამდის,
დაღამებიდან - დილამდის,
ძილიდან გაღვიძებამდის,
გაღვიძებიდან - ძილამდის
გავიდა მთელი ცხოვრება -
მზეშიც მნატვრელი სინათლის!

თედო ბექიშვილი

http://www.opentext.org.ge/arili



ეროვნული
ბიბლიოთეკა

կթ 3257/4

